

၁၇၃၃

၂ ၃ ၁ ၆ ၈
တာက္ခာ

၄

8360

თამაში

13982

სიმართვეების საჯგოთა მფარვების
კავშირის ყოველთვიური უფროსი

N^o 4

8360 月 0

0 8 0 月 0 6 0 * 1 9 3 7

ა. სტალინი — პარტიული მუშაობის წაკლა-
ვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთ-
მაქეთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე
მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომი-
ტეტის პლენურზე 1937 წლის 3 მარტს

მხატვრული ლიტერატურა

შალვა ამისტლაშვილი — გაზაფხული	39
ჩინო ქობულაშვილი — სალამო	41
ვლადმირ უბილავა — პირველი ცეცხლი უშ- ბაზე	42
შალვა იოსელიანი — სიმღერა ფორთოხლებში	44
აპოლონ ქუთელია — სამეგრელო	45
ირაკლი მენთეშაშვილი — კახეთი	46
ვასილ ლომიძე — გრძნობის ყვავილი	47
ალ. ჭეიშვილი — ალეგრო-სეირნობა	49

კლასიკური გეგმვიდრობა

ჰაინრიხ ჰაინ — ახალი გაზაფხული	
თარგმ. ხარიტონ ვარდოშვილისა	57
ტარას შევჩერენკო — ტარასის ღამე	
თარგმ. კ. ლორთქიფანიძისა	62
ტარას შევჩერენკო — პერებენდია	
თარგმ. ი. მოსაშვილისა	67
დანტე ალიგიერი — სალხინებელი, ქება მეათე	
თარგმ. კონსტანტინე გამსახურდიასი	70

კ რ ტ ი პ ა

ალი არსენიშვილი — ვლადიმერ მაიაკოვსკი	74
---------------------------------------	----



0. 6023060

1. სტალინი

პაროლი მუშაობის ნაკლოვანებებსა და
ტროციქისტ და სხვათა თვალთავადისა
ვიდაციის ღონისძიებებზე

მოხსევება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
კლენცხავ 1937 წლის 3 მარტს

ამხანაგებო!

პლენუმზე მოსმენილი მოხსენებებიდან და მათ ირგვლივ გამართული
ამათიდან სჩანს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს შემდეგ სამ ძირითად ფაქტთან.

ჯერ-ერთი, მავნებლური და ღივერისიულ-ჯაშუშური მუშაობა უცხო-
ეთის სახელმწიფოთა აგენტებისა, რომელთა შორის საქმიანდ აქტიურ
როლს თამაშობდნენ ტროცკისტები, მეტად თუ ნაკლებად შეეხო ყველას
ან თითქმის ყველა ჩვენს ორგანიზაციის, როგორც სამეურნეოს, ისე
ადმინისტრაციულსა და პარტიულს.

მეორე, უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები, მათ შორის ტროცკის-
ტები, გაძვრნენ არა მარტო ძირეულ ორგანიზაციებში, არამედ ზოგიერთ
პასუხსაგებ პოსტზედაც.

მესამე, ზოგიერთია ჩვენმა ხელმძღვანელმა ამხანაგებშა, როგორც
ცენტრში, ისე აღვილებზედაც, არა თუ ვერ მოახერხეს დაენახათ ამ მავნე-
ხელთა, ღივერისანტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა ნამდვილი სახე, არამედ
ისინი იმდენად უდარდელნი, უზრუნველნი და გულუბრყვილონი აღმოჩნ-
დნენ, რომ არაიშვიათად თვითონ უწყობდნენ ხელს უცხოეთის სახელ-
მწიფოთა აგენტების დაწინაურებას ამათუმი პასუხსაგებ პოსტებზე.

ასეთია სამი უდავო ფაქტი, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს
მოხსენებებიდან და მათ ირგვლივ გამართული კამათიდან.

კოლიტიკური უდანდელობა

როთ აიხსნება, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები, რომელთაც
აქვთ სხვადასხვაგვარ ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა მიმდინარეობებთან
ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, ამ შემთხვევაში ისე გულუბრყვილონ
და ბრძანი აღმოჩნდნენ, რომ ვერ მოახერხეს დაენახათ ხალხის მტრების
ნამდვილი სახე, ვერ მოახერხეს გამოეცნოთ ცხვრის ტყავში გახვეული
ჰიგლები, ვერ მოახერხეს ჩამოეგლიჯათ მათოვის ნიღაბი?

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ მავნებლური და დივერსულ-ჯაშუშური მუშაობა უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტებისა, რომელნიც სრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებენ, შესაძლებელია იყოს ჩვენ-თვის რაღაც მოულოდნელი და უმაგალითო? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. ამას გვეუბნებიან ოფიციალურ დოკუმენტებში ფიქსირებულ მავნებლური აქტები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, დაწყებული შახტის პერიოდით.

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ბოლო დროს ჩვენ არ გვჭონია რამე მანიშნებელი სიგნალები და გამაფრთხილებელი მითითებანი ფა-შიზმის ტროკისტულ-ზინოვიევური აგენტების მავნებლური, ჯაშუშუ-რი თუ ტერორისტული საქმიანობის შესახებ? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. ასეთი სიგნალები იყო, და ბოლშევიკებს უფლება არა აქცი დაივიწყონ ისინი.

ამხანაგ კიროვის ავაზაკური მოკვლე იყო პირველი სერიოზული გა-ფრთხილება, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ხალხის მტრები ითვალთმაქ-ცებენ და, გასწევენ რა თვალთმაქობას, გაიკეთებენ ნიღაბს ბოლშევი-კისას, პარტიელისას, რათა ნდობა დაიმსახურონ და გზა გაიკაფონ ჩვენი-ორგანიზაციებისაკენ.

„ლენინგრადის ცენტრის“ სასამართლო პროცესში, ისე როგორც „ზი-ნოვიევ-კამენევის“ სასამართლო პროცესში, ახალი დასაბუთება მისცა იმ გავლეთილებს, რომლებიც გამომდინარეობენ ამხანაგ კიროვის ავაზაკურად მოკვლის ფაქტიდან.

„ზინოვიევურ-ტროკისტული ბლოკის“ სასამართლო პროცესში გააფა-რთოვა წინა პროცესების გადატეობილები და თვალნათლივ დაგვანახა, რომ ზინოვიეველები და ტროკისტები თავიანთ გარშემო აერთიანებენ უკე-ლა მტრულ ბურუუაზიულ ელემენტს, რომ ისინი გადაიქცნენ გერმანიის პოლიციური ობრანკის ჯაშუშურ და დივერსიულ-ტერორისტულ აგენ-ტურად, რომ თვალთმაქობა და შენიღბვა წარმოადგენენ ზინოვიევე-ლებისა და ტროკისტების ერთადერთ საშუალებას ჩვენს ორგანიზა-ციებში შემოსაძრომად; რომ სიფხიზღვე და პოლიტიკური გამჭრიახობა წარმოადგენენ ყველაზე უტყუარ საშუალებას ასეთი შემოძრომის თავი-დან ასაცილებლად, ზინოვიევურ-ტროკისტული ხროვის სალიკვიდ-ციოდ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის 1935 წლის 18 იანვრის დახურულ წერილში ამხანაგ კიროვის ავაზაკური მოკვლის გამო გადა-ჭრით აფრთხილებდა პარტიულ ორგანიზაციებს პოლიტიკური უზრუნვე-ლობისა და ობიგატელური დოკუმენტით დახურულ წერილში დახურულ წერილში ნათქვამია:

„ბოლო უნდა მოვულოთ ოპორტუნისტულ უზრუნველობას, რო-მელიც გამომდინარეობს შემცდარი მოსაზრებიდან, რომ ჩვენი მა-ლების ზრდასთან ერთად მტერი თითქოს უფროდაუფრო მოშინა-ურებული და უწყინარი ხდებოდეს. ასეთი მოსაზრება ძირშივე არა-სწორია. იგი არის ამონაცონი მემარჯვენე გადახრისა, რომელიც

შეველას და ყოველივეს არწმუნებს, რომ მტრები ნელნელა შეცოდებიან სოციალიზმში, რომ ისინი ბოლოსდაბოლოს ნამდვილი სოციალისტები გახდებიან. ბოლშევიკების საქმე როდია განცხროშას. მიეცნენ და დოკულაპიობა გამოიჩინონ. ჩვენ უზრუნველობა კი არ გვესაჭიროება, არამედ სიფხიზლე, ნამდვილი ბოლშევიკური რევოლუციური სიფხიზლე. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო უნუგეშოა მტრების მდგომარეობა, მით უფრო მეტი ხალისით ჩასჭიდებენ ისინი ხელს უკიდურეს საშუალებებს, როგორც განწირულთა ერთადერთ საშუალებებს მათს ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებასთან. ეს უნდა გვახსოვდეს და ფხიზელნი ვიყოთ“.

თავის 1936 წლის 29 ივლისის დახურულ წერილში ტროცკისტულ-ჭინოვიევური ბლოკის ჯაშურ-ტერორისტული საქმიანობის გამო საკ. ჭ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი კვლავ მოუწოდებდა პარტიულ ორგანიზაციებს გამოეჩინათ მაქსიმალური სიფხიზლე, ხალხის მტრების გამოცნობის უნარი, რარიგ კარგად შენილბულნიც უნდა იყვნენ ისინი. დახურულ წერილში ნათქვამია:

„ახლა, როდესაც დამტკიცებულია, რომ ტროცკისტ-ჭინოვიეველი გარეწრები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში აერთიანებენ. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველაზე გაბოროტებულ და მოსისხლე მტრებს — ჯაშუშებს, პროვოკატორებს, დივერსანტებს, თეთრგვარდიელებს, კულაკებს და ა. შ., როდესაც, ერთი მხრით, ამ ელემენტებსა და, მეორე მხრით, ტროცკისტებსა და ჭინოვიეველებს შორის წაიშალა ყოველგვარი ზღვარი, — ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიის ყველა წევრმა უნდა შეიგნოს, რომ კომუნისტთა სიფხიზლე აუცილებელია ყოველ უბანზე და ყოველგვარ ვითარებაში. თვითეული ბოლშევიკის განუყრელი თვისება აალანდელ პირობებში უნდა იყოს უნარი იმისა, რომ გამოიცნოს პარტიის მტრები, რარიგ კარგადაც უნდა იყოს იგი შენილბული“.

შაშასადამე; სიგნალები და გაფრთხილებანი. იყო.

რისკენ მოგვიწოდებდნენ ეს სიგნალები და გაფრთხილებანი?

ისინი მოგვიწოდებდნენ იმისაკენ, რათა აღმოგვეთხვრა პარტიულორგანიზაციული მუშაობის სისუსტე და გადაგვექცია პარტია მიუვალ კიხე-სიმაგრედ, სადაც ვერ შეძრებოდა ვერც ერთი თვალთმაჭიდი.

ისინი მოგვიწოდებდნენ იმისაკენ, რათა ბოლო მოგვეღო პარტიულ-ჭილიტიკური მუშაობის შეუფასებლობისათვის და გადატრით მოვბრუნებულაყავით ასეთი მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებისაკენ, პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებისაკენ.

და მერე რა? ფაქტებმა დაგვანახვეს, რომ სიგნალებსა და გაფრთხილებებს ჩვენი ამხანაგები ძალიან ზინტად ითვისებდნენ.

ამას მჟღვრმეტყველად მოწმობენ ყველასათვის ცნობილი ფაქტები პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის კამპანიის დარგიდან.

Հոյտ աօեմների, հռմ ամ շաբաթակոլլեցիքին և սօցնալեցիմա պար ոյխնուն
սատանադու մովմեցերի?

Հոյտ աօեմների, հռմ հիզեն პարտուլու ամեանացերի, անդուսածքուտա ցլլու-
մենցիքիտան մատու ծարմուգուլլեցին մուշեցազալ, մուղու հոգի մա-
նունցեցելու սօցնալեցին և շաբաթակոլլեցիէլու մուտուցիքին մուշեցա-
զալ, პոլուուցուրալ ծեցրէ ալմոհինցնեն եալնիս մուղու մաշնեցլուրա-
և չաժուշուր-գուցընուլու մշշառնիս Շոնաշ?

Մշումարտու հիզեն պարտուլու ամեանացերի ցլլոր պարսնի ցածնեն, զու-
հու Շոնատ ոցնեն, ցածնեն նաշուշուլնու և զուսուձլունուց-
նուլնու? արա, ռա տշմա լինա, արա!

Ոյնեց մատ օթպյուս ցածնացարերի? ցվլազ արա! ասետու ցարաւու մոյ-
լեցլունու պատումար սագումցըլու.

Մամ, համուս սաշմերի? սաօւան արուս ասետու գոպութանու, ցածնացըլութ-
ութիւնցըլուն, սօթիմաց?

Սաշմերի ուս արուս, հռմ հիզեն պարտուլու ամեանացերի, սամեշուրնու ցածնե-
նուցիուտ և սամեշուրնու մշենցելունիս ցլրունութիւն կոլուսալուրի Շարմաց-
իքիտ ցածնացըլունու, პորդանուր ցածնութիւնցիրտ մալուն մենունցե-
լունան ցայիրու, հռմելու ցածնութիւնու ցլլու ծոլլեցի ծոլլունու արա-
ւուտ. մատ ցածնութիւնցիրտ ցրու մորուանու ցայիրու սիր ցածնուրուս սա-
ցրուանուրուսու մջամարյունու սուրուան և զուր Շյամինուս որու մալուն
մենունցելունան ցայիրու, հռմլեցիսալ պորդանուրու ցամուուցըլունու պիտի-
անանացըլ մաշնեցլունուն, չաժուշունցիտան, գուցընուանցիտան և մշշառ-
ութան, հռմլեցիս պարտուլու ծոլլուտս ցաշարեցիսան և, ծոլլունու նուրան-
րուտեցին.

II

ՀԱՎՈՒԱԼՈՒՏՇԱՐ ՑԱԽԵՑՈՒՅՑԱ

Հա ցայիրունու ցայիրու, հռմլեցիս ցածնութիւնուս ան հռմլեցիս պոր-
ւանուր զուր Շյամինուս հիզենմա պարտուլունմա ամեանացերի?

Մատ ցածնութիւնուս ուս, հռմ սածքուտա եցլուսուցլունու գամարչաց ցածնամո-
ւուս մեռլուք մեցիշեց նաշուլնչ, հռմ ցըլամութիւն եսու մեցիշեց և Շյ-
անցընց ցածնութալուսուրու սակելմշուլունու սամցուլուցլունուն. մատ ցած-
նութիւնուս, հռմ սածքուտա ցածնուրու միպուցեր ցածնութալուսուրու ցարեմուցուս
կորունցին. հիզենտան մուղեցլունու ուղացին ցածնութալուսուր ցարեմուցանց,
մաշրան առ սուրու հացույշինցնեն, ռա արուս ցա ցածնութալուսուրու ցարեմուցա-
ցածնութալուսուրու ցարեմուցա—ցա պալուրու ցրաման հունուս ցա մերտա ու-
լուրու և արասասօնամոցնու մուղենաա. ցածնութալուսուր ցարեմուցա—ցա
նունցաց, հռմ արուս ցրու յեցունա, սածքուտա ցածնուրու, հռմելմաւ չամու-
րա սուրուանուսուրու. վայսթիւնունու ցա պալուրու, դա, ցարու ամուսա, արուս ծեցրու յեց-
ունա—ծուրշութիւնու յեցունու, հռմլեցիս ցարեմուցա, հռմլեցիս ցարեմուցա—ցա
ուր վայսու ցեցուրցա և հռմլեցիս ցարեմուցա սածքուտա ցածնուրուն
գլուցընան. հա Շյամտեցունաս ոմուսացուս, հռմ ուցա ցա ցա մաս, ցա ցա ամու-

ცხონ იგი ან, ყოველ შემთხვევაში — ძირი გამოუთხარონ მის ძლიერებაზე და დასუსტონ იგი.

ეს ძირითადი ფაქტი დაივიწყეს ჩევნმა ამხანგებშა. და სწორედ ხომ ის განსაზღვრავს კაპიტალისტურ გარემოცვასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთდამკიდებულებათა საფუძვლს.

ავილოთ, მაგალითად, ბურჟუაზიული სახელმწიფოები. გულუბრყვილი ადამიანებს შეუძლიანთ იფიქრონ, რომ მათ შორის არსებობს განსაკუთრებით კეთილი ურთიერთობა, როგორც ერთი ტიპის სახელმწიფოები შორის. მაგრამ ასე მხოლოდ გულუბრყვილო აღამიანებს შეუძლიანთ იფიქრონ. ნამდვილად კი ურთიერთობა მათ შორის ძალზე დაშორებულია კეთილმეზობლურ ურთიერთობას. დამტკიცებულაა, როგორც ორჯერ ჩრი ითხია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები ერთმანეთს ზურგში უგზავნიან თავის ჯაშუშებს, მავნებლებს, დივერსანტებს, ზოგჯერ კი მკვლელებსაც, აძლევენ მათ დავალებას ფეხი მოიკიდონ ამ სახელმწიფოების დაწესებულებებსა და საწარმოებში, შევჭმნან იქ თავისი ქსელი და „აუცილებლობის შემთხვევაში“ — ააფეთქონ მათი ზურგი, რათა დასუსტონ ისინი და ძირი გამოუთხარონ მათს ძლიერებას. ასეთია საქმის ვითარება ამჟამად. ასეთი იყო საქმის ვითარება, წარსულშიც. ავილოთ, მცგალითად, სახელმწიფოები ნაპოლეონ I დროის ევროპაში. სათროინგეთა მაშინ სავსე იყო ჯაშუშებითა და დივერსანტებით რუსების, გერმანელების, აესტრიოლების, ინგლისელების ბანაკიდან. და, პირიქით, ინგლისს გერმანულ სახელმწიფოებს, აესტრიას, რუსეთს მაშინ თავის ზურგში ჰყავდათ ჯაშუშებისა და დივერსანტების არა ნაკლები რაოდენობა სავრანების ბანაკიდან. ინგლისის აგენტებმა ორჯერ სცადეს მოეკლათ წაპოლეონი და რამდენჯერმე ააჯანყეს ვანდეის გლეხები საფრანგეთში ნაპოლეონის მთავრობის წინააღმდეგ. ხოლო რას წარმოადგენდა ნაპოლეონის მთავრობა? ბურჟუაზიულ მთავრობას, რომელმაც ჩაახშო საფრანგების რევოლუცია და შეინარჩუნა რევოლუციის მხოლოდ ის შედეგები, რაც ხელსაყრელი იყო მსხვილი ბურჟუაზიისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი: რომ ნაპოლეონის მთავრობა ვალში არ ჩემითდა თავის მეზობლებს და ისიც მიმართავდა თავის დივერსიულ ღონისძიებებს. ასე იყო წარსულში, 130 წლის წინათ. ასეა საქმის ვითარება ამჟამად, ნაპოლეონ I დროიდან 130 წლის შედეგ. ამჟამად საფრანგეთი და ინგლისი სავსეა გერმანიას ჯაშუშებითა და დივერსანტებით და, პირიქით, გერმანიაში თავის მხრივ მოქმედებენ ინგლის-საფრანგეთის, ჯაშუშები და დივერსანტები. ამერიკა საესეა იაპონიის ჯაშუშებით და დივერსანტებით, ხოლო იაპონია — ამერიკის ჯაშუშებითა და დივერსანტებით.

ასეთია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა კნონი.

იბაღება კითხვა, რატომ უნდა მოეპყრან ბურჟუაზიული სახელმწიფოები საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს უფრო რბილად და უფრო კეთილმეზობლურად, ვიდრე თავისივე ტიპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს? რატომ უნდა გზავნონ მათ საბჭოთა კავშირის ზურგში ნაკლები ჯაშუშე-

ზი, მავნებლები, დივერსანტები და შეკლელები, ვიდრე მათ გზავნიან თავიანთი მონათესავე ბურუჟაზიული სახელმწიფოების ზურგში? საიდან აიღვთ თქვენ ეს? უფრო სწორი არ იქნება, მარქსიზმის თვალსაზრისით, ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა კავშირის ზურგში. ბურუჟაზიული სახელმწიფოები უნდა გზავნიდნენ ორჯერ და სამჯერ მეტ მავნებლებს, ჯაშუშებს, დივერსანტებსა და შეკლელებს, ვიდრე რომელიმე ბურუჟაზიული სახელმწიფოს ზურგში?

განა ცხადი არ არის, რომ ვიღი კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ჩვენში იარსებებენ მავნებლები, ჯაშუშები, დივერსანტები და შეკლელები, რომელთაც უცხოეთის სახელმწიფოთა აგენტები გზავნიან ჩვენს ზურგში?

ყოველივე ეს დაივიწყეს ჩვენმა პარტიულმა. ამხანაგებმა, და, დაივიწყეს რა ეს, მოუმზადებელი აღმოჩნდნენ.

აი რატომ აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი ზოგიერთი ჩვენი ამხანაგისათვის იაპონია-გერმანიის პარტიული ახრანკის ტროცკისტი-აგენტების ჯაშუშურ-დივერსიული მუშაობა.

III

თანამედროვე ტროცკიზმი

შემდეგ. აწარმოებლენენ რა ბრძოლას ტროცკისტ აგენტებთან, ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიეს, მხედველობილან გამოეპარით, რომ ახლანდელი ტროცკიზმი უკვე ის ღლარ არის, რაც ის იყო, ვთქვათ, 7 — 8 წლის წინათ, რომ ტროცკიზმია და ტროცკისტებმა ამ ხნის განმავლობაში განიცადეს სერიოზული ევოლუცია, რამაც ძირფესვიანად შესცვალა ტროცკიზმის სახე, რომ ამის გამო ტროცკიზმთან ბრძოლაც, მასთან ბრძოლის მეთოდები ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიეს, რომ ტროცკიზმი აღარ არის პოლიტიკური მიმდინარეობა მუშაობა კლასში, რომ მუშაობა კლასში პოლიტიკური მიმდინარეობილან, რაც იგი 7 — 8 წლის წინათ იყო, ტროცკიზმი გადაიქცა მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა და შეკლელთა პირწავარ-დნილ და უბრინციპო ბანდად, რომლებიც მოქმედებენ უცხოეთის სახელმწიფოების მზეერავ ორგანოთა დაგალებებით.

რა არის პოლიტიკური მიმდინარეობა მუშაობა კლასში? პოლიტიკური მიმდინარეობა მუშაობა კლასში — ეს ისეთი ჯგუფი ან პარტიაა, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომია, პლატფორმა, პროგრამა, რომელიც არ უმაღლეს და არც შეუძლიან დაუმაღლოს თავისი შეხედულებანი მუშაობა კლასს, არამედ, პირიქით, აშეარად და პატიოსნად ეწევა თავის შეხედულებათა პროპაგანდას, მუშაობა კლასის თვალშინ, რომელსაც არ ეშინიან დაანახოს მუშაობა კლასს თავისი პოლიტიკური სახე, არ ეშინიან მოახდინოს მუშაობა კლასის წინაშე თავისი ნამდვილი მიზნებისა და ამოცანების დემონსტრირება, არამედ, პირიქით, სახეახდილი მიღის მუშაობა კლასში იმისათვის; რომ

Հայացերոս օգո տապատա Շեքելուլեթատա Տոմահոտլե՛՛ն. Գրուպուիթմո Քաղաքուլնի, 7—8 թվու թինատ, ոյո յրտերոտ ասետո პոլութիւնուրո մոմդոնահեռծա մշութատ կլասմո, մարտալու, անդուղենոնցուրո դա ամութոմ լրմած Շեմպւարո, մաշրամ մանց პոլութիւնուրո մոմդոնահեռծա.

Շեզօդլեթա տոյ արա օտքշաս, հռմ աելանգելո Մրուպուիթմո, զտշշատ, 1936 թվու Մրուպուիթմո, Քարմուացցենս პոլութիւնուր մոմդոնահեռծա մշութատ կլասմո? արա, ամու տվյա ար Շեզօդլեթա. հատոմ? օմութոմ, հռմ տաճամեց հրազա Մրուպուիթմութեթս յմոնանտ դասնաեցոն մշութատ կլասս տապանտո ճամ- ջազուլո սեյ, յմոնանտ ցայլմենուրոն մաս տապանտո ճամջուլո մինեթո ճա- ամուպանցա ցայլմուցոնեց ումալայցեն մշութատ կլասս տապանտո պոլութիւ- կյուր ցութօնոնոմուս դա յմոնանտ, հռմ, տոյ մշութատ կլասս ցայցեթս մատս ճամջուլո չհրաեցցեթս, ոցո Շեահցենցեթս մատ, հրացորու սրբու ալամունցեթս, ճա- ցայցեցցեթս մատ. Սվորեց ամու առեսնեթա, հռմ Մրուպուիթմութլո մշութամծուս ճա- րուտած մետուրս աելա Քարմուացցենս տապանտ Շեքելուլեթատ արա աշխարա ժա քարուսանո քրութացնած, մշութատ կլասմո, արամյու ճապանտ Շեքելուլե- թատ Շենուրնա, տապանտ մութինալմուցցետա Շեքելուլեթեթուս քորույրոմուտ ժա մլույցնելուրած Շեյյեթա, տապանտ սայութար Շեքելուլեթատ ուարուսեց- լուրած ճա պալծած աթուսընա դրալաք՛ն.

1936 թվու սասամահոտլո քրույսթյ, տոյ ցայեսնեթո, յամեյցու ժա Քո- նոցուցո ցալայքրոտ սահկյուղուրնեց, հռմ մատ էյոնթատ համյ პոլութիւ- կյուրո քլաթուրմա. մատ սրյուլո Շեսամլեթլոմծա էյոնթատ ցալայթալատ սասամահոտլո քրույսթյ տապանտո պոլութիւնուրո քլաթուրմա.

մաշրամ օսինո ասե ար մլույցնեց ճա ցանալուացց, հռմ արապոտարո պո- լութիւնուրո քլաթուրմա արա ցայցշետ. յըցու արաա, օսինո որուցնո սթյու- ռուրնեց, հռցեսապ սահկյուղուրնեց քլաթուրմուս արսեծօնաս. աելա ծիմյութ յըցայցու, հռմ մատ էյոնթատ սայութարո պոլութիւնուրո քլաթուրմա.

մաշրամ հատոմ սահկյուղուրնեց օսինո, հռմ մատ էյոնթատ համյ պո- լութիւնուրո քլաթուրմա? օմութոմ, հռմ մատ յմոնութատ ցամույհինատ տապա- նտո ճամջուլո. պոլութիւնուրո սաեց. յմոնութատ յիցենեթինատ տապանտո համջուլո քլաթուրմա սսր յացմուրնի յակութալութմուս հըսթավըրալուս, Շո- յութօնուրնեց հա, հռմ ասետո քլաթուրմա մշութատ կլասմո էնիշլս յամույցցեց:

սասամահոտլո քրույսթյ 1937 թյուլս քութայու, հացցու ճա ևոյուլ- նոյու սեցա ջիօս դացցեց. օսինո ար սահկյուղուրնեց, հռմ Մրուպուիթմութեթս ճա Քոնոցուցուցուցութեթս էյոնթատ պոլութիւնուրո քլաթուրմա. մատ օլուարյս, հռմ օմատ էյոնթատ ցարկացուրո պոլութիւնուրո քլաթուրմա, ալուարյս ճա ցա- լամալյս օցո տապանտ իցենեթեթնի. մաշրամ ցալամալյս օցո արա օմուսատվուս, հռմ մոյթուրո մութատ կլասս, մոյթուրո մութատ սալոն Մրուպուիթմութ- լո քլաթուրմուսատվուս մեարդակյերուսակյեն, արամյու օմուսատվուս, հռմ Շեյից- նեթինատ ճա լայցմոտ օցո, հրացորու անդուսալեցրո ճա անդուքրութարուլո քլաթուրմա. յակութալութմուս հըսթավըրալուս, յոլմեյսուրնեռեթեթմուս ճա սա- կոտա մյուրնեռեթեթմուս լոյցուրապու, յմուլութապուս սութիւմուս ալուցցու, յամուսատվուս և աստոնուս ցամուսթյուր մալյեթան յացմուր սակյուր- չինանուս ճա օստոնուս ցամուսթյուր մալյեթան յացմուր սակյուր- չինանուս օմուս մուսալուցըօսատվուս, ծիմուլա օմուսատվուս ճա մշութօնօնմուս

პოლიტიკის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიული დაქუცმაცება უკრაინის გადაცემით გერმანელებისათვის, ხოლო პრიმორიის — იაპონელებისათვის, საბჭოთა კავშირის სამხედრო დამარცხების მომზადება იმ შემთხვევაში, თუ მას თავს დაესხმიან მტრული სახელმწიფოები, და, როგორც ამ ამოცანათა მისაღწევი საშუალება, — მავნებლობა, დივერსია, ინდივიდუალური ტერორი საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, შპიონაჟი იაპონია-გერმანიის ფაშისტური ძალების სასარგებლოდ, — ასეთია პიატაკოვის, რადეკისა და სოკოლნიკოვის მიერ გადაშლილი პოლიტიკური პლატფორმა ახლანდელი ტროკიზმისა. გასაგებია, ასეთი პლატფორმა ტროკისტებს არ შეეძლოთ არ დაემალათ ხალხისათვის, მუშათა კლასისათვის. და ისინი უმაღლავდნენ მას არა მარტო მუშათა კლასს, არამედ ტროკისტულ მასასაც, და არა მარტო ტროკისტულ მასას, არამედ ხელმძღვანელ ტროკისტულ ზედაფენასაც, რომელიც შესდგებოდა. ერთი მუჭა ხალხისაგან 30 — 40 კაცის რაოდენობით. როდესაც რადეკმა და პიატაკოვმა ტროკისაგან მოითხოვეს ნებართვა, რომ ამ პლატფორმის ხასიათის საინფორმაციოდ მოეწვიათ ტროკისტების პატარა კონფერენცია 30 — 40 კაცის რაოდენობით, ტროკიმ მათ ეს აუკრძალა და სთქეა, რომ მიზანშეწონილი არ არის ველაპარაკოთ პლატფორმის ნამდვილი ხასიათის შესახებ ერთ მუჭა ტროკისტებსაც კი, ვინაიდან ასეთ „ოპერაციას“ შეუძლიან განხეთქილება გამოიწვიოს.

„პოლიტიკური მოღვაწენი“, რომლებიც თავის შეხედულებებს, თავის პლატფორმას უმაღლავენ არა მარტო მუშათა კლასს, არამედ ტროკისტულ მასასაც, და არა მარტო ტროკისტულ მასას, არამედ ტროკისტთა ხელმძღვანელ ზედაფენასაც. — ასეთია თანამედროვე ტროკიზმის ფიზიონომია.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თანამედროვე ტროკიზმს უკვე არ შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში.

თანამედროვე ტროკიზმი არის არა პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, არამედ მავნებელთა, დივერსანტთა, მზვერავთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპობ და უიდეო ბანდა, მუშათა კლასის დაუძინებელი მტრების ბანდა, რომლებიც მოქმედებენ უცხოეთის სახელმწიფოსა მზვერავი ორგანოების დაქირავებით.

ასეთია ტროკიზმის ევოლუციის უდავო შედეგი უკანასკნელი 7 — 8 წლის განმავლობაში.

ასეთია განსხვავება წინააღმდელ ტროკიზმსა და ახლანდელ ტროკიზმს შორის.

ჩვენი პარტიული ამზადავების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ შენიშვნეს ეს ლრმა განსხვავება წინააღმდელ ტროკიზმსა და ახლანდელ ტროკიზმს შორის. მათ ვერ შენიშვნეს, რომ ტროკისტები უკვე დიდიხანია აღარ არიან იდეური აღამიანები, რომ ტროკისტები უკვე დიდიხანია გადაიქცნენ შარა გზის ყაჩაღებად, რომლებსაც შესწევთ უნარი ჩაიდინონ ყოველგვარი სისაძგლე, შესწევთ უნარი ჩაიდინონ ყოველგვარი საზიზლრობა, თვით შპიონაჟი და თავისი სამშობლოს პირდაპირი ღალა-

ტიც კი, ოღონდ კი ავნონ საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა ხელის-უფლებას. მათ ეს ვერ შენიშვნეს და ამიტომ ვერ შესძლეს დროზე გარდა-ქმნილიყვნენ იმისათვის, რათა ტროცკისტებთან ბრძოლა ეჭარმოებინათ ახლებურად, უფრო გადაჭრით.

აი რატომ აღმოჩნდა ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგისათვის სრულ მოულოდნელობად ტროცკისტების საძაგლობანი უკანასკნელი შლების განმავლობაში.

შემდეგ დასასრულ, ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა ვერ შეამჩნიე-ის, რომ, ერთი მხრივ, ახლანდელ მავნებლებსა და დივერსანტებსა, რო-მელთაგან ფაშიზმის ტროცკისტი აგენტები საკმაოდ აქტიურ როლს თა-შაშობებს, და, მეორე მხრივ, შახტის პერიოდის დროის მავნებლებსა და დივერსანტებს შორის არსებითი განსხვავებაა.

ჯერ-ერთი. შახტელები და სამრეწველო პარტიის წევრები ჩვენდამი აშეარად უცხო აღამიანები იყვნენ. ესენი იყვნენ მეტწილად საწარმოთა ყოფილი მფლობელები, ყოფილი მმართველები ძველ მეპატრონეებთან, ძველ საჯურო საზოგადოებათა ყოფილი კომპანიონები, ანდა პირდაპირ ძველი ბურუუზიული სპეციალისტები, ჩვენდამი პოლიტიკურად აშეარად მტრულად განწყობილი. არცერთ ჩვენს აღამიანთაგანს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, თუ როგორი იყო ამ ვაჟატონების ნამდვილი პოლიტიკური სახე. თვითონ შახტელებიც არ მალავდნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა წყობილებისადმი. არ შეიძლება იგივე ითქვას ახლანდელ მავ-ნებლებსა და დივერსანტებზე, ტროცკისტებზე. ახლანდელი მავნებლები და დივერსანტები, ტროცკისტები, — ეს მეტწილად პარტიული, ჯიბეში პარტიული ბილეთის მქონე ადამიანები არიან, — მაშასადამე, ფორმალუ-რად უცხო აღამიანები არ არიან. თუ ძველი მავნებლები ჩვენი აღამიანე-ბის წინააღმდეგ მიღიოდნენ, ახალი მავნებლები, პირიქით, ელაქუცებიან ჩვენს აღამიანებს, ხოტბას ასხამენ ჩვენს ადამიანებს, მლიქვნელობენ მათს წინაშე, რათა ნდობა მოიხვეჭონ. განსხვავება, როგორც ვხედავთ, არ-სებითია.

მეორე. შახტელთა და სამრეწველო პარტიის წევრთა ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ მეტად თუ ნაკლებად გააჩნდათ საჭირო ტექ-ნიკური ცოდნა, მაშინ, როდესაც ჩვენი აღამიანები, რომელთაც ასეთი ცოდნა არ ჰქონდათ, იძულებული იყვნენ მათგან ესწავლათ. ეს გა-რემოება შახტის პერიოდის მავნებლებს დიდ უპირატესობას აძლევდა, აძ-ლევდა მათ შესაძლებლობას თავისუფლად და შეუფერხებლად გაეწიათ მავნებლობა, აძლევდა მათ შესაძლებლობას მოეტყუებიათ ჩვენი აღამია-ნები ტექნიკურად. ეს არ ითქმის ახლანდელ მავნებლებზე, ტროცკისტებზე. ახლანდელ მავნებლებს არავითარი ტექნიკური უპირატესობანი არა აქვთ ჩვენი აღამიანების მიმართ. პირიქით, ტექნიკურად ჩვენი აღამიანები უფრო მომზადებულნი არიან, ვიდრე ახლანდელი მავნებლები, ვიდრე ტროც-კისტები. შახტის პერიოდიდან დღევანდლამდე ჩვენში ათი ათასობით გა-იზარდნენ ნამდვილი, ტექნიკურად გამოწროობილი ბოლშევიკური კადრე-ბი. შეიძლებოდა ათასობით და ათეული ათასობით დაგვესახელებინა.

ტექნიკურად გაზრდილი ბოლშევიკური ხელმძღვანელები, რომლებთან შედარებით ყველა ეს პიატაკოვები და ლივშიცები, შესტოვები და ბოგუსლავსკები, მურალოვები და ლრობნისები ტექნიკური მომზადების ოვალსაზრისით ფუჭ მოლაყბებსა და მოსამზადებელი კლასის მოწაფეებს წარმოადგენენ. მაშ ასეთ შემთხვევაში რაში მდგომარეობს ახლანდელი მავნებლების, ტროკისტების ძალა? მათი ძალა მდგომარეობს პარტიულ ბილეთში, იმაში, რომ მათ პარტიული ბილეთი აქვთ. მათი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიული ბილეთი მათ ანიჭებს პოლიტიკურ ნდობას და გზას უკაფავს მათ ყველა ჩვენი დაწესებულებისა და ორგანიზაციასაკენ. მათი უპირატესობა ძდგომარეობს იმაში, რომ ისრინი, ჰერონდათ რა პარტიული ბილეთები და მოპერაცია რა თავი საბჭოთა ხელისუფლების შეგობრებად, ატყუებდნენ ჩვენს ადამიანებს პოლიტიკურად, ბოროტად იყენებდნენ ნდობას, მავნებლობას ეწეოდნენ ჩუმჩუმად და ჩვენს სახელმწიფო საიდუმლოებებს უმხელდნენ საბჭოთა კავშირის მტრებს. თავისი პოლიტიკური და მორალური ღირებულებით საეჭვო „უპირატესობაა“, მაგრამ მაინც „უპირატესობაა“. კაცმა რომ სთქვას, სწორედ ამ „უპირატესობით“ აიხსნება ის გარემოება, რომ ტროკისტი მავნებლები, როგორც პარტიულებიანი ადამიანები, რომელთაც ხელი მიუწვდომოდათ ჩვენი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ყველა ადგილთან, პირდაპირ განძი აღმოჩნდნენ უცხოეთს სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოებისათვის..

ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ვერ შეამჩნიეს, ვერ გაიგეს მთელი ეს განსხვავება ძველ და ახალ მავნებლებს შორის, შახტელებსა და ტროკისტებს შორის. და, ვერ შეამჩნიეს რა ეს, ვერ შესძლეს დროზე გარდაქმნილიყვნენ, რომ აქლებურად გაეჩაღებინათ ბრძოლა ახალ მავნებლებთან.

IV

სამაურნეო წარმატებათა ჩრდილოვანი მხარეები

ასეთია ძირითადი ფაქტები ჩვენი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის სფეროდან, რომლებიც დაივიწყა ან რომლებიც ვერ შეამჩნია შევრმა პარტიულმა ამხანაგმა.

აი. რატომ აღმოჩნდა სრულიად მოულოდნელი ჩვენი ადამიანებისათვის უკანასკნელი წლების ამბები მავნებლობისა და ღივერსიების საქმეში.

შეიძლება გვირთონ: მაგრამ რატომ ვერ შეამჩნიეს ჩვენმა აღამიანებმა ყოველივე ეს. რატომ დაავიწყდათ მათ ყოველივე ეს? საიდან გაჩნდა მთელი ეს გულმავიწყობა, სიბრძმავე, უდარდელობა, უზრუნველობა?

ეს ორგანული მანქი ხომ არ არის ჩვენი ადამიანების მუშაობაში?

არა, ეს არ არის ორგანული მანქი. ეს — ტროებითი მოვლენაა, რომელიც შეიძლება სწრაფად იქნას ლიკვიდირებული, თუ ჩვენი ადამიანები ძალით რამდენადმე დასჭიმავენ.

მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები უკანასკნელ წლებში მთლად ჩაფლული იყვნენ სამეურნეო მუშაობაში, ისინი უაღრესად გატაცებული იყვნენ სამეურნეო წარმატებებით და, გატაცებული იყვნენ, რა მთელი ამ საქმით, — დაივიწყეს სხვა ყველაფერი, თავი მიანებეს ყოველივე დანარჩენს.

საქმე იმაშია, რომ, გატაცებული იყვნენ ადა სამეურნეო წარმატებებით, მათ ამ საქმეში იწყეს ყველაფერის დასაწყისისა და დასასრულის დანახა, ხოლო ისეთ საქმეებს, როგორიცაა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, კაპიტალისტური გარემოცვა, პარტიის პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება, ბრძოლა მავნებლობასთან და სხვ. — პირდაპირ აღარ აქცევდნენ ყურადღებას, ფიქტობრივ რა, რომ უველა ეს საკითხი წარმოადგენს მეორეხარისხოვან ან მესამეხარისხოვან საქმესაც კი..

წარმატებანი და მიღწევანი, რასაკვირველია, დიადი საქმეა. ჩვენი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის დარღვი მართლაც უდიდესად მაგრამ წარმატებებს, როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად, თავისი ჩრდილოვანი მხარეებიც აქვს. იმ ადამიანებში, რომლებიც ნაკლებად ნაცალნია არიან პოლიტიკაში, დიდი წარმატებანი და დიდი მიღწევანი არა-იშვიათად ბადებენ უდარდელობას, უზრუნველობას, თვითგმაყოფილებას, უსაზღვრო თვითრჩენას, თავგასულობას, მკეთრობას. თქვენ არ შეგიძლიათ უარჲყოთ, რომ უკანასკნელ დროს მკეთრები ჩვენში ისე მომრავლდნენ, რომ ვერც კი დასთვლით. გასაკვირველი არ არის, რომ სოციალისტური მშენებლობის დარღვი დიდ და სერიოზულ წარმატებათა ამ ვითარებაში იქმნებიან ბაქობის განწყობილებანი, ჩვენს წარმატებათა პარადული მანიფესტაციების განწყობილებანი, იქმნებიან ჩვენი მტრების ძალთა შეუფასებლობის განწყობილებანი, თავის ძალთა გადაფასების განწყობილებანი და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ჩნდება პოლიტიკური სიბრძმავე.

მე აქ უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა წარმატებებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, მიღწევებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე.

სიძნელეებთან დაკავშირებულ საფრთხეებს ჩვენ გამოცდილებით ვიცნობთ. აი უკვე რამდენიმე წელიწადია ვაწარმოებთ ბრძოლას ასეთი სახის საფრთხეებთან და, უნდა ითქვას, არც თუ უნაყოფოდ. სიძნელეებთან დაკავშირებული საფრთხენი არამეტყოცე ადამიანებში ხშირად პებადებენ სასოწარკვეთილებას, საკუთარი ძალებისადმი რწმენის უქონლობის განწყობილებებს, პესიმიზმის განწყობილებებს. და, პირიქით, იქ, სადაც საქმე ეხება იმას, რომ დაძლეულ იქნას სიძნელეებიდან ვამომდინარე საფრთხენი, ადამიანები კავდებიან ამ ბრძოლაში და ბრძოლიდან გამოდიან ნამდვილად გასალკლდევებულ ბოლშევიკებად. ასეთია სიძნელეებთან დაკავშირებულ საფრთხეთა ბუნება. ასეთია სიძნელეთა დაძლევის შედეგები.

მაგრამ არიან. სხვაგვარი საფრთხენი, წარმატებებთან დაკავშირებული საფრთხენი, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი. დიალ, დიალ, ამხანაგებო, წარმატებებთან, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი. ეს საფრთხენი იმაში მდგომარეობენ, რომ იმ ადამიანებში, რომ-

ლუებიც ნაკლებად ნაცაღნი არიან პოლიტიკაში და რომელთაც ბევრი არა-
ფერი უნახავთ, წარმატებათა ვითარება — წარმატება წარმატებაზე, მიღ-
წევა მიღწევაზე, გეგმების ზედიზედ გადაჭარბებით შესრულება, — პბა-
დებს უდარღელობისა და თვითქმაყოფილების განწყობილებებს, ჰქმნის ზო-
შიერების გრძნობის ჩამკვლელი და პოლიტიკური ალლოს დამჩლუნგე-
ბელი პარადული ზემებისა და ურთიერთი მისალმებების ატმოსფეროს,
აღუნებს აღამიანებს და მიაქანებს მათ იქითკენ, რომ განცხრომას მიეცნენ.

გასაკვირველი არაა, რომ თავგასულობისა და თვითქმაყოფილების ამ გა-
მაბრუებელ ატმოსფეროში, პარადული მანიფესტაციებისა და შეკვირალა
თავშექების ატმოსფეროში აღამიანები ივიწყებენ ზოგიერთ არსებოთ ფაქტს,
რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ბედ-
ილბლისათვის, ადამიანები ველარ ამჩნევენ ისეთ არასასიამოვნო ფაქტებს,
როგორიცაა კაპიტალისტური გარემოცვა, მავნებლობის ახალი ფორმები,
ჩვენს წარმატებებთან დაკავშირებული საფრთხენი და ა. შ. კაპიტალისტუ-
რი გარემოცვა? ეს ხომ არაფერია! რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს
რაღაც კაპიტალისტურ გარემოცვას, თუ ჩვენ მთლიანად და გადაჭარბე-
ბით ვასრულებთ ჩვენს სამეურნეო გეგმებს? მავნებლობის ახალი ფორ-
მები, ტროკიზმთან ბრძოლა? ყოველივე ეს უბრალო რამა! რა მნიშვნე-
ლობა შეიძლება ჰქონდეს ყველა ამ წერილმანს, როცა ჩვენ მთლიანად
და გადაჭარბებით ვასრულებთ ჩვენს სამეურნეო გეგმებს? პარტიული
წესდება, პარტორგანოების არჩევნობა, პარტიულ სელმძღვანელთა ანგა-
რიშება პარტიული მასის წინაშე? და განა ყოველივე ეს საჭიროა?
განა ღირს საერთოდ ამ წერილმანებზე თავის ტეხა, თუ ჩვენთან მეურ-
ნეობა იზრდება, ხოლო მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეო-
ბა სულ უფრო და უფრო უმჯობესდება? ყოველივე ეს უბრალო რამა!
გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ, ჩვენი პარტია ცუდი არ არის, არ/კ
პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცუდი, — კიდევ რამა ჯანდაბა
გვინდა? უცნაური ხალხი ზის იქ მოსკოვში, პარტიის ცენტრალურ კომი-
ტეტში: იგონებენ რაღაც საკითხებს, ლაპარაკობენ რაღაც მავნებლობაზე,
თვითონ არ სძინავთ, სხვებსაც არ აძინებენ...

აი თვალსაჩინო შაგალითი იმისა, თუ როგორ აღვილად და „უბრა-
ლოდ“ ავადდება პოლიტიკური სიბეცით ზოგიერთი ჩვენი გამოუცდელი
ამხანაგი სამეურნეო წარმატებებით თავგრულამხვევი გატაცების შედეგად.
ასეთია წარმატებებთან, მიღწევებთან დაკავშირებული საფრთხენი.

ასეთია მიზეზები იმისა, რომ ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა, სამეურ-
ნეო წარმატებებით გატაცებულებმა, დაივიწყეს საერთაშორისო და
საშინაო ხასიათის ფაქტები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ
საბჭოთა კავშირისათვის, და ვერ შეამჩნიეს მთელი რიგი საფრთხენი,
რომლებითაც გარემოცულია ჩვენი ქვეყანა.

ასეთია ჩვენი უდარღელობის, გულმავიწყობის, უზრუნველობის, პო-
ლიტიკური სიბრმავის ფესვები.

ასეთია ჩვენი სამეურნეო და პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა
ფესვები.

ჩვენი აგრძანები

როგორ მოკაბლით ჩვენი მუშაობის ეს ნაკლოვანებანი? რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის?

აუცილებელია განვახორციელოთ შემდეგი ლონისძიებანი:

1) უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია შემოვაძრუნოთ ყურადღება ჩვენი პარტიული ამხანაგებისა, რომლებიც ამათუმიშ უწყების ხაზით ეფლობიან „მიმღინარე საკითხებში“, — საერთაშორისო და საშინაო ხსიათის დაღი პილიტიკური საკითხებისაკენ.

2). აუცილებელია სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური მუშაობა, ამასთან ქვაკუთხედად გატეადოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების პოლიტიკური განათლებისა და ბოლ-შევიკური გამობრძებების ამოცანა.

3) აუცილებელია ვუსტნიდეთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომ სამეურნეო წარმატებანი, რომელთა მნიშვნელობა უდაოდ ძალიან დიდია და რომელთა მიღწევასც ჩვენ ვეცდებით, მომავალშიაც, დღითი-დღე, წლითი-წლობით, — მაინც ვერ ამოსწურავენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთელ საქმეს.

ვუსნიდეთ, რომ თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე-და ხანგრძლივობა მთლიანად და საცხებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდას.

4) აუცილებელია გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ კაპიტალისტური გარემონტუ წარმოადგენს ძირითად ფაქტს, რომელიც განსაზღვრავს საბჭოოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას.

გვახსოვდეს და არასოდეს არ ვივიწყებდეთ, რომ სანამ არსებობს კა-
პიტალისტური გარემოცვა, — იარსებებენ მავნებლები, დივერსანტები,
ჯაშუშები, ტერორისტები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ზურგში გზავ-
ნიან უცხოეთის სახელმწიფოთა მშვერავი ორგანოები, გვახსოვდეს ეს და ვა-
წარმოოთ ბრძოლა იმ ამხანაგებთან, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასე-
ბენ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტის მნიშვნელობას, რომლებიც ვერ
აფასებენ მავნებლობის ძალასა და მნიშვნელობას.

კუსტომის მიერ გადასახლების შემთხვევაში, რომ არავითარ სამეცნიერო
წარმატებებს, რა-რიგ დიდი უნდა იყვნენ ისინი, არ შეუძლიანთ გააძა-

თილონ კაბიტალისტური გარემოცვის ფუქტი და ამ ფუქტიდან გამომდინარე შედეგები.

შივილოთ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ ჩვენს ამხანაგებს, პარტიულ და უპარტიო ბოლშევკიებს, შესაძლებლობა ჰქონდეთ გაეცნონ უცხოეთის მზვერავ ორგანოთა მავნებლურ-დივერსიული და ჯაშუშური მუშაობის მიზნებსა და ამოცანებს, პრაქტიკასა და ტექნიკას.

5) აუცილებელია განვუმარტოთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, რომ ტროცკისტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხოეთის მზვერავ ორგანოთა დავერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური მუშაობის აქტიურ ელემენტებს, უკვე დიდი ხანია აღარ არიან პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში, რომ ისინი უკვე დიდი ხანია აღარ ემსახურებიან რაიმე იდეას, რომელიც შეიძლება შეთავსებულ იქნას მუშათა კლასის ინტერესებთან, რომ ისინი გადაიქცნენ მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდად, რომლებიც მუშაობენ უცხოეთის მზვერავ ორგანოთა დაქირავებით.

განვუმარტოთ, რომ თანამედროვე ტროცკიზმთან ბრძოლაში ახლა საჭიროა არა დევლი მეთოდები, არა დისკუსიის მეთოდები, არამედ ახალი მეთოდები, ძირფესვიანად ამოგდებისა და განადგურების მეთოდები.

6) აუცილებელია განვუმარტოთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს განსხვავება ახლანდელ მავნებლებსა და შახტის პერიოდის მავნებლებს შორის, განვუმარტოთ, რომ თუ შახტის პერიოდის მავნებლები ატყუებდნენ ჩვენს აღამიანებს ტექნიკაში, სარგებლობდნენ რა შათი ტექნიკური ჩამორჩენილობით, ახლანდელი მავნებლები, რომლებსაც პარტიული ბილეთი გააჩინათ, ატყუებენ ჩვენს აღამიანებს მათლაში, როგორც პარტიის წევრებისადმი, პოლიტიკური ნდობის წყალობით, სარგებლობენ რა ჩვენი აღამიანების პოლიტიკური უდარდელობით.

ქველ ლოზუნგს ტექნიკის დაუფლების შესახებ, რომელიც შახტის დროის პერიოდს შეესაბამებოდა, აუცილებელია დაემატოს ახალი ლოზუნგი კადრების პოლიტიკური აღზრდის შესახებ, ბოლშევკიზმის დაუფლების შესახებ და ჩვენი პოლიტიკური გულდანდობის ლიკვიდაციის შესახებ, ლოზუნგი, რომელიც საფსებით შეესაბამება ახლანდელ მიმდინარე პერიოდს.

შეუძლიათ გვკითხონ: განა არ შეიძლებოდა ათა წლის წინათ, შახტის დროის პერიოდში, ერთბაშად მიგვეცა ორივე ლოზუნგი, პირველი ლოზუნგიც ტექნიკის დაუფლების შესახებ, და მეორე ლოზუნგიც კადრების პოლიტიკური აღზრდის შესახებ? არა, არ შეიძლებოდა. ჩვენს ბოლშევკიურ პარტიაში საქმეები ასე არ კეთდება. რევოლუციური მოძრაობის მიზანების მომენტებში ყოველთვის ვაყენებოთ ერთ რომელიმდე ძირითად ლოზუნგს, როგორც საკანძოს, რათა სელი ჩავჭიდოთ მას და მისი ძაშუალებით მთელი ჯაჭვი ამოვწიოთ. ლენინი ჩვენ ასე გვასწავლიდა: გამონახეთ ძირითადი რევოლუციური მუშაობის ჯაჭვში, ხელი ჩასჭიდეთ მას და ამოსწიეთ იგი, რათა მისი საშუალებით ამოსწიოთ მთელი ჯაჭვი და წინ გაემართოთ. რევოლუციური მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს

ტაქტიკა ერთადერთი სწორი ტაქტიკაა. შახტის პერიოდში ჩვენი აღა-
მიანების სისუსტე მათს ტექნიკურ ჩამორჩენილობაში მდგომარეობდა. ამა
პოლიტიკური, არამედ ტევაიკური საყითხები შეადგენდნენ ბაშინ ჩვენ-
თვის სუსტ ადგილს. რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ დამოკიდებულებას
მაშინდელ მავრებლებთან, იგი სავსებით ნათელი იყო, როგორც ბოლშე-
ზეკების დამოკიდებულება პოლიტიკურად უცხო აღამიანებთან. ჩვენ
მოვახდინეთ ამ ჩვენი ტექნიკური სისუსტის ლიკვიდაცია იმით, რომ წამოვა-
ჟენეთ ლოზუნგი ტექნიკის დაუფლების შესახებ და განვლილ პერიოდში
აოეული და ასეული ათასობით აღვზარდეთ ტექნიკურად გამოწარობილი
ბოლშევიკური კადრები. სხვა საქმეა ახლა, როდესაც ჩვენ უკავ გვყავს
ტექნიკურად გამოწრობილი ბოლშევიკური კადრები და როდესაც მავ-
რებელთა როლში გამოდიან არა აშკარად უცხო აღამიანები, რომელთაც
ამასთანავე ჩვენს აღამიანებთან შედარებით აჩვითარი ტექნიკური უპი-
რატესობანი არა აქვთ, არამედ აღამიანები, რომელთაც გააჩნიათ პარტი-
ული ბილეთი და რომელნიც პარტიის წევრთა ყველა უფლებით სარგებ-
ლობენ. ახლა ჩვენი აღამიანების სისუსტეს შეადგენს არა ტექნიკური ჩა-
მორჩენილობა, არამედ პოლიტიკური უდარდელობა, ბრძან ნდობა აღა-
მიანებისადმი, რომელთაც პარტიული ბილეთი შემოხვევით მიუღიათ, ის
გარემოება, რომ აღამიანთა შემოწმება ხდება მათი პოლიტიკური დეკ-
ლარაციების მიხედვით და არა მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. ახ-
ლა საკვანძო საკითხს ჩვენთვის წარმოადგენს არა ლიკვიდაცია ჩვენი
კადრების ტექნიკური ჩამორჩენილობისა, ვინაიდან იგი ძირითადად უკავ
ლიკვიდირებულია, არამედ ლიკვიდაცია პოლიტიკური უდარდელობისა და
პოლიტიკური გულდანდობისა მავრებლებისადმი, რომელთაც შემთხვევით
ჩაუგდიათ ხელში პარტიული ბილეთი.

ასეთია ძირეული განსხვავება შახტის დროის პერიოდში კადრებისათ-
ვის ბრძოლის საქმეში საკვანძო საკითხსა და ახლანდელი პერიოდის საკ-
ვანძო საკითხს შორის.

ამ რატომ არ, შევეძლო და არც უნდა წამოგვეყენებინა აფი წლის
წინათ ერთბაშად ორივე ლოზუნგი, ლოზუნგიც ტექნიკის დაუფლების შე-
სახებ და ლოზუნგიც კადრების პოლიტიკური აღზრდისა და ჩვე-
ნი პოლიტიკური უდარდელობის ლიკვიდაციის შესახებ.

ამ რატომ არის აუცილებელი, რომ ძველ ლოზუნგს ტექნიკის
დაუფლების შესახებ ახლა დაგუმატოთ ახალი ლოზუნგი ბოლშე-
ვიზმის დაუფლების შესახებ, კადრების პოლიტიკური აღზრდისა და ჩვე-
ნი პოლიტიკური უდარდელობის ლიკვიდაციის შესახებ.

7) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ დამპალი თეორია-იმის
შესახებ, რომ ყოველ ჩვენს წინწაწევასთან ერთად კლასობრივი ბრძოლა
ჩვენში თითქოს უფროდაუფრო უნდა ქრებოდეს, რომ ჩვენს წარმატებებ-
თან ერთად კლასობრივი მტერი თითქოს უფროდაუფრო მოთვინიერებუ-
ლი ხდებოდეს.

ეს არა მარტო დამპალი თეორიაა, არამედ საშიში თეორიაც არის,
ვინაიდან იგი ძინებს ჩვენს აღამიანებს, ხაფანგში აბამს მათ, კლასობ-

რივ მტერს კი შესაძლებლობას აძლევს წელში გაიმართოს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად.

პირიქით, რაც უფრო წინ წავიწევთ, რაც უფრო მეტი წარმატებანი გვექნება, მით უფრო გაბოროტდებიან განადგურებული ექსპლოატატორული კლასების ნაშთები, მით უფრო მაღლე წავლენ ისინი ბრძოლის უფრო მწვავე ფორმებზე, მით უფრო ავნებენ ისინი საბჭოთა სახელმწიფოს, მით უფრო ჩასჭიდებენ ხელს ბრძოლის ყველაზე უფრო გააფთრებულ საშუალებებს, როგორც განწირულთა უკანასკნელ საშუალებებს.

მხედველობაში უნდა ვიქინიოთ, რომ განადგურებული კლასების ნაშთები სსრ კავშირში მარტონი არ არიან. მათ პირდაპირ დახმარებას უწევენ ჩვენი მტრები სსრ კავშირის ფარგლებს იქით. შეცდომა იქნებოდა გვეთიქრა, რომ კლასობრივი ბრძოლის სფერო განსაზღვრულია სსრ კავშირის ფარგლებით. თუ კლასობრივი ბრძოლის ერთი ბოლო მოქმედებს სსრ კავშირის ფარგლებში, მეორე მისი ბოლო გაქიმულია ჩვენს გარემომცველ ბურუჟაზიულ სახელმწიფოთა ფარგლებში. ეს არ შეუძლიანოთ არ იცოდნენ განადგურებული კლასების ნაშთებმა. და სწორედ იმიტომ, რომ მათ ეს იციან, ისინი მომავალშიაც განაგრძობენ თავიანთ გააფთრებულ გამოლაშქრებებს.

ასე გვასწავლის ჩვენ ისტორია. ასე გვასწავლის ჩვენ ლენინიზმი.

აუცილებელია ყველაფერი ეს გვახსოვდეს და ფხიზლად ვიყოთ.

8) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ მეორე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს, თითქოს მავნებელი არ შეიძლება იყოს ის, ვინც ყოველთვის არ მავნებლობს და ვინც თუნდაც ხანდახან გვიჩვენებს წარმატებებს თავის მუშაობაში.

ეს უცნაური თეორია ამხელს მის ავტორთა გულუბრყვილობას. არცერთი მავნებელი ყოველთვის არ გასწევს მავნებლობას, თუ მას არ სურს გამოაშეარავებულ იქნას ფრიად მოკლე ვადაში. პირიქით, ნამდვილმა მავნებელმა დროდადრო უნდა გვიჩვენოს წარმატებანი თავის მუშაობაში, ვინაიდან ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ თავი შეინახოს, როგორც მავნებელმა, ნდობა მოიხვეჭოს და განაგრძოს თავისი მავნებლური მუშაობა.

ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ნათელია და შემდგომს განმარტებებს არ საჭიროებს.

9) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ მესამე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს, რომ სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულება თითქოს არარად აქცევს მავნებლობას და მავნებლობის შედეგებს. მსგავს თეორიას შეუძლიან ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიზანი: ულტიმინოს ჩვენს მუშაკთა საუწყებო თავმოყვარეობას, დაამშვიდოს ისინი და შეასუსტოს მათი ბრძოლა მავნებლობასთან.

ჩას ნიშავს — „ჩვენი სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულება“?

ჯერ-ერთი, დამტკიცებულია, რომ ყველა ჩვენი სამეურნეო გეგმა დაპატარავებულია, ვინაიდან ისინგ არ თვალისწინებენ იმ უდიდეს რე-

ზერვებსა და შესაძლებლობებსკ, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში იმაღება.

შეორე, სახალხო კომისარიატების ხაზით მთლიანად სამეურნეო გეგმების ჯამბრივი შესრულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ზოგიერთ ფრიად მნიშვნელოვან დარგშიც ასევე სრულდებოდეს გეგმები. პირიქით, ფაქტები გვეუბნებიან, რომ მთელი რიგი სახალხო კომისარიატები, რომელთაც მთლიანად და გადაჭარბებითაც კი შესარულეს წლიური სამეურნეო გეგმები, სისტემატურად არ ასრულებენ გეგმებს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ ფრიად მნიშვნელოვან დარგში.

მესამე, არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ მავნებლები მხილებულნი და გაძევებულნი რომ არ ყოფილიყვნენ, სამეურნეო გეგმების შესრულების მხრივ საქმე ბევრად უფრო უარესად იქნებოდა, რაც უნდა დაიხსომონ განხილული თეორიის ბეცმა ავტორებმა.

მეოთხე, მავნებლები ჩვეულებრივ თავის მთავარ მავნებლურ მუშაობას უფარდებენ არა მშვიდობიანი დროის პერიოდს, პარამეტრების წინახანის ან თვით ომის პერიოდს. ვთქვათ, ჩვენ დაგვეწყო თავის დამშვიდება დამპალი თეორიით „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ და ხელი არ გვეხლო მავნებლებისათვის. წარმოდგენილი აქვთ თუ არა ამ დამპალი თეორიის ავტორებს, თუ რა კოლოსალურ ზიანს მიაყენებდნენ მავნებლები ჩვენს სახელმწიფოს ომის შემთხვევაში, მათვის რომ საშუალება მიგვეცა დარჩენილიყვნენ ჩვენი სახალხო მეურნეობის წიაღში „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ დამპალი თეორიის საფარველ ქვეშ?

განა ცხადი არ არის; რომ თეორია „სამეურნეო გეგმების სისტემატური შესრულების“ შესახებ არის მავნებლებისათვის ხელსაყრელი თეორია?

10) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ მეოთხე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს, რომ სტახანოვური მოძრაობა თითქოს წარმოადგენს მავნებლობის ლიკვიდაციის ძირითად საშუალებას.

ეს თეორია გამოვინილია იმისათვის, რომ სტახანოველებზე და სტახანოვურ მოძრაობაზე ლაყბობის ხმაურში დარტყმა ააშორონ მავნებლებს.

ამხ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში დაასახელა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც გვეუბნებიან, რომ ტროცკისტი და არატროცკისტი მავნებლები კუჭბასსა და ღონბასში, ბოროტად იყენებდნენ რა ჩვენი პოლიტიკურად უდარდელი ამხანაგების ნდობას, სისტემატურად ატყუებდნენ სტახანოველებს, ბორბლებში ჯოხებს უყრილნენ მათ, ხელოვნურად უქმნილნენ მთელ რიგ დაბრკოლებებს მათს წარმატებითს მუშაობას და, ბოლოს, შიაღწიეს იმას, რომ შეშალეს მათი მუშაობა. რა შეუძლიანთ გარტო სტახანოველებს, თუ კაპიტალური მშენებლობის მავნებლურ გაძლოლას, ვთქვათ, ღონბასში, მოჰყვა გათიშვა ქვანახშირის ამოღების მოსამზადებელ სამუშაოებსა, რომელნიც ტემპებს ჩამორჩებიან, და ყველა სხვა სამუშაოს შორის? განა ცხადი არ არის, რომ თვითონ სტახანოვური მოძრაობა საჭიროებს ჩვენი მხრივ რეალურ დახმარებას მავნებლების ყველა და ყო-

ველგვარი მაქინაციის წინააღმდეგ, რათა წინ წასწიოს საჭმე და შეასრულოს თავისი დიადი მისია? განა ცხადი არ არის, რომ ბრძოლა მავნებლობასთან, ბრძოლა მავნებლობის ლიკვიდაციისათვის, მავნებლობის ალაგმება წირმოადგენს აუცილებელ პირობას, რათა სტახანოვურმა მოძრაობამ შესძლოს მთელი სიგრძე-სიგანით გაშლა?

მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხიც ნათელია და შემდგომს განმარტებება არ საჭიროებს.

11) აუცილებელია დავამსხვრიოთ და უკუვაგდოთ მეხუთე დამპალი თეორია, რომელიც ამბობს იმას, რომ ტროცკისტულ მავნებლებს თითქოს უკვე აღარა ჰყავთ რეზერვები, რომ ისინი თითქოს აგროვებენ თავიანთ უკანასკნელ კადრებს.

ეს არ არის მართალი, ამხანაგებო. ასეთი თეორიის გამოგონება მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეეძლოთ. ტროცკისტ მავნებლებს ჰყავთ თავიანთი რეზერვები. ისინი უწინარეს ყოვლისა შესდგებიან სსრკავშირში განადგურებული ექსპლოატატორთა კლასების ნაშთებისაგან. ისინი შესდგებიან საბჭოთა კავშირისადმი მტრული მთელი რიგი ჯგუფებისა და ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის ფარგლებს იქით.

ავილოთ, მაგალითად, ტროცკისტული კონტრრევოლუციური IV ინტერნაციონალი, რომლის ორ მესამედს ჯაშუშები და დივერსანტები შეადგენენ. რითი არ არის ეს რეზერვი? განა ცხადი არ არის, რომ ეს ჯაშუშური ინტერნაციონალი გამოჰყოფს კადრებს ტროცკისტთა ჯაშუშურ-მავნებლური მუშაობისათვის?

ანდა კიდევ, ავილოთ, მაგალითად, ნორვეგიაში გაიძვერა შეფლოს ჯგუფი, რომელმაც თავშესაფარი მისცა ობერ-ჯაშუშ ტროცკის და რომელიც ეხმარებოდა მას საბჭოთა კავშირისათვის ზიანის მიყენებაში. რითი არ არის ეს ჯგუფი რეზერვი? ვის შეუძლიან უარპყოს, რომ ეს კონტრრევოლუციური ჯგუფი მომავალშიაც არ გაუწევს სამსახურს ტროცკისტ, ჯაშუშებსა და მავნებლებს?

ანდა კიდევ, ავილოთ, მაგალითად, ისეთივე გაიძვერის, როგორც შეფლო, მეორე ჯგუფი, სუვარინის ჯგუფი საფრანგეთში. რითი არ არის იგი რეზერვი? განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ გაიძვერათა ეს ჯგუფიც დახმარებას გაუწევს ტროცკისტებს მათს ჯაშუშურ-მავნებლურ-მუშაობაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ?

ხოლო ყველა ეს ვაჟბატონები გერმანიიდან, ყოველგვარი რუტ ფიშერები, მასლოვები, ურბანსები, რომლებმაც სული და სხეული ფაშისტებს შივიდეს, — რითი არ არიან ისინი რეზერვი. ტროცკისტული ჯაშუშურ-მავნებლური მუშაობისათვის?

ანდა, მაგალითად, ამერიკელ მწერალთა ცნობილი ურდო ცნობილი უშლიკის ისტმენის მეთაურობით, კალმის ყველა ეს აკაზაკნი; რომლებიც სწორედ, იმით ცხოვრობენ, რომ ცილს წამებენ სსრ კავშირის მუშაობას, — რითი არ არიან ისინი რეზერვი ტროცკიზმისათვის?

არა, უნდა უკუვაგდოთ დამპალი თეორია, იმის შესახებ, რომ ტროცკისტები თითქოს აგროვებენ უკანასკნელ კადრებს.

12) ბოლოს, აუცილებელია დაგამსხვრიოთ და უკუგადოთ კიდევ ერთი დამპალი თეორია, რომელიც ამბობს იმას, რომ ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკები, ბევრნი ვართ, ხოლო მავნებლები ცოტანი არიან, ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკებს, მხარს გვიჭრებ ათეული მილიონობით აღმიანები, ტროცკისტ მავნებლებს კი მხოლოდ ერთეულები და ათეულები, ჩვენ, ბოლშევიკებს, შეგვეძლო. არც კი მიგვექცია ყურადღება რაღაც ერთი მუჭა მავნებლებისათვის.

ეს არ არის სწორი, ამხანაგებო. ეს უცნაურზე უცნაური თეორია გაშოგონილია იმისათვის, რომ ანუგეშოს ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგი, რომლებმაც მარცხი განიცადეს მუშაობაში მავნებლობასთან ბრძოლის უნარის უქონლობის გამო, და მიაძინოს მათი სიფხიზლე, მისცეს შათ საშუალება დაშვიდებით იძინონ.

ტროცკისტ მავნებლებს რომ მხარს უჭერენ ერთეულები, ხოლო ბოლშევიკებს ათეული მილიონობით აღამიანები — ეს, რა თქმა უნდა, სწორია. შეგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარებს, რომ მავნებლებს არ შეუძლიანთ უალრესად სერიოზული ზიანი მიაყენონ ჩვენს საქმეს. საქმე რომ გაგვიფუჭონ და ზიანი მოვაყენონ, ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო აღამიანთა დიდი რაოდენობა. ღნეპრომშენის ასაშენებლად საჭიროა ათეული ათასობით მუშების გამოყენება. ხოლო იგი რომ ააფეთქო, ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს რამდენიმე ათეული კაცი, მეტი არა. იმის დროს რომ ბრძოლა მოიგო, ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს წითელარმიელთა რამდენიმე კორპუსი. ხოლო ეს მოგება რომ ჩაშალოვორნობრზე, ამისათვის საკმარისია რამდენიმე ჯაშუში საღმე არმიის შტაბში ან თუნდაც დივიზიის შტაბში, რომელთაც შეუძლიანთ მოიპარონ ოპერატორული გეგმა და გადასცენ იგი მოწინააღმდეგებს. რკინიგზის დიდი ზიდი რომ ააგო, ამისათვის საჭიროა ათასობით აღამიანები. მაგრამ იგი რომ ააფეთქო, ამისათვის საკმარისია სულ რამდენიმე კაცი. ასეთი მაგალითები შეიძლებოდა მოგვეყვანა ათობით და ასობით.

მაშასადამე. არ შეიძლება თავი ვინუგეშოთ იმით, რომ ჩვენ ბევრნა ვართ, ხოლო ისინი, ტროცკისტი მავნებლები, ცოტნი.

უნდა შეგალწიოთ იმას, რომ ისინი, ტროცკისტი მავნებლები, სრულიად არ იყვნენ ჩვენს რიგებში.

ასეთია საქმის ვითარება იმ საკითხის თაობაზე, თუ როგორ მოესპონ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, რომლებიც საერთოა ყველა ჩვენი, როგორც სამეურნეო და საბჭოთა, ისე ადმინისტრატიული და პარტიული, რეგანიზაციებისათვის.

ასეთია ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოვსპონ ეს ნაკლოვანებანი.

რაც შეებება სპეციალურად პარტიულ ორგანიზაციებს და ნაკლოვანებებს მათს მუშაობაში, ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე საკმაოდ დაწვრილებითაა ლაპარაკი რეზოლუციის. იმ პროექტში, რომელიც თქვენს განსახილველად იქნება წარმოდგენილი. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო ბევრი ვილაპარაკოთ აქ საქმის ამ მხარეზე.

მინდოდა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მეთქვა ჩვენი პარტიული კადრების პოლიტიკური მომზადებისა და გაუკეთესების საკითხზე.

მე ვფიქრობ, ჩვენ რომ შევძლებდეთ, ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოვამზადოთ და იმგარად გამოვაწროთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარჩვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი საესებით მომწიფებულ ლენინელებად, შარქსისტებად, რომელთაც ექნებათ უნარი გადასჭრან სერიოზული შეცდომების დაუშვებლად ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ჩვენ ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეთედს.

როგორ არის ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის საქმე?

ჩვენი პარტიის შემადგენლობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ხელმძღვანელ ფენებს, არის 3—4 ათასამდე უმაღლესი ხელმძღვანელი ეს არის, მე ვიტყოდი, ჩვენი პარტიის გენერალიტეტი.

შემდეგ მიღის 30—40 ათასი საშუალო ხელმძღვანელი. ეს არის ჩვენი პარტიული ოფიციალობა.

შემდეგ მიღის დაბალ პარტიულ მეთაურთა შემადგენლობის 100—150 ათასი კაცი. ეს არის, ასე ვთქვათ, ჩვენი პარტიული უნტეროფიცრობა.

ავამაღლოთ მეთაურთა ამ კადრების იდეოლოგიური ღონე და პოლიტიკური გამოწრობა, შევმატოთ ამ კადრებს ახალი ძალები, რომელნიც ელიან თავის დაწინაურებას, და აშენარად გავაფართოთ ხელმძღვანელთა კადრების შემადგენლობა, — აი ამოცანა.

რა არის საჭირო ამისათვის?

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია წინადადება მივცეთ ჩვენს პარტიულ ხელმძღვანელებს, დაწყებული უჯრედების მდივნებით და გათავებული სოლქო და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების მდივნებით, შეირჩიონ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ოპ-ორი კაცი, ორ-ორი პარტიული მუშაკი, რომლებიც შესძლებენ იყონ მათი ნამდვილი მოადგილები. შეიძლება სთქვანი: სად მოვნახოთ ისინი, ორი მოადგილე თვითეულისათვის, ჩვენ არ გვყვანან ასეთი ადამიანები, არ გვყვანან სათანადო მუშაკებიო. ეს არ არის სწორი, ამხანაგებო. უნარიანი ადამიანები, ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ათეული ათასობით ვკუჭანან. ოლონ საჭიროა იცნობდე მათ და დროულად აწინაურებდე, რათა მათ ძეველ ადგილზე ხავის არ მოეკიდოთ და ლპობა არ იწყონ. ეძიებდეთ და პჰოვებდეთ.

შემდეგ. უჯრედთა მდივნების პარტიული სწავლებისა და გადამზადებისათვის აუცილებელია შევქმნათ თვითეულ სოლქო ცენტრში ოთხთვიანი „პარტიული კურსები“. ამ კურსებზე უნდა გაიგზავნონ ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის (უჯრედების) მდივნები, მერე კი, მათ მიერ კურსების გავლისა და ადგილზე დაბრუნების შემდეგ, — მათი მოადგილენი და პირველადი პარტიორგანიზაციების ყველაზე ნიჭიერი წევრები.

შემდეგ. რაიონულ ორგანიზაციათა პირველი მდივნების პოლიტიკური გადამზადებისათვის აუცილებელია შევქმნათ სსრ კავშირში, ვთქვათ, 10 ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრში, რვათვიანი „ლენინური კურსები“. ამ

კურსებზე უნდა გაიგზავნონ რაიონულ და საკურსებო პარტიულ ორგანიზაციათა პირველი მდივნები, მერე კი, მათ მიერ კურსების გავლისა და ადგილზე დაბრუნების შემდეგ,—მათი მოადგილენი და რაიონულ და საკურსებო ორგანიზაციათა ყველაზე ნიკიერი წევრები.

შემდეგ. საქალაქო ორგანიზაციათა მდივნების იდეოლოგიური გადამზადებისა და პოლიტიკური სრულყოფისათვის აუცილებელია შევქმნათ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან ექვსთვიანი „პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის კურსები“. ამ კურსებზე უნდა გაიგზავნონ საქალაქო ორგანიზაციათა პირველი ან მეორე მდივნები, მერე კი, მათ მიერ კურსების გავლისა და ადგილზე დაბრუნების შემდეგ,— საქალაქო ორგანიზაციათა ყველაზე ნიკიერი წევრები.

ბოლოს, აუცილებელია შევქმნათ საკ. კ. პ. (ბ). ცენტრალურ კომიტეტთან ექვსთვიანი „თათბირი საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე“. აქ უნდა გაიგზავნონ საოლქო და სამხარეო ორგანიზაციებისა და ნაციონალური კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები. ამ ამხანაგებმა უნდა მოვცერ არა ერთი, არამედ რამდენიმე ცვლა, რომლებიც შესძლებენ შესცვალონ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელები. ეს აუცილებელია და ეს უნდა გაკეთდეს.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო.

ამრიგად ჩვენ ალვინიშვერთ ჩვენი მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებანი, როგორც ისინი, რომლებიც საერთოა ყველა ჩვენი ორგანიზაციისათვის, სამეურნეო, ადმინისტრატიული, პარტიული ორგანიზაციებისათვის, ისე ისინიც, რომლებიც ახასიათებენ მხოლოდ სპეციალურად პარტიულ ორგანიზაციებს, ნაკლოვანებანი, რომელიც იყენებენ მუშათა კლასის მტრები თავისი დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშურ-ტერორისტული მუშაობისათვის.

შემდეგ, ჩვენ დავსახეთ ძირითადი ღონისძიებანი, რომელნიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოვსპოო ეს ნაკლოვანებანი და უვნებელვყოს უცხოეთის მზეერავი ორგანოების ტროციკისტ-ფაშისტ აგენტთა დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშურ-ტერორისტული გამოლაშქრებანი.

იბადება კითხვა, შეგვიძლიან თუ არა განვახორციელოთ ყველა ეს ღონისძიება, გვაჭვს თუ არა ამისათვის ყველა აუცილებელი შესაძლებლობა?

უთუოდ, შეგვიძლიან. შეგვიძლიან, რადგან ჩვენს განკარგულებაში გვაქვს ყველა საშუალება, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს ღონისძიებანი.

რალა გვაქლია ჩვენ?

გვაკლია მხოლოდ ერთი რამ: მზადყოფნა მოვსპოო ჩვენი საკუთარი უდარდელობა, ჩვენი საკუთარი უზრუნველობა, ჩვენი საკუთარი პოლიტიკური სიბეცე.

ამაშია დაბრკოლება..

მაგრამ ნუთუ ჩვენ ვერ შევძლებთ ბოლო მოვულოთ ამ სისაცილო და დიოტურ ავაღმყოფობას, ჩვენ, ომლებმაც დავამხეთ კაპიტალიზმი, აფა-შენეთ ძირითადად სოციალიზმი და აღმართეთ მსოფლიო კომუნიზმის დიადი დროშა?

ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ უსახულდ ბოლოს მოვულებთ მას, თუ, რა თქმა უნდა, ამას მოვიწადინებთ. ბოლოს მოვულებთ არა უბრალოდ, არამედ ბოლშევიკურად, როგორც წესი და რიგია.

და როდესაც ჩვენ ბოლოს მოვულებთ ამ იდიოტურ ავაღმყოფობას, ჩვენ შევძლებთ სრული რწმენით ვთქვათ, რომ ჩვენთვის საშიში არ არიან არავითარი მტრები, არც შინაურნი, არც გარეშენი, ჩვენთვის საშიში არ არის მათი გამოლაშქრებანი, ვინაიდან ჩვენ მათ მომავალში ისევე დავა-მარცხებთ, როგორც ვამარცხებთ მათ აწმყოში, როგორც ვამარცხებდით მათ წარსულში (ტაში).

ამხანაგ სტალინის საბოლოო სიტუაცია
სპ. კ. 3. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კლენუაზე
1937 წლის 5 მარტს

ამხანაგებო!

მე ჩემს მოხსენებაში ვლაპარაკობდი განსახილველი საქმის ძირითად საკონტაქტზე, კამათმა გვიჩვენა, რომ ჩვენ ახლა გვაქვს სრული სიცხადე, გვაქვს ამოცანების გაგება და არის მზადყოფნა მოვსპოთ ჩვენი მუშაობის ჩაკლოვანებანი. მაგრამ კამათმა გვიჩვენა აგრეთვე, რომ არის ჩვენი ორგანიზაციულ-პოლიტიკური პრაქტიკის ზოგიერთი კონკრეტული საკითხი, რომელთა სავსებით ნათელი გაგება ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს. ასეთი საკითხები მე დავითვალე შვიდი.

ნება მიბოძეთ ვთქვა რამდენიმე სიტყვა ამ საკითხებზე.

1) უნდა ვიფიქროთ, ახლა ყველაზ გაიგო, შეიგნო, რომ სამეურნეო კამპანიებითა და სამეურნეო წარმატებებით უზომოდ გატაცებას პარტიულ-პოლიტიკური საკითხების შეუფასებლობისა და დავიწყებისას — ჩიხისკენ მივყევართ. მაშასადამე, აუცილებელია მუშაკების ყურადღება მოვაბრუნოთ პარტიულ-პოლიტიკური საკითხებისაკენ, რათა სამეურნეო წარმატებანი შეეხამებოდნენ და მიღიღდნენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებების გვერდით.

როგორ განვათორციელოთ პრაქტიკულად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ამოცანა, სამეურნეო წვრილმანებისაგან პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლების ამოცანა? როგორც კამათიდან სჩანს, ზოგიერთი ამხანაგი მზად არის გამოიყვანოს აქედან უმართებულო დასკვნა ამის შესახებ, რომ ახლა ვითომ მოვახდება სრულიად ჩამოვშორდეთ სამეურნეო მუშაობას. ყოველ შემთხვევაში იყო ხმები: ახლა კი, ძალის დრობა ღმერთს, განვთავისუფლდებით სამეურნეო საქმეებისაგან, ახლა წესაძლებელია პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობასაც მოვკიდოთ ხელით. სწორია თუ არა ეს დასკვნა? არა, არ არის სწორი. როდესაც ჩვენი პარტიული ამხანაგები, სამეურნეო წარმატებებით გატაცებულნი, შორდებინდნენ პოლიტიკას, ეს იყო უკიდურესობა, რომელიც ჩვენ დიდ მსხვერპლად დაგვიჯდა. თუ ახლა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, ხელს მოჰკიდებს რა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, განიზრახავს ჩამოშორდეს მეურნეობას, მაშინ ეს იქნება მეორე უკიდურესობა, რომელიც ჩვენ არანაკლებ მსხვერპლად დაგვიჯდება. არ, შეიძლება ერთი უკიდუ-

რესობიდან მეორეს აწყდებოდე. არ შეიძლება პოლიტიკის გამოყოფა შეურნეობისაგან. ჩვენ არ შეგვიძლიან ჩამოვშორდეთ მეურნეობას ისევე, როგორც არ შეგვიძლიან ჩამოვშორდეთ პოლიტიკას. შესწავლის გასა-ადვილებლად აღამინები ჩვეულებრივ მეურნეობის საკითხებს მეთოდო-ლოგიურად გამოყოფენ ხოლმე პოლიტიკის საკითხებისაგან. მაგრამ ეს ზდება მხოლოდ მეთოდოლოგიურად, ხელოვნურად, მხოლოდ შესწავ-ლის გასაადვილებლად. ცხოვრებაში, პირიქით, პრაქტიკულად პოლი-ტიკა და მეურნეობა განუყრელი არიან. ისინი არსებობენ ერთად და მოქმედებენ ერთად. და ის, ვინც ფიქრობს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში, ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა. პოლიტიკური მუშაობის დამცირების ფასად ან, პირიქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის დამცირების ფასად, — იგი აუცილებლად ჩიხში ეჭევა.

სამეურნეო წვრილმანებისაგან პარტიული ორგანიზაციების განთავი-სუფლებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ. რეზოლუციის პროექტის ცნობილი პუნქტის აზრი მდგომარეობს. არა იმაში, რომ ჩამოვშორდეთ სამეურნეო მუშაობას და სამეურნეო ხელმძღვანელობას, არამედ მხოლოდ იმაში, რომ მეტად აღარ დავუშვათ სამეურ-ნეო ორგანოების, მათ შორის და განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორ-განოების, შეცვლისა და გაუპიროვნების პრაქტიკა ჩვენი პარტიული ორ-განიზაციების მიერ. მაშასადამე, აუცილებელია შევითვისოთ სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი, რაც იმა-ში მდგომარეობს, რომ სისტემატურად დავეხმაროთ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას. არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ შათი საშუალებით. საჭიროა მივცეთ სამეურნეო ორგანოებს და უწინარეს ყოვლისა სამიწათმოქმედო ორგანოებს საუკეთესო აღამინები, საჭიროა შევავსოთ ეს ორგანოები ახა-ლი საუკეთესო მუშაებით, რომლებსაც უნარი შესწევთ შეასრულონ მათ-ზე. დაკისრებული ამოცანები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს მუშაობა შეს-რულდება, შეიძლება იმის იმედი ვიქონიოთ, რომ პარტიული ორგანიზა-ციები საგებით განთავისუფლებული იქნებიან სამეურნეო წვრილმანები-საგან. გასაგებია. რომ ეს საჭმე სერიოზულია და ერთგვარ დროს მოით-ხოვს. მაგრამ სანამ ეს არ გაკეთებულა, პარტიულ ორგანიზაციებს კვლა-ვაც დასჭირდებათ, განსაზღვრული მოკლე ვადის მანძილზე, პირისპირ მუ-შაობდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმეებზე მთელი მათი წვრილმანებით, ხენით, თესვით, მოსავლის აღებით და სხვა.

2) ორი სიტყვა მავნებლებზე, დივერსანტებზე: ჯაშუშებზე და სხვ. მევფიქრობ, ახლა ყველასათვის ნათელია, რომ ახლანდელი მავნებლები და-ლოვერსანტები, რა ბაირალითაც უნდა ინიბებოდნენ ისინი, ტრაციისტუ-ლითა თუ ბუხარინულით, უკვე დიდი ხანია აღარ არიან პოლიტიკური მი-ზღინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომ ისინი გადაიქცნენ პროფესიულ მა-ვნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდიო ბანდად. გასაგებია, რომ მოგვიხდება ამ ვაჟაბატონების ულმობელად გან-

დგურება და აღმოფხვრა, როგორც მუშათა კლასის მტრებისა, როგორც ჩვენი სამშობლოს მოღალატეებისა. ეს ნათელია და შემდგომს განმარტებებს არ საჭიროებს.

მაგრამ აი საკითხი: როგორ განვახორციელოთ პრაქტიკულად ტროცკიზმის იაპონელ-გერმანელი აგენტების განადგურებისა და აღმოფხვრის ამოცანა? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უნდა დავცხოთ და აღმოფხვრაზარა მარტო ნამდვილი ტროცკისტები, არამედ ისინიც, რომლებიც ოდესლაც შერყეობლნენ ტროცკიზმს, არა მარტო ისინი, რომლებიც ნამდვილად არიან მავნებლობის ტროცკისტი აგენტები, არამედ ისინიც, რომლებსაც ოდესლაც ჰქონიათ შემთხვევა გაევლოთ იმ ქუჩაზე, რომელზედაც ოდესმე ამათუმიმ ტროცკისტს გაუვლია? ყოველ შემთხვევაში ასეთი ხები გაისმოდა აქ პლენუმზე. შეიძლება თუ არა სწორად ჩაითვალოს რეზოლუციის ასეთი გაეგბა? არა, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. ამ საკითხში, ისე როგორც ყველა სხვა საკითხში, აუცილებელია ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიღომა. არ შეიძლება ყველას ერთნაირად გაკრეშა. ასეთ ხელალებით მიღომას შეუძლიან მხოლოდ ავნოს ნამდვილ ტროცკისტ მავნებლებთან და ჯაშუშებთან ბრძოლის საჭმეს.

ჩვენს პასუხისმგებელ ამხანაგებს შორის არის ყოფილი ტროცკისტების განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც უკვე დიდი ხანია ჩამოშორდნენ ტროცკიზმს და ტროცკიზმთან ბრძოლას აწარმოებენ. არა უფრო ცუდად, არამედ უკეთესად, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი პატივულმული ამხანაგი, რომელთაც არ ჰქონიათ შემთხვევა გამოეჩინათ მერყეობა ტროცკიზმისაკენ. სისულელე იქნებოდა ახლა ჩირქი მოგვეცხო ასეთი ამხანაგებისათვის.

ჩვენს ამხანაგებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც იდეოლოგიურად მუდამ ტროცკიზმის წინააღმდეგ იდგნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეულ ტროცკისტებთან ჰქონდათ პირადი კავშირი: რომელიც მათ დაუყოვნებლივ მოსპეს, როგორც კი ნათელი გახდა მათვის ტროცკიზმის პრაქტიკული ფიზიონომია. რა თქმა უნდა, ვერ არის კარგი, რომ მათ თავისი პირადი მეგობრული კავშირი ცალკეულ ტროცკისტებთან შესწყვიტეს არა ერთბაშად, არამედ დაგვიანებით. მაგრამ სისულელე იქნებოდა ასეთი ამხანაგები ტროცკისტებთან ერთ ტაფაში მოგვექცია.

3) რას ნიშნავს — სწორად შევარჩიოთ მუშაკები და სწორად გავანაწილოთ ისინი სამუშაოზე?

ეს იმას ნიშნავს, რომ შევარჩიოთ მუშაკები, ჯერ-ერთი, პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ე. ი. ლირის არიან თუ არა ისინი პოლიტიკური ნდობისა და, მეორე, საქმიანი ნიშნის მიხედვით, ე. ი. გამოსაღევი არიან თუ არა ისინი. ამაღამა კონკრეტული მუშაობისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ გადავაქციოთ საქმიანი მიღომა საქმოსნურ შიდგომად, როდესაც აღამიანებს აინტერესებთ მუშაკთა საქმიანი თვა-სებანი, მაგრამ არ აინტერესებთ მათი პოლიტიკური ფიზიონომია.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ გადავაქციოთ პოლიტიკური მიღებობა ერთად—შრო და ამომწურავ მიღებობად, როდესაც ადამიანებს აინტერესებთ მუშაკთა პოლიტიკური ფიზიონომია, მაგრამ არ აინტერესებთ მათი საქმიანი თვისებანი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ ბოლშევიკურ წესს ასრულებენ ჩვენი პარტიული ამხანაგები? სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება. აქ პლენუმზე უკვე ილაპარაკეს ამის შესახებ. მაგრამ ყველაფერი არ უთქვამთ. საქმე ისაა, რომ ეს ნაცადი წესი ჩვენს პრაქტიკაში ირლვევა ძალიან ხშირად და მასთან შეტად უხეშად. უფრო ხშირად მუშაკთა შერჩევა ხდება არა ობიექტური ნიშნების მიხედვით, არამედ შემთხვევითი, სუბიექტური; ობივატელურ-მეშჩანური ნიშნების მიხედვით. უფრო ხშირად შეარჩევენ ხოლმე ეგრეთწოდებულ ნაცნობებს, მეგობრებს, თავისი შეფების შექების ოსტატებს—დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური და საქმიანი გამოსადეგობისა.

გასაგებია, რომ პასუხისმგებელ მუშაკთა ხელმძღვანელი ჯგუფის ნაცვლად ვლებულობთ ახლობელ ადამიანთა ოჯახს, არტელს, რომლის წევრებიც ცდილობენ იცხოვრონ თანხმობით, არ აწყენინონ ერთმანეთს, რა ჟარიჭანონ ნაგავი ქოჩიდან, შეაქონ ერთმანეთი და ხანგამოშვებით გზავნონ ცენტრში გამოფიტულ-ცალიერი და გულისამრევი პატაკები შარმატებათა შესახებ.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი შინაურულობის ვითარებაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არც მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას! არც მუშაობის ხელმძღვანელთა თვითკრიტიკას.

გასაგებია, რომ ასეთი შინაურული ვითარება ჰქმნის ხელსაყრელ წრეს მშენებელთა, ასეთ ადამიანთა გამოსაზრდებლად, რომლებიც მოქლებული არიან თავისი ღირსების გრძნობას და რომლებსაც ამიტომ საერთო არაფერი აქვთ ბოლშევიზმთან.

დაიღოთ, მაგალითად, ამხანაგები მირზოიანი და ვაინოვი. პირველი მალგანი არის კაზახსტანის სამხარეო პარტიული, ორგანიზაციის მდივანი, შეორე — იაროსლავლის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მდივანი. ეს ადამიანები ჩვენს წრეში — უკანასკნელი მუშაკები როდირ არიან. ხოლო როგორ აწარმოებენ ისინი მუშაკების შერჩევას? პირველმა თან გადაიყენა კაზახსტანში აზერბეიჯანიდან და ურალიდან, სადაც იგი წინათ მუშაობდა, 30—40 „თავისი“ კაცი და გაანაწილა ისინი პასუხსაგებ პოსტებზე კაზახსტანში. მეორემ თან გადაიყენა იაროსლავლში დონბასიდან, სადაც იგი წინათ მუშაობდა, ათეულზე მეტი აგრეთვე „თავისი“ კაცი და გაანაწილა ისინი აგრეთვე პასუხსაგებ პოსტებზე. მაშასადამე, ამხანგ მირზოიანს თავისი არტელი აქვს. აქვს იგი ამხანაგ ვაინოვსაც. განა არ შეიძლებოდა მუშაკთა შერჩევა ადგილობრივი ადამიანებისაგან, ეხელმძღვანელნათ-რა ცნობილი ბოლშევიკური წესით ადამიანთა შერჩევისა და განაწილების შესახებ? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მაშ, რატომ არ მოიქცნენ ისინი ასე? იმიტომ, რომ ისინი. არლვევენ მუშაკთა შერჩევის ბოლშევიკურ წესს, რომელიც გამორცხავს ობივატელურ-მეშჩანური

მიდგომის შესაძლებლობას, გამორიცხავს შინაურულობისა და არტელობისა ნიშნებით მუშაკთა შერჩევის შესაძლებლობას. ამას გარდა, არჩევილნენ რა მუშაკებად პირადად ერთგულ ადამიანებს, ამ ამხანაგებს, ალბათ, უნდოდათ შეექმნათ თავისთვის ერთგვარი დამოუკიდებლობის ვითარება როგორც აღგილობრივ ადამიანთა მიმართ, ისე პარტიის ცენტრალური კომისიერების მიმართაც. დავუშვათ, რომ ამხანაგები მირზოიანი და გაინოვი ამათუიმ გარემოებათა გამო მათი ახლანდელი მუშაობის აღგილებან გადაიყვანეს რომელიმე სხვა აღგილას. როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ასეთ შემთხვევაში თავიანთი „კულტურის“ მიმართ? ნუთუ მათ კვლავ მოუხდებათ მათი გადაჩარჩალება თავიანთი მუშაობის ახალ აღგილას?

აი რა აბსურდამდე მიცემენართ მუშაკთა სწორად შერჩევისა და განაწილების ბოლშევიკური წესის დარღვევას.

4) რას ნიშნავს — მუშაკთა შემოწმება, დავალებათა შესრულების შემოწმება?

მუშაკთა შემოწმება, ეს ნაშნავს მათს შემოწმებას არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ ჭათი მუშაობის შედეგების მიხედვით.

დავალებათა შესრულების შემოწმება, ეს ნიშნავს მათს შემოწმებას არა მარტო კანცელარიაში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ უწინარეს ყოვლისა მათს შემოწმებას. მუშაობის აღგილას შესრულების ფაქტორს შედეგების მიხედვით.

საჭიროა თუ არა საერთოდ ასეთი შემოწმება? უსათუოდ საჭიროა. საჭიროა, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება გვაძლევს საშუალებას გამოვიცნოთ მუშაკი, გამოვარკეოთ მისი ნამდვილი თვისებანი. მეორე — საჭიროა იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა შაშუალებას გამოვარკეოთ შემსრულებელს აპარატის ღირსებანი ზანკლოვნებანი. მესამე — საჭიროა იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა საშუალებას გამოვარკეოთ თვითონ დავალებათა ღირსებანი და ზაკლოვანებანი.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ადამიანთა შემოწმება შეიძლება მხოლოდ ზემოდან, როდესაც ხელმძღვანელები ამოწმებენ ხელმძღვანელობის კვეშ შეკვეთ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. ეს არ არის სწორი. ზემოდან შემოწმება, რასაკვირვეელია, საჭიროა, როგორც ადამიანთა შემოწმებისა და დავალებათა შესრულების შემოწმების ერთერთი ნამდვილი ჩიონა. მაგრამ ზემოდან შემოწმება სრულიადაც ვერ ამოსწურავს შემოწმების მითელ საქმეს. აჩსებობს კიდევ სხვა სახის შემოწმება, შემოწმება ქვემოდან, როდესაც მასები, როდესაც ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფნი ამოწმებენ ხელმძღვანელებს, აღნიშნავენ მათს შეცდომებს და მიუთითობენ მათი გამოსწორების გზებს. ასეთი სახის შემოწმება წარმოადგენს აღაშიანთა შემოწმების ერთერთ უნამდვილეს საშუალებას.

პარტიული მასები თავიანთ ხელმძღვანელებს ამოწმებენ აქტივებზე კონფრენციებზე, ყრილობებზე მათი ანგარიშების მშენების გზით, ნაკლოვანებათა კრიტიკის გზით ბოლოს, ხელმძღვანელ ორგანოებში ამათუ თუ იმ შელ-

შძლვანელი ამხანაგების არჩევისა თუ არარჩევის გზით. დემოკრატიული ცენტრალიზმის ზუსტად გატარება, პარტიაში, როგორც ამას მოითხოვს. ჩვენი პარტიის წესდება, პარტიული ორგანოების უკეთელი არჩევნობა, ჭანდიზატთა წამოყენებისა და აცილების უფლება, დაბურული კენჭისყრა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის თავისუფლება, — ყველა ეს და ამის შეგავისი ლონისძიებანი ცხოვრებაში, სხვათა შორის, იმისათვის უნდა გავატაროთ, რომ გავაადგილოთ პარტიის ხელმძღვანელთა შემოწმება და კონტროლი პარტიული მასების მხრივ.

უბარტიონ მასები თავიანთ სამუშაოები, პროცესიულ და სხვა ხელმძღვანელების ამოწმებენ უბარტიონ აქტივებზე, ყოველგვარ მასობრივ თათბირებზე, სადაც ისინი იმენენ თავიანთ ხელმძღვანელთა ანგარიშებს, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს და სახავენ მათი გამოსწორების გზებს.

ბოლოს, ხალხი ამოწმებს ქვეყნის ხელმძღვანელებს საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ორგანოების არჩევნების დროს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შევაერთოთ ზემოღან შემოწმება და ქვემოღან შემოწმება.

5) რას ნიშნავს — ვასწავლოთ კადრებს მათი საკუთარი შეცდომების მიხედვით?

ლენინი გვასწავლიდა, რომ პარტიის შეცდომათა კეთილსინდისიერი გამომჟღავნება, ამ შეცდომათა წარმომშობი მიზეზების შესწავლა და ამ შეცდომათა გამოსასწორებლად საჭირო გზების დასახვა, წარმოადგენს პარტიული კადრების სწორად სწავლებისა და აღზრდის, მუშათა კლასისა და მშრომელთა მასების სწორად სწავლებისა და აღზრდის ერთერთ უსწორეს საშუალებას. ლენინი ამბობს:

„პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება მისი შეცდომებისადმი არის პარტიის სერიოზულობისა და თავისი კლასისა და მშრომელი მასებისადმი მისი მოვალეობის ნამდვილად შესრულების ერთერთი უმნიშვნელოვანესი და უაღრესად სწორი კრიტერიუმი. შეცდომის აშკარად აღიარება, მისი მიზეზების გამოვლინება, მისი წარმომშობი ვითარების ანალიზირება, შეცდომის გამოსწორების საშუალებათა ყურადღებით განხილვა — ის ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, ის ეს არის მიერ თავისი მოვალეობის შესრულება, ის ეს არის კლასის, ხოლო შეძლევ მასის აღზრდა და სწავლება“.

ეს ნიშნავს, რომ ბოლშევიკების მოვალეობას წარმოადგენს არა თავისი შეცდომების მიჩქმალვა, არა მათი შეცდომების საკითხისათვის გვერდის აელა, როგორც ეს ხშირად ხდება ჩვენში, არამედ თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად აღიარება, პატიოსნად და აშკარად დასახვა გზებისა ამ შეცდომების გამოსასწორებლად, თავისი შეცდომების პატიოსნად და აშკარად გამოსწორება.

მე ვერ ვიტყოდი, რომ ჩვენი ამხანაგებიდან ბევრი სიამოვნებით თანხმდება ამ საქმეს. მაგრამ ბოლშევიკებმა, თუ მათ ნამდვილად სურთ იყვნენ

ჰოლშევიკები, უნდა გამოიჩინონ ვაჟკაცობა და აშკარად აღიარონ თავისი შეცდომები, გამოვლინონ მათი შიზეზები, დასახონ მათი გამოსწორების გზები და მით დაეხმარონ პარტიას მისცეს კადრებს სწორი სწავლა და სწორი პოლიტიკური აღზრდა. ვინაიდან მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ აშკარა და პატიოსანი თვითკრიტიკის პირობებში შეიძლება აღვზარდოთ ხანძვილად ბოლშევიკური კადრები, შეიძლება აღვზარდოთ ნამდვილი ბოლშევიკური ლიდერები.

ორი მაგალითი, რომლებიც ცხადჲყოფენ ლენინის დებულების სისტორებს.

ავილოთ, მაგალითად, ჩვენი შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში თქვენ, ალბათ, გახსოვთ 1930 წელი, როდესაც ჩვენი პარტიული ამხანაგები ფიქრობდნენ გადაეჭრათ რაღაც 3—4 თვეში საკოლმეურნეო მშენებლობაზე გლეხობის გადაყვანის ურთულესი საკითხი და როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული გახდა შეეკავებინა გატაცებული ამხანაგები. ეს იყო ერთეული ყველაზე უფრო სახიფათო პერიოდთაგანი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა დაივიწყეს საკოლმეურნეო მშენებლობის ნებაყოფლობა, დაივიწყეს, რომ არ შეიძლება გლეხების გადაყვანა საკოლმეურნეო გზაზე აღმინისტრატიული დაძალებით, დაივიწყეს, რომ საკოლმეურნეო მშენებლობა მოითხოვს არა რამდენიმე თვის, არამედ რამდენიმე წლის გულმოდგინე და მოთვიქტებულ მუშაობას. მათ დაივიწყეს ეს და არ უნდოდათ აღეარებინათ თავისი შეცდომები. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ ცენტრალური კომიტეტის მითითებას წარმატებებისაგან თავბრუდახვევისა და იმის შესახებ, რომ აღვილებზე მომუშავე ჩვენი ამხანაგები წინ არ უნდა გარბოდნენ, რეალურ ვითარებას არ უნდა უგულებელჲყოფდნენ, — ხიშტებით შეხვდნენ. მაგრამ ამან არ შეაჩერა ცენტრალური კომიტეტი იმისაგან, რომ წასულიყო მინისტრების წინააღმდეგ და მოებრუნებინა ჩვენი პარტიული ამხანაგები სწორ გზაზე. და მერა რა? ახლა ყველასათვის ნათელია, რომ პარტიამ მიაღწია თავისას, მოაბრუნა რა ჩვენი პარტიული ამხანაგები სწორ გზაზე. ამშამად ჩვენ გვეყავს ათიათასობით საუჯოო კადრები გლეხებიდან საკოლმეურნეო მშენებლობისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის საქმეში. ეს კადრები აღიზარდნენ და გაიწრითვნენ 1930 წლის შეცდომებზე. მაგრამ ეს კადრები არ გვეყოლებოდა ახლა, რომ პარტიას მაშინ არ შეეგნო თავისი შეცდომები და დროულად არ გაძოესწორებინა ისინი.

მეორე მაგალითი უკვე სამრეწველო მშენებლობის დარგიდან. მე მხედველობაში მაქეს ჩვენი შეცდომები შახტის მავნებლობის პერიოდში. ჩვენი შეცდომები იმაში მდგომარეობდნენ, რომ ჩვენ ვერ ვითვალისწინებდით ჩვენი კადრების. ტექნიკური ჩამორჩენილობის მთელს საფრთხეს მრეწველობაში, ჩვენ ვურიგდებოდით ამ ჩამორჩენილობას და ვფიქრობდით ფართო სოციალისტური სამრეწველო მშენებლობა გაგვეჩაღებინა მტრულად განწყობილი სპეციალისტების დახმარებით, ვაკისრებდით რა ჩვენს სამეურნეო კადრებს ცუდი კომისარების როლს ბურჟუაზიულ სპეციალისტების

თან. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, თუ რა უხალისოდ აღიარებდნენ შაშინ ჩვენი სამეურნეო კადრები თავიანთ შეცდომებს; თუ რა უხალისოდ აღიარებდნენ ისინი თავიანთ ტექნიკურ ჩამორჩენილობას და რაოდენად მძიმედ ითვისებდნენ ისინი ლოზუნგს—„დავეუფლოთ ტექნიკას“. და მერე რა? ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ლოზუნგმა „დავეუფლოთ ტექნიკას“ თავისა გავლენა მოახდინა და თავისი კეთილ შედეგები მოგვცა. ახლა ჩვენ გვყვანან ათეულ და ასეულ ათასობით საუცხოვო ბოლშევიკური სამეურნეო კადრები, რომლებიც უკვე დაეუფლენ ტექნიკას და წინ ეწევიან ჩვენს მრეწველობას. მაგრამ ეს კადრები ჩვენ ახლა არ გვეყოლებოდა, პარტიას რომ იარაღი დაეყარა იმ სამეურნეო ბუშაკთა ჯიუტობის წინაშე, რომლებსაც, არ სურდათ ეცნოთ თავიანთი ტექნიკური ჩამორჩენილობა, პარტიას რომ არ შეეგნო მაშინ თავისი შეცდომები და ისინი დროულად არ გამოესწორებინა.

ზოგი ამხანაგი ამბობს, რომ მიზანშეუწონელია აშკარად ჭილაპარაკოზ ჩვენს შეცდომებზე, ვინაიდან ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარება შეიძლება ჩვენმა მტრებმა შეაფასონ ჩვენს სისუსტედ და შეიძლება გამოიყენონ კიდეც. ეს არაფერია, ამხანაგებო, სრულიად არაფერი. ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარებასა და მათს პატიოსნად გამოსწორებას, პირიქით, შეუძლიან მხოლოდ გააძლიეროს ჩვენი პარტია, აამაღლოს. ჩვენთა პარტიის ავტორიტეტი მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის, თვალში, აამაღლოს ჩვენი სახელმწიფოს, ძალა და ძლიერება. ეს კი თავიდათავია. ოღონდ მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია იყვნენ ჩვენთან და ყველაფერი დანარჩენი მოგვარდება.

სხვა ამხანაგები ამბობენ, რომ ჩვენი შეცდომების აშკარად ალიარჩებას შეუძლიან მიგვიყვანოს არა ჩვენი კადრების სწავლებასა და განმტკიცება-მდე, არამედ მათს შესუსტებასა და არეამდე, რომ ჩვენ უნდა დავინდოთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს კადრებს, რომ ჩვენ უნდა დავინდოთ მათი თავმოყვარეობა და სიმშვიდე. ამისათვის ისინი წინადადებას იძლევიან მიეჩქმალოთ ჩვენი ამხანაგების შეცდომები, შევასუსტოთ კრიტიკის ძალა, და, რაც უფრო უკეთესია,—გვერდი ავუაროთ ამ შეცდომებს. ასეთი გეზი არა თუ ძირეულად უსწოროა, არამედ უაღრესად საშიშიცაა, საშიშია უწინარეს ყოვლისა კადრებისათვის, რომლების „დანდობა“ და „გაფრთხილება“ სურთ. კადრების დანდობა და შენარჩუნება მათი შეცდომების მიეჩქმალვის შემწეობით, — ეს ნიშნავს თვით ამ კადრების აუცილებლად დაღუპვას. ჩვენ აუცილებლად დავლუპავდით ჩვენს საკოლმეურნეო ბოლშევიკურ კადრებს, რომ არ გაძოვებულავნებინა 1930 წლის შეცდომები და არ გვესწავლებინა მათთვის ამ შეცდომებზე. ჩვენ აუცილებლად დავლუპავდით ჩვენს სამრეწველო ბოლშევიკურ კადრებს, ჩვენ რომ არ გაძოვებულავნებინა ჩვენი ამხანაგების შეცდომები შახტის მავნებლობის პერიოდში და არ გვესწავლებინა ჩვენი სამრეწველო კადრებისათვის ამ შეცდომებზე. ვინც ფიქრობს ჩვენი კადრების თავმოყვარეობის დანდობას. მათი შეცდომების მიეჩქმალვის გზით, იგი ღუპავს კადრებსაც, კადრების თავმოყვარეობასაც, ვინაიდან იგი მათი შეცდომების მიეჩქმალვით

აადვილებს ახალ, შეიძლება უფრო სერიოზულ შეცდომათა განმეორებას, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, მიგვიყვანს კადრების სრულ მარტამდე მათი „თავმოყვარეობისა“ და „სიშვილის“ საზიანოდ.

6) ლენინი გასაწავლიდა ჩვენ არა მარტო ვასწავლოთ მასებს, არამედ ვისწავლოთ კიდეც მასებისაგან.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, ხელმძღვანელები, არ უნდა გავმედიდურდეთ და უნდა გვესმოდეს, რომ თუ ჩვენ ცენტრალური კომიტეტის წევრები ან სახალხო კომისარები ვართ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოგვეპოვება ყველა ცოდნა, აუცილებელი იმისათვის, რათა სწორად უხელმძღვანელოთ. ჩინი თავისთავად არ იძლევა ცოდნასა და გამოცდილებას. სახელწოდება — მით უმეტეს.

ეს ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მარტო ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება არ კმარა. იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ, რომ, მაშასადამე, აუცილებელია შევასოთ ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება, მასების გამოცდილებით, პარტიული მასის გამოცდილებით, მუშათა კლასის გამოცდილებით, ხალხის გამოცდილებით.

ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი წუთითაც არ შევასუსტოთ და მით უმეტეს არ გაღწყვიტოთ ჩვენი კავშირი მასებთან.

ბოლოს, ეს ნიშნავს იმას, რომ გულისხმიერად დავუგდოთ ყური მასების ხმას, პარტიის რიგითი წევრების ხმას, ეგრეთწოდებული „პატარა ადამიანების“ ხმას, ხალხის ხმას.

რას ნიშნავს სწორი ხელმძღვანელობა?

ეს სრულიადაც არ ნიშნავს კანცელარიაში ჯდომას და დირექტორების წერას.

სწორად ხელმძღვანელობა — ეს ნიშნავს:

ჯერ-ერთი, გამოვნახოთ საკითხის სწორი გადაწყვეტა, ხოლო სწორი გადაწყვეტის გამონახვა შეუძლებელია მასების გამოცდილების გაუთვალისწინებლად, რომლებიც თავიანთ საკუთარ ზურგზე განიცდიან ჩვენი ხელმძღვანელობის შედეგებს;

მეორე, მოვაწყოთ სწორი გადაწყვეტილების შესრულება, რისი გაკეთებაც, ამავე დროს, შეუძლებელია მასების მხრივ პირდაპირი დახმარების გარეშე;

მესამე, მოვაწყოთ ამ გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება, რისი გაკეთებაც ისევ შეუძლებელია მასების პირდაპირი დახმარების გარეშე.

ჩვენ, ხელმძღვანელები, საგნებს, მოვლენებს, აღამიანებს ვხედავთ მხოლოდ ერთი მხრით, მე ვიტყოდი — ზემოდან, ჩვენი მხედველობის არე, მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად შეზღუდულია. მასები, პირიქით, საგნებს, მოვლენებს, აღამიანებს ხედავენ მეორე მხრით, მე ვიტყოდი — შემოდან, მათი მხედველობის არეც, მაშასადამე ერთგვარად შეზღუდულია. საკითხის სწორი გადაჭრა რომ მივიღოთ, საჭიროა გაუაქრთიანოთ

3 „ჩვენი თაობა“.

ეს ორი გამოცდილება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ხელმძღვანელობა სწორი.

აյ რას ნიშნავს არა მარტო ასწავლო მასებს, არამედ ისწავლო კიდეც მასებისაგან.

ორი მაგალითი, რომელნიც ცხადჲყოფენ ლენანის ამ დებულების სისტორეს.

ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრები, ვიხილავდით დონბასის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი ღონისძიებებისა აშკარად არადამაკმაყოფილებელი იყო. სამჯერ დავაბრუნეთ პროექტი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში. სამჯერ ვეღულობდით მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან სულ სხვადასხვა, პროექტს. და მაინც შეუძლებელი იყო მათი მიჩნევა დამაკმაყოფილებლად. ბოლოს, ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეწვია დონბასიდან რამდენიმე მუშა და რიგითი სამეურნეო და პროფესიული მუშაკები. სამ დღეს ვსაუბრობდით ამ ამხანაგებთან. და ყველას ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრებს, უნდა გველიარებინა, რომ მხოლოდ მათ, ამ რიგითმა მუშაკებმა, ამ „პატარა ადამიანებმა“, შესძლეს ეკარნახათ ჩვენთვის სწორი გადაწყვეტილება. თქვენ ალბათ გახსოვთ ცენტრალური კომიტეტისა და სახეომსაბჭოს ცნობილი გადაწყვეტილება დონბასში ქვანახშირის ამოღების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. და აი ცენტრალური კომიტეტისა და სახეომსაბჭოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც ყველა ჩვენმა ამხანაგმა აღიარა სწორ და განთქმულ გაღაწყვეტილებადაც კი, ჩვენ გვიყარახეს უბრალო ადამიანებმა კვემოდან.

მეორე მაგალითი. მე მხედველობაში მაქვს ამხ. ნიკოლაენკოს ქალის შაგალითი. ვინ არის ნიკოლაენკო? ნიკოლაენკო — ეს პარტიის რიგითი წევრია. იგი — ჩვეულებრივი „პატარა ადამიანია“. იგი მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა სიგნალებს, რომ კიევის პარტიულ ორგანიზაციაში საქმე რიგზე ვერ არის, ამჟღავნებდა შინაურულობას, მუშაკებისადმი მეშჩანურ-ობივატელურ მიდგომას, თვითკრიტიკის ჩახშობას, ტროკისტ მავნებელთა მომძლავრებას. მას იგერიებდნენ, როგორც აბეზარ ბუზს. ბოლოს, თავიდან რომ მოეშორებინათ იგი, აიღეს და გარიცხეს პარტიიდან. არც კიევის ორგანიზაცია, არც უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი არ დაეხმარა მას სიმართლის აღდგენაში. მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევაშ გახადა შესაძლებელი ამ დახლართული კვანძის გახსნა. ხოლო აა გამოირკვა საქმის გარჩევის შემდეგ? გამოირკვა, რომ ნიკოლაენკო მართალი იყო, ხოლო კიევის ორგანიზაცია მართალი არ იყო. არც მეტი, არც ნაკლები. ხოლო ვინ არის ნიკოლაენკო? იგი, რა თქმა უნდა, არ არის ცენტრალური კომიტეტის წევრი, იგი არ არის სახალხო კომისარი, იგი არ არის კიევის საოლქო ორგანიზაციის მდივანი, იგი რომელიმე უჯრედის მდივანიც კი არ არის, იგი მხოლოდ პარტიის უტრალო რიგითი წევრია.

როგორც ხედავთ, უბრალო ადამიანები ზოგჯერ გაცილებით უფრო ახლოს არიან ჰელმარიტებასთან, ვიდრე ზოგიერთი მაღალი დაწესებულება.

შეიძლებოდა კიდევ ათობით და ასობით მოგვეყვანა ასეთი მაგალითები.

ამგვარად გამოდის, რომ ჩვენი საქმის ხელმძღვანელობის გასაწევად სრულიადაც არ კმარა მხოლოდ მარტო ჩვენი გამოცდილება, ხელმძღვანელთა გამოცდილება. იმისათვის, რომ სწორად ვუხელმძღვანელოთ, აუცილებელია ხელმძღვანელთა გამოცდილება შევავსოთ პარტიული მასის გამოცდილებით, მუშათა კლასის გამოცდილებით, მშრომელთა გამოცდილებით, ეგრეთწოდებულ „პატარა აღამიანთა“ გამოცდილებით.

ხოლო როდის არის ეს შესაძლებელი?

ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მასებთან, თუ ისინი დაკავშირებული არიან პარტიულ მასებთან, მუშათა კლასთან, გლეხობასთან, მშრომელ ინტელიგენციასთან.

მასებთან კავშირი, ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა იმისთვის, რომ ყური დაუგდოს მასებს ხმას, — აი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა.

შეიძლება წესად აღვიაროთ, რომ სანამ ბოლშევიკები ინარჩუნებენ კავშირს ხალხის ფართო მასებთან, ისინი უძლეველი იქნებიან. და, პირველი, საკმარისია ბოლშევიკები მოსწყონენ მასებს და დაკარგონ მათთან დაცვირი, საქმარისია მოედოს მათ ბიუროკრატიული უანგი, რომ დაპკარკონ ყოველგვარი ძალა და არარაობად გადაიქცნენ.

შეელ ბერძნებს თავიანთი მითოლოგის სისტემაში ჰყავდათ ერთი საკელგანთქმული გმირი — ანთეოსი, რომელიც, როგორც, მითოლოგია გაღმოვცემს, იყო პოსეიდონის — ზღვათა ღმერთისა და გეას — მიწის ქალღმერთის შვილი. იგი განსაკუთრებულ სიყვარულს განიცდიდა თავისი დედის მიმართ, რომელმაც იგი შობა, გამოჰკვება და გამოზარდა; არ იყო ისეთი გმირი, რომელიც არ დაემარცხებინოს მას — ამ ანთეოსს. იგი უძლეველ გმირად ითვლებოდა. რაში მდგომარეობდა შისი ძალა? იგი მდგომარეობდა იმაში, რომ ყოველთვის, როდესაც მას მოწინააღმდეგესთან ბრძრლაში გაუჭირდებოდა, იგი ეხებოდა მიწას, თავის დედას, რომელმაც შობა და გამოჰკვება იგი, და ახალ ძალას ღებულობდა. მაგრამ მას მაინც ჰქონდა თავისი სუსტი აღგილი — ეს იყო მიწისაგან ასამენაირად მოწყვეტის საშიშროება. მტრები ითვალისწინებდნენ მის ამ სისუსტეს და უდარაჯებდნენ მას. და აი გამოჩნდა მტერი, რომელმაც გამოიყენა ეს მისი სისუსტე და დაამარცხა იგი. ეს იყო ჰერკულესი. მაგრამ როგორ დაამარცხა მან იგი? მან მოსწყვეტა იგი. მიწას, აიყვანა ჰაერში, დაუკარგა მას მიწის შეხების საშუალება და ამრიგად დაახრჩო იგი? ჰაერში.

ვთიქონ, რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგის უმირს, ანთეოსს. ისინიც, ისევე, როგორც ანთეოსი, ძლიერნი. არიან იმით,

რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი შობეს, გამოჰკვებეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველი დარჩნენ.

ამაშია გასაღები ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უძლეველობისა.

7) ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი. მე მხედველობაში შაქვს საკითხი ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგის ფორმალური და უსულგულობიუროკრატიული დამოკიდებულებისა პარტიის ულკეული წევრების ბედისადმი, პარტიიდან პარტიის წევრების გარიცხვის საკითხისადმი, ან პარტიის წევრთა უფლებებში გარიცხულთა აღდგნის საკითხისადმი. საჭმე ისაა, რომ ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელი დაავადებულა უყურადღებობით აღამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი, მუშაკებისადმი. მეტიც, ისინი არ სწავლობენ პარტიის წევრებს, არ იციან რითი ცხოვრობენ და როგორ იზრდებიან ისინი, არ იცნობენ საზოგადო მუშაკებს. ამიტომ მათ არა აქვთ ინდივიდუალური მიღობა პარტიის წევრებისადმი, პარტიის მუშაკებისადმი. და სწორედ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ინდივიდუალური მიღობა პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკების შეფასების დროს, — ისინი ჩვეულებრივ მოქმედებენ ანგარიშიულებლად: ან აქებენ მათ ხელაღებით, უზომოდ, ან ურტყაშენ მათ აგრეთვე ხელაღებით და უზომოდ, რიცხავენ მათ პარტიიდან ათასობით და ათიათასობით. ასეთი ხელმძღვანელები საზოგადოდ ცდილობენ სპროცენტობის ათეული ათასებით, არ ზრუნავენ რა „ერთეულებზე“, პარტიის ცალკეულ წევრებზე, მათს ბედილბალზე. პარტიიდან ათასობით და ათეული ათასობით აღამიანთა გარიცხვა მათ მიაჩინათ იოლ საჭმედ, ინუგეშებენ რა თავს იმით, რომ ჩვენი პარტია ორმილიონიანია და ათეული ათასობით გარიცხულთ არ შეუძლიანთ შესცვალონ რამე პარტიის მდგომარეობაში. მაგრამ პარტიის წევრებისადმი ასეთი მიღობა შეუძლიანთ მხოლოდ ისეთ აღამიანებს, რომლებიც, არსებითად, ღრმად ანტიპარტიული არიან.

აღამიანებისადმი, პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ხელოვნურად იქმნება უკმაყოფილება და გაბოროტება პარტიის ერთ ნაწილში, ხოლო ტროცკისტი თვალშიაქცები მარჯვედ აიყოლიებენ ხოლმე ასეთ გაბოროტებულ ამხანაგებს და ოსტატურად თორევენ მათ ტროცკისტული მავნებლობის ჭაობში.

თავისთავად ტროცკისტები არასოდეს არ წარმოადგენდნენ დიდ ძალას ჩვენს პარტიაში. გათხსენეთ უკანასკნელი დისკუსია ჩვენს პარტიაში 1927 წელს. ეს იყო ნამდვილი პარტიული რეფერენცუმი. პარტიის 854 ათასი წევრიდან მაშინ ზმისმიცემაში მონაწილეობა მიიღო პარტიის 730 ათასმა წევრმა. ამათგან ბოლშევიკებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ტროცკისტების წინააღმდეგ ხმა შისცა პარტიის 724 ათასმა წევრმა, ტროცკისტებს — პარტიის 4 ათასმა წევრმა, ესვიგი დახლოებით ნახევრმა პროცენტმა, და თავი შეკიავა პარტიის 2.600 წევრმა. ხმის მიცე-

ქაში შონაწერლეობა არ მიუღია პარტიის 123 ათას წევრს. მათ მონაწილეობა არ მიუღიათ ან იმიტომ, რომ სხვაგან უყვნენ გამგზავრებული, ან იმიტომ, რომ ცვლებში იყვნენ. თუ 4 ათასს, რომელთაც ხმა მისცეს ტროცკისტებს, მივუმატებთ ყველა იმათ, ვინც თავი შეიკავა, — ვვარა-უდობთ რა, რომ ასინიც თანაუგრძნობდნენ ტროცკისტებს, — და თუ აյ ჯამს მიუმატებთ არა ნახევარ პროცენტს, რომელსაც მონაწილეობა არ შიულია ხმის მიცემაში, როგორც უნდა მოვქცეულიყავით წესის თანახმად, არამედ ხუთ პროცენტს, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია, ესე-იგი პარტიის 6 ათასამდე წევრს, მივიღებთ პარტიის დაახლოვებით 12 ათას წევრს, რომლებიც ასე თუ ისე თანაუგრძნობდნენ ტროცკიზმს. აი ბატონ ტროცკისტების მთელი ძალა. დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ ბევრს ამ რიცხვიდან იმედი გაუცრუა ტროცკიზმა და ჩამოშორდნენ მას, და თქვენ მიიღებთ წარმოდგენას ტროცკისტული ძალების არარაობაზე. და თუ, მიუხედავად ამისა, ტროცკისტ მავნებლებს მაინც ჰყავთ ერთგვარი რეზერვები ჩვენი პარტიის ახლოს, ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის არასწორი პოლიტიკა პარტიიდან გარიცხვისა და გარიცხულთა აღ-დგნის საკითხში, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის უსულგულო დამოკიდებულება პარტიის ცალკეული წევრებსა და ცალკეული მუშაკების ბედ-იღბლისადმი ხელოვნურად ამტავლებს უქძაყოფილოთა და გაბოროტებულთა რაოდენობას და, ამრიგად, უქმნის ტროცკისტებს ამ რეზერვებს.

მეტწილად რიცხვენ ეგრეთწოდებული პასივობისთვის. რა არის პასივობა? თურმე ფიქრობენ, რომ თუ პარტიის წევრმა ვერ შეითვისა პარტიის პროგრამა, რაი პასიურია და უნდა გაირიცხოს. მაგრამ ეს ხომ სწორი არ არის, ამხანაგებო. ხომ არ შეიძლება ასე ასოჩაკირკიტებით გავიკოთ ჩვენი პარტიის წესდება. პარტიის პროგრამა რომ შეითვისო, უნდა იყო ნამდვილი მარქსისტი, შემოწმებული და თეორიულად მომზადებული მარქსისტი. შე არ ვიცი, ბევრი მოინახება თუ არა ჩვენში პარტიის წევრი, რომელსაც უკვე შეეთვისებინოს ჩვენი პროგრამა, გამხდარიყოს ნამდვილი მარქსისტი, თეორიულად მომზადებული და შემოწმებული. თუ ამ გზას გავყვებით, ჩვენ მოვიხდებოდა დაგვეტოვებინა პარტიაში მხოლოდ ინტელიგენტები და საერთოდ სწავლული ადამიანები. ვის რად უნდა ასეთი პარტია? ჩვენ გვაქვს პარტიის წევრობის შესახებ შემოწმებული ლანინური ფორმულა, რომელმაც ყველა გამოცდა დაიჭირა. ამ ფორმულის მიხედვით პარტიის წევრად ითვლება ის, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამას, შემოაქვს საწევრო გადასახადი და მუშაობს ერთერთ მის ორგანიზაციაში. ყურადღება მიაქციეთ: ლენინურ ფორმულაში ლაპარაკია არა პროგრამის შეთვისებაზე, არამედ პროგრამის აღიარებაზე. ეს ორი სრულიად სხვადასხვა საგანია. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ აქ მართალია ლენინი და არა ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ტყუილუბრალოდ ლაყბობენ პროგრამის შეთვისებაზე. ეს გასაგებიცა. პარტიის რომ იქიდან გამოდიოდეს, რომ პარტიის წევრებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი ამხანაგები, რომლებმაც უკვე შეითვისეს პროგრამა და გახდნენ თეორიულად მომზადებული მარქსისტები, იგი აღარ შექმნიდა პარ-

ტეაში ათასობით პარტიულ წრეებს, ასობით პარტიულ სკოლებს, სადაც პარტიის წევრებს ასწავლიან მარქსიზმს და ეხმარებიან შათ შეითვისონ ჩვენი პროგრამა. სავსებით ცხადია, რომ თუ პარტია აწყობს ასეთ სკოლებსა და წრეებს პარტიის წევრებს შორის, ეს იმიტომ, რომ მანიცის, რომ პარტიის წევრებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს შეეთვისებინათ პარტიული პროგრამა, ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს გამხდარიყვნენ თეორიულად მომზადებულ მარქსისტებად.

მაშასადამე, რომ გამოვასწოროთ ჩვენი პოლიტიკა პარტიის წევრობისა და პარტიიდან გარიცხვის საკითხში, აუცილებელია ბოლო მოვულოთ პასივობის საკითხის ახლანდელ უთაურ გაგებას.

მაგრამ ჩვენ კიდევ გვაძეს სხვა შეცოდება ამ დარგში: საქმე ისაა, რომ ჩვენი ამხანაგები არ სცნობენ შუათანობას. ორ უკიდურესობას შორის. საკმარისია მუშამ, პარტიის წევრმა ჩაიდინოს სულ მცირე დანაშაული, ერთხელ-ორჯერ დაიგვიანოს პარტიულ კრებაზე, არ შეიტანოს რაიმე მიზეზის გამო საწევრო გადასახადი, რომ იგი მყისვე გააძევონ პარტიიდან. არ აინტერესებთ მისი დანაშაულის ხარისხი, კრებაზე დაუსწრებლობის მიზეზი, საწევრო გადასახადის შეუტანლობის მიზეზი. ბიუროკრატიზმი ამ საკითხებში პირდაპირ უმაგალითოა. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ სწორედ ასეთი უსულეულო პოლიტიკის შედეგად პარტიიდან იქნენ გაყრილნი კადრის შრისანიშნავი მუშები, საუცხოვო სტახანოველებიდა მერე განა არ შეიძლებოდა, ვიდრე პარტიიდან გარიცხავდნენ. ჯერ მიეცათ გაფრთხილება, და თუ ეს არ იმოქმედებდა — მიეცათ შენიშვნა, ან გამოეცხადებინათ საყვედლური, ხოლო თუ არც ეს იმოქმედებდა — დაცემიშნათ ვალა გამოსწორებისათვის ან, უკიდურეს შემთხვევაში, გადაეყვანათ კანდიდატად, მაგრამ არ გაერიცხათ პარტიიდან ერთი ხელის დაკვრით? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ყურალება აღამიანებისამი, პარტიის წევრებისადმი, პარტიის წევრთა ბელილბლისადმი. მაგრამ სწორედ ეს აკლია ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს.

დროა, ამხანაგებო, დიდიხანია დროა, ბოლო მოვულოთ ამ უმსგავსობას. (ტაში).



მხატვრული დოკუმენტები

შალვა აპოსტოლი გვ. ვ. გ. მ.



— ჩანჩქერებო,
გაზაფხულს რომ ნატრობდით, —
მოფრენილა ცვარნამიან ფურცლებით,
და ლვენის-ფრად ანთებული ტატნობი
აორთქლებულ მთაგრეხილებს უცქერის!..

გიუმაურად დაბლა გადმოყირავდით;
ბარსაც ერგოს რძენარევი შხეფები;
საზეიმოდ ამართული მყინვარი
არ შეგრისხავთ თეთრ წარბების შერხევით.


ძვალმაგარი ახალგაზრდა მუხები
ჯავარიიან მკლავებს ცაში არხევენ;
ღვივის მიწა — დღემდე ნაქარბუქევი,
ლანქერები მიჭყვებიან ლრმა ხევებს.

დაგელაობს მხარგაშლილი არწივი,
გაზაფხულის სურნელებით დამთვრალი;
ბრწყინავს ნაძვიც — შეღერებულ ყანწივით, —
და ხმა გრგვინავს:
— გრიგალს გაჰყვა ზამთარი!..

ყამირისგან გამოზრდილი შამბები
ხავერდივით შემორტყმია ღაბლობებს,
ამაყობენ ოქროს შარავანდედით
და სიმლერებს სიხარულით აჩობენ!

ძვალმაგარო, ახალგაზრდა მუხებო,
მიწას მაგრად ჩაუთასმეთ ფესვები;
გაზაფხულის წყლებო — მოჩუხხუხენო,
არ შესწყვიტოთ შეფოვანი ლექსები!..

დაგელაობს მხარგაშლილი არწივი;
გაზაფხულის სურნელებით დამთვრალი;
ბრწყინავს ნაძვიც — შელერებულ ყანწივით, —
და ხდა გრგვინავს:
— გრიგალს გაჰყვა ზამთარი!..



საბალახოდან მოჰქონდათ დაყვლა.
ზარის წყარულით დაიძრა ნიშაუ,
ჯიქანდატენილს უჭირდა გავლა
და ჩხრიალებდა რიყეზე ქვიშა.

ვარდისფერ ცურზე ბზინავდა ერბო,
მას მზის ჩასვლაზე დაეცა ჩრდილი.
ნახირმა ლურჯი დატოვა ფერდო,
რომ ცვრიან ბალახს ეწვიოს ღილით.

ეზო და ეზო შევიღნენ ღინჯად.
რაე მოიწველეს ჩხრიალა, სუფთა,
ზავშვებმა ხელი დასტაცეს ფინჯანს
და შემოუსალნენ საღამოს სუფრას.

იყო ნიავი — შრიალი ხეთა,
შორს კი მტვრიანი ბილიკი ჩანდა.
ციდან ვარსკვლავმა გამოიხედა
და ნიავ-ქარი უმალვე ჩადგა.

მერე სიძძლავრით დაპირია კიდევ,
ჩამოიშალა ქოჩორი ბალმა.
იმ ლამაზ ლამით მეც გარეთ ვიდექ,
ვუშენდი — ვილაც მლეროდა გალმა.

კვლავაც ნახირი გავა ორიალეთს,
კარი ლაუგარდშიც დაგვედება ლიად,
რა მაღლიანი ხელი ტრიალებს,
უ რანაირი ხალასი დღეა!

ვლადიმერ უბილავა

კინკარი ცაცხლი
უგვაზა



უშბას მწვერფალი შებინდებისას
უცებ აენთო ნათელ ჭალებად,
მთებმა ჯანლების თექა შეიხსნა
და ბინდი გასჭრა ცეცხლის ტალღებმა.

შევყურებ ჭიუხს. ღამეა კუპრის.
მთელი სვანეთი ფეხზე ამდგარა.
— ცეცხლი ვისია?! — ბინაღარს უკვიპს
და აშტერდება ზეცის კამარას.

ამბობენ: წყრება მთების მეუფე,
ბროლის ფეხებით უშბაზე მდგარი,
თუ ცეცხლის თვალი მყინვარს შეუნთო,
სვანებს წაგვლეკავს მეწყერთა ლვარი!

— ვისია ცეცხლი?!.. ყვირის მთიელი
და შავ ლაჟვარდში გაისვრის ხირიშს;
ღამეა მშვიდი, ტყე უსიერი
უსმენს, ლრანტეში ჩანჩქერის ხვივილს.

ღამეა მშვიდი, და შორს ჭიუხზე
გმირი ზეიმობს უშბას აღებას,
ძიუვალ მთიღან ელვის სიუხვე
გიშრიან ჭორევს გასჭრის ტალღებად.

და ურჩ მთიელსაც ვარწმუნებთ მაშინ
რომ ამ ცეცხლიდან ეპოქა ბრწყინავს,
რომ სხვა გრიგალი ღაირხა მთაშიც
და განთიადი ეწვია მყინვარს.

ღამე გაგვიტყდა... ფიჭვის გუმბათებს
გაღმოუქროლა ცისკარმა ფრთებით,
და სჩანს პირველი ცეცხლი უშბაზე,
როგორც ახალი ვარსკვლავი მთებში.



სიმღერა ჰორთონხელი

დაუხურავთ შარა ჭიდრებს,
გვესალმება ხე შრიალით,
აენთება მზეზე აღრე
სიმღერები ეშჩიანი.

ქუხს ჭოროხი — მთების ხასა,
წევს კლდეებში და ირწევა,
მლერის „ხასანბეგურასა“,
ისმის ფოთოლთ ტაშისცემა.

ნარინჯის ხე ციმციმდება,
ქარვისფერი ალით იწვის,
ტოტიც თითონ იზნიქება,
რომ არ შერცხვეს მკრეფავის წინ.

გოგო კალთებ-გადაყრილი,
ფერწითელი შინდივითა,
შოდის — საესე სიყვარულით,
ფორთოხალის სიმკვრივითა.

იგი სწრაფად ტოტებს გაშლის
ატრიალებს ნაყოფს ხელში,
თითქო ჩაჯდა ფორთოხალში
თვალცქიალა ქალის ეში.

„შევარდენი გაღმიოფრინდა
აბრეშუმის ბუდიდანო“, —
ცხრათვალა მზე ამობრწყინდა
თაგოს მოების გულიდან.

სამეცნიერო

(მეზეურობა დილით)

აენთო ცეცხლიდო. აღმოსავლეთი,
მზემ კლვარვებით ცა გაარღვია
და შვინძისფერი ღრუბლის ნაჭლეთი
თითქოს გაშლილი ბაირალია.

მთებზე ჩამომლვარ იქროს ზოდებმა
ჩამოაფრქვია ზეცა ვაჩდებად,
და სამეცნიეროს წაბლის ოდებსაც
აღმოსავლეთის შუქი ადგება:

ჩაკვდა სხივებში ღამის ღუმილი;
ტყე ფრინველებმა შეაურიალეს
და ქართან ერთად აბრეშუმივით
იქროს ნაყოფის ბატი შრიალებს.

კ უ ხ ი ტ ა ს

კაულის ჩრდილებში დაჭქრის ნიავი;
მწვანით მოსილან მთების კალთები.
ლამით ნაცვარი ელავს ქლიავი
შტოდან ქარვისფერ გამონათებით.

მორწყულ ვენახის ტყე არის ლურჯი
და ალაზანზე დგას ნისლის ჯარი.
სუნნელოვან და უხილავ ფუნჯით.
ვის დაუხატავს მხარე ამგვარი?!.

ლაუგარდს განრთხმია ტოტები მუხის,
მზე ამოსულა როგორც სიცილი.
მოღით, იხილეთ კახეთი უხვი,
ალიონის და ყურძნის ციმციმი.

ახალ ცხოვრების ცა გახსნილია,
სხვაგვარად ჰყვავის ალაზნის ველი.
აქ ძველი ყოფა გარდაჭმილია,
აქ კოლმეურნის ტრიალებს ხელი.

შორს შეცხვარენი შველის გუდებით.
მიიმღერიან, მისდევენ ფარას.
სჩანან მყინვარნი თოვლის ჭუდებით,
ცხვარიც ფერდობებს თოვლივით ჰფარაჟი.

რა სიხარულით და რა სამით
ვარსკვლავიანი ღამე თენდება!..
ამოისუნთქავს კავკასიონი,
და სუნთქვა სიოდ ფოთლებს ედება.

მახარებს სხივქვეშ ლელვა პურისა,
გულში დიადი სიმღერა შიზის.
გავყურებ ტყეებს ჭიათურისას
და განახლებულ მშვენიერ ქიზის.



მოძნობის უნაზირი

შაგ მკერდში ღვივის უნაზეს გრძნობით
ჩვენი ცხოვრების წმინდა ყვავილი,
სამურ შუქით გულგანათბობი,
სიცოცხლის ბალში შემოყვანილი, —
და სიხარულად ბედნიერ მშობლის,
იზრდება კვირტი შზით განბანილი:

მალე აკვანი მძივებს შეისხამს,
შეგხედავს ბავშვი ვარდის იერით
და ამაღლდება გრძნობა დედისა,
ყოველ გრძნობაზე უფრო ძლიერი!..

გაივლის დრო და ცხოვრების წიგნი
გადამშლება მოლის ხავერდზე;
ეზოში ბავშვი დაიწყებს ტიტინს
და შენც ტიტინით მიუალერსებ!..

სივრცე იქნება ლურჯ ფერადებად,
დანამავს ნამი ველებს გაშლილებს, —
ახლა პატარა რომ იბადება,
ბელნიერებით სუნთქავს მაშინვე.

წამოიზრდება, სადაც ჩვენ სწორებს
გვექცა ცხოვრება უტქბეს ჰანგებად,
საღაც ესვრიან ყვავილთა ქონებს
ლამაზ სიცოცხლის დაჭარშაგებას.

წამოიზრდება თავის ტოლებთან,
ამ აღტაცების ალში გათბება,

სტალინის სიბრძნეს შთაიგონებს და
რუსთველის ლექსით დაითაფლება.

წამოიზრდება, შეხედავს ზეცას,
უნდა აფრინდეს ვარსკვლავთ ფარამდე;
აუშვებს ცაში ლითონის მერცხალს
და მზის გარშემო შეინაგარდებს.

შემოევლება მშობლიურ მიჯნას,
შორს, შორს გაჰყვება ჭაბუკ გონებას
და გამოსახავს გმირობის მიზანს
დიადი ქვეყნის მიღიონებთან.

იდიდოს შენი ზრუნვა ქალური,
შენი ოცნება რიერაჟიანი;
იდიდოს გრძნობა და სიყვარული
ამაღლებული ადამიანის.

შენი ლიმილი სამშობლოს პშვენის,
გვხიბლავს სიცოცხლე დაუძრახველი,
იდიდოს გული, მშობელო, შენი,
იდიდოს ახალ დედის სახელი.

„ჩვენი თაობის მე-2-3-ე ნომერში მოთაციცებული ლექსი „ქირფას სერგოს“ მქუთვნის ამავე ავტორს ვასილ ლომიძეს. შეცდომით დაიბეჭდა მიხეილ ლომიძე.

სიცოდურ- ტერნობა

ოქტომბრის ბოლო რიცხვებია. ნააღრევ სიცივეებმა ხეს ფოთოლი დააყრევინა. ეზოები მოფენილია თუთის და კაჭის ზის ოქროსფერ უვერით. ჰაგრამ თვის მიწურულში ამინდი უცბად შეიცვალა, სითბომ ტყემლის ყვა- ფალები გამოიტყუა. ხეს კვირტები დაებერა. იტყვი ხელახლა ვარდფურ- ცლობა იშევება. კოლმეურნეებმა საშემოდგომო სტუშაოქბა თითქმის შოსარულეს და სოფელ შრომის ახალგაზრდობას სეირნობის ჟინმა მო- უარა.

საბა ასე განმარტავს სეირნობას: „სიარულიცა მრავალსახე არიან, რა- მეთუ სლვანი სხვადასხვაობით განიყოფებიან; ნებიერად სლვასა უხმობენ ვიდოდასა და სლვასა, აგრეთვე ნავთასა, ხოლო ჭმუნვათა განმაქარვებ- ლად წალკოტთა ანუ მინდორთა მიმოსვლასა მოთხევასა ანუ იმოთხევიდასა, რომელსაც მსოფლიონი სეერნობასა უხმობენ.“ დიდი ჭმუნვა და დარღი- სოფელ შრომის ახალგაზრდებს არ ჰქონიათ. დაგუბებული ახალგაზრდუ- ლი ენერგია გამოსავალს ეძებდა ამ ჩვენი სოფლისთვის ჩვეულ „ალეგრო- სეირნობაში“.

შემოსავალი სახალხო სახლის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა. შრომის სახალხო სახლი ბაბილონის გოდოლივით გაუთავებელი რაღაც იყო. ექვსი წლის წინეთ შეუდგნენ მის აგებას. რაიონიც დაეხმარა. თბილისშიაც შეაგროვეს შემოწირულება ქალაქში დამკვიდრებულ შრომე- ლებს და მათ ნაცნობებს შორის. მაინც ვერ მოასრულეს. გასაკვირიც არ იყო, რაღაც უზარმაზარი წამოიშეყეს, ოცდაშვიდ-ოთახიანი, ქვის სარ- თულზე წამოდგმული. ასეთი შენობის აგება ერთი სოფლისთვის ადვი- ლი საქმე არ იყო და მის ფონდის გასაძლიერებლად რამდენიმე წლის განმავლობაში იმართებოდა ალეგროები და წარმოდგენები.

ალეგროს მომწყობი კომისია გამოყვეს. ხარჯების გეგმა შეადგინეს- ორი. დღე სწერდნენ შვიდწლედის მოწაფეები ალეგროს ბილეთებს და

*) თავი რომანიდან „ლელო“.

‡ „ჩვენი თაობა“. № 4.

მოსაწვევ ბარათებს საპატიო სტუმრებისათვის. ბარათები შრომის გარდა ახლო-მახლო სოფლებში და რაიონულ ცენტრშიც გაგზავნეს. აღეგროს დიასახლისები აირჩიეს. ხორავის შეგროვებას შეუდგნენ. რეჟისორობა და სხვადასხვა გასართობების მოწყობა ბონდომ ითავა, და ამიტომ ალეგროს კომისიის მოთხოვნით ის ერთი კვირით გაანთავისუფლეს სამუშაოდან, რა-საც ის დიდი სიხარულით შეხვდა. როცა ქიშვარდი რაიონულ ცენტრიდან ამოვიდა, მთელი სოფელი აღეგროს საძალისში იყო. კურსებზე გამგზავ-რების შემდეგ ქიშვარდი ბონდოს არ შეხვედრია, მხოლოდ ახლა შეეცეთა შუქაში, როცა ბონდო რეპეტიციიდან ბრუნდებოდა. ბონდომ როგორლაც ცერაგულად გაულინა. ჰკითხა კურსებზე დრო როგორ გაატარეო, ჩაის საქმეში გარჯიშობდი, თუ სასიყვარულო წერილების წერაშიო. ქიშვარდი დაიბნა. ვერ გაიგო თუ რატომ ჩამოუგდო ბონდომ სატრუიალო წერი-ლებზე საუბარი. ციცინოსადმი მიწერილ ლექსზე არც კი უნდოდა უფიქრა. აბა საიდან ეცოდინებოდა ამის შესახებ ბონდოს. მაინც გულმა რაღაც უსიამოვნოთ დაუწყო ძეგრა.

აღეგროს წინა-დღით დაიწყო რიარია. კომისიის წევრები ვახშმისთვის ხორავს აგროვებდნენ. ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ქალთა ბრი-გადა ყველას სჯობიდა შემოწირულებათა შეგროვებაში. ის ხელცარიჭ-ლი არავისგან არ ბრუნდებოდა. ზოგიერთი ხაჭაპურებს სწირავდა ვახშ-მისათვის, ზოგი გოჭს, ქათამს ან ინდაურს, ზოგი ლვინოსა და ხილს. ეზოში, უნდა გაემართათ და ხორავიც იქვე ახლო მცხოვრებ სეფესას მიზიდეს. შემოწირული ლვინო რამდენიმე ჯიშისა იყო: ადესა, ცოლიკოური და ჩხავერი. რამდენიმე ბოთლი სანთლის არაყიც შემოსწირეს. ასეთი ნარევი ლვინო ვახშმისთვის არ გამოდგებოდა. შით უფრო, რომ სტუმრებს რაი-ონულ ცენტრიდანაც ელოდნენ. ამიტომ შეგროვებული ლვინო სასაღი-ლოს ჩააბარეს და საბადლოდ ერთი ხარისხის ლვინო გამოართვეს.

გამოსასკლელ დღეს მთელი ახალგაზრდობა კალისავით მოედო სო-ფელს. ზოგი ნოხს მოათრევდა, ზოგი მერეზენტს, ზოგი სელის სკამს, ზოგი სარკეს და ლამპას.

ყოველ აღეგროზე პუბულას წუწული იქლებდა სოფელს: მაინცადა-შაინც მის ნოხებს და სელის სკამებს უნდა დატაკებოდა აბეზარი ახალ-გაზრდობა. მეორე დღეს ჩვეულებრივად ნოხებს დათითხნილს დაუბრუნ-დნენ და სკამებს აკოჭლებულს. სიპიტოც ბუზლუნებდა, რომ მისი ჯვარ-ნაწერი, თეთრი თივთივის ჩოხა წარმოდგენებში დაუგლიჯეს.

სკოლის, ფოსტისა და აფთიაქის კედლებზე ვეებერთელა აფიშები იყო გაკრული:

—განადიოზული — ალეგრო-ეირნობა ფართო პროგრა-
მით წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და მოთეს ლელვი“.

საღამოში მონაწილეობენ შვიდწლედის მეჩონგურეები და შეურნეობის მომღერალი გუნდი, მრავალნაირი ფასართობი, მფრი-

ნავი ფოსტა, ლატარია, მერიკული აუქციონი, „საუცხოვო საწა-
ხობა“, „ჯალო-ქოთანი“, „თეთრი იხვი“ და სხვა მრავალი.
საღამოს შემდეგ დიდი ვახშმი გათენებამდის.

ალეგრო სკოლის ეზოში ეწყობოდა. სკოლის ჭინ მოედანზე საპატიო
სტუმრებისათვის რამდენიმე მწკრივად ჩაეწყოთ სელის სკამები და ტა-
ბურეტები. „პარტერს“ მოსდევდა კოტრებზე დაწყობილი ფიცრებით
შექმნილი „ამფითეატრი“.

უკვე შებინდდა. მაყურებლებმა შეგროვება იწყეს. სკოლის პარმალზე
კი სცენის გამართვა ჯერ კიდევ არ დაესრულებიათ. ჩაქუჩების კაუნი
იქაურობას აყრუებდა. პარმალი ორივე მხრიდან ბრეზენტებით შემოე-
ტლდათ. ბრეზენტებზე ნახშირით ფანჯრებს ხატავდნენ. პატარა ბავშვები
სცენაზე მიძრებოდნენ, დიდებს ფეხებში ებლანდებოდნენ. ვერაფრით ვერ
მოაშორეს ისინი იქაურობას. სკოლის ოთახში პარიქმახერი თავის ბოხ-
ჭის შლიდა. „მსახიობები“ პარიქმახერს გულს უწყალებდნენ. ვაჟები ერთ-
თავად წვერისა და ულვაშების გაკეთებას მოითხოვდნენ, იმისდამიუხედა-
ვად, — ახალგაზრდის თუ ხანში შესულის როლს ასრულებდნენ. როგორც
პროფესიონალურ თეატრებში, აქაც ნამდვილი დრამა როლების განაწი-
ლებასთან იყო დაკავშირებული. მთავარი ოსტატობა იმაში მდგომარე-
ობდა, რომ მოთამაშე თავისიანებს არ ეცნოთ სცენაზე. ამიტომ წამდა-
უწუმ სახეზე იყრიდნენ პუდრს, ისქელებდნენ წარბებს და სახეზე იხა-
ტავდნენ ვეებერთელა ხალებს. ყველა ერთდროულად ცდილობდა პატარა
სარკეში დანახა თავის თავი და ერთმანეთს კისერს აგლეჯდნენ.

ბუფეტში დიდი ფაციფუცი იყო. სიპიტოს, როგორც ძველად ბუფეტში
თამაშებისა, თითქმის ყოველ ალეგროში ვახშმის მოწყობას ავალებდნენ.
ის დღესაც თავის საგუშავოზე იდგა: თაროზე ალაგებდა თეთრ დაბლა-
რის ყურძენს, გრძელმტევნა ალადასტურს, კუფელებშეკრულ ჭუმუტას,
მოხარშული სიმინდის ტაროებს, ქარეისფერ ნესვებს, ჭანჭურს და მსხალს—
შემოდგომის უხვ ტაბლას. რომ ვახშმის „ჩიტის რძეც“ არ დაკლებოდა,
ქალაქიდან „პონჩიკები“ ც ამოეტანათ.

ჩვეულებისამებრ წარმოდგენის დაწყება დააგვიანეს. ზარს უკვე მე-
ათეჯერ რეკლენ. ხალხი მოუთმენლად უკრავდა ტაშს. სუფლიორი
„ნიურაში“ ჩაძერა და ის-იყო ფარდის ახდას პარიქმდნენ, როცა გა-
მოირკვა, რომ ბონდოს პიესა სახლში დავიწყებოდა. მის სახლამდის
კარგა მანძილი იყო და ის დამდულრულ ძალლივით გაიქცა შინისკერ
წიგნის მოსატანად. სულ დაავიწყდა, რომ ჩიხასა და გრიმში იყო.

სანამ ბონდო პიესას მოიტანდა, ახალგაზრდები „მფრინავ ფოსტით“
„ჯალო-ქოთანით“, „საუცხოვო სანახაობით“ ირთობდნენ თავს.

„საუცხოვო სანახაობა“ ბრეზენტით მოზღუდულ ქარავს წარმო-
ადგენდა.

— აბა ვის გინდათ ნახოთ მაიმუნის სახე სულ იაფად, ათ შაურად-
ექეთ, აექთ, — ჩახახებდა ყარამანი.

ქარავში მსურველებს თითოობლივ უშეებდნენ იმ პირობით, რომ
საიდუმლოებას არ ვაამჟღავნებლენ, ყველას უნდოდა ენძა თუ რა მხეცი

ჯადა კარავში. კარავს პატარა ლამპა ანათებდა. მაგიდაზე გაბზარული სარკე იღვა. შემსვლელი სარკეში თავის სახეს დაინაბეჭდა საოცრად და-მანქულს. კარავში ნამყოფნი სიცილ-ხარხარით ხედებოდნენ გაბრიყვე-ჭულს და აფიცებდნენ, არ დაგვლუპო, არ ვაგვცეო.

— მოდი, ერთად ვნახოთ მაიმუნის სახე. — ეხუმრებოდნენ ბიჭები გოგოებს.

„ჯადო-ქოთანიც“ დიდძალ ხალხს იზიდავდა. „ჯადო-ქოთანს“ მხო-ლოდ სახელი ჰქონდა ჯადოსნური, სინამდვილეში კი ის ჩვეულებრივი თიხის ქოთანი იყო, ღობის მარგილზე ჩამოცმული. თამაშის დაწყების წინ „მოასპარეზეს“ უჩვენებდნენ. თუ რომელ მარგილზე ჩამოაცვამდნენ ქო-თანს — შემდეგ თვალებს აუხვევდნენ და ხელში ჯოხს მისცემდნენ. მას ორმოცი ნაბიჯი უნდა გაეცლო მიმართულების შეუცვლელად და ქო-თანი ჯოხით დაემტვრია. თითქმის ყველა მარჯვნივ უხვევდა, მაგრამ პატარა ბიჭები, რომლებიც ღობესთან იყვნენ ჩაცუცქულნი, სმენის წამ-ლებად უყვიროდნენ თვალახვეულს — მარტნით — მარტნითო. ისიც მი-მართულებას იცვლიდა და თითქმის დაუცდენლად ასვედრებდა ჯოხს ქოთანს. ეს საღამოს მომწყობთათვის ერთობ საზარალო იყო. თამაშის პირობები ისეთი იყო, რომ თუ „მოასპარეზე“ ჯოხს ქოთანს ააცდენდა — ათი შაური უნდა გადაეხადა, თუ კი ქოთანს გასტეხდა — ჯილდოდ ხუთ მანეთს ღებულობდა. ქოთანიც ფულად ლირდა. მაგიდაზე დაწყობილი ქოთ-ნების რიგი თანდათან კლებულობდა. ამიტომ „ჯადო-ქოთანის“ მომწყობი შამია გაშმაგვებული დასდევდა პატარა ბიჭებს. მაგრამ ამ ეშმაგის ფეხებს რას დაეწეოდა. ისინი კუნტრუშით გარბოდნენ, ხეებს ეფარებოდნენ და იქიდან გაჰყვიროდნენ „მარტნით, მარტნითო“.

ლატარია, გელაზივით გრიალებდა. იქვე ახლოს არხის წყალი დაქ-გუბებიათ. შემოლობილ აუზში საგანგებოდ ალეგროსთვის ნაყიდი თეთრი იხვი დაცურავდა. ყმაწვილები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ ჩა-მოაცვამდა იხვს თავზე ყულფს. მაგრამ იხვს თითქო ალეგროს მომწყო-ბებთან პირი ჰქონდა შეკრულიო, ხელის გაქნევისთანავე წყალში ჩაყვინ-თავდა და მოთამაშე ყოველთვის გაცურებული რჩებოდა.

ოცი წუთის შემდეგ ბონდომ აქოშინებულმა მოირბინა ბედუკულმართი პიესით ხელში. ოფლს მთელი გრიმი ჩამოერეცხა და მისი სახე წითელ-ლურჯად ღუოდა. პირი დაიბანა და ისევ გრიმის კეთებას შეუდგა.

წარმოდგენა თერთმეტ საათზე დაწყო. პატარა ბიჭები სცენის რანდზე ეკიდებოდნენ და სუფლიორის „ნიჟარას“ ისე ეხვეოდნენ გარს, როგორც ფუჭკური ახლად დაწნებილ ყურძენს. ნიჟარაში იქყიტებოდნენ და სუფ-ლიორს ენას უჩვენებდნენ. არც „პარტერში“ იყო გათვან მოსვენება. წარმოდგენის ადგილი მაღალი მესერით იყო შემოლობილი, მაგრამ ბავ-შვებს ვერაფერი ვერ ამაგრებდა და ისინი შუა მოქმედების დროს ხტე-ბოდნენ მქსერზე. წინა რიგებში შედარებით სიწყნარე იყო. უკანა რი-გებში კი ბავშვების ხმაურობიდან ყურთასწენა აღარ იყო. ისინი წამდა-უწუმ გადაღილიდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე.

— ბალნებო, გაჩუმდით, თქვე გასაწყვეტლებო! გაგვაგონეთ რაცხა! — ჯავრობდნენ ხანში შესულები.

პირველი მოქმედება ძალიან მხიარულად დაიწყო. თუშც პიესის შინაარსი ამას სრულიათ არ მოითხოვდა, მოთამაშეებმა სცენაზე ყოველ-გვარი პირობითობის გარეშე ნამდვილი ჭამა-სმა გამართეს. სიპიტოს ჩევ-ულება ჰქონდა, სცენაზე მოთამაშეებს ყოველთვის წყალნარევ ღვინოს უგზავნიდა, რაზედაც მათ ხშირად ჩხუბი მოსდიოდათ. ახლაც ვერ გაი-მეტა სიპიტომ მათვის კარგი ღვინო. სცენის მოყვარეები მაინც გული-ანად შეექცეოდნენ. წყალნარევ ადესას ჩას ჭიქებით სვამლნენ და მოქ-შედების მსვლელობას აჭიანურებდნენ. გოჭის და ქათმის ხორცისაც მა-დიანად იღმურძლებოდნენ და ძვლებს ზედ სცენაზე ყრილნენ. ამ ძვლებ-მა სცენაზე ვიღაცის ძალლი შემოიტყუა. მურამ ძვლები პირწმინდად აკრიფა. შემდეგ უკანა ფეხებზე დაყუნცდა და მუდარით აღსავსე თვა-ლებით შესცემოდა ქეიფით გართულ მოთამაშეებს.

ბონდომ ძალლს ხელი დაავლო, სცენის უკან გაიყვანა და საპირტა-რეშოში ჩააგდო. რამდენიმე წუთის შემდეგ დაუბატიუებელი სტუმარი ისევ შემოვიდა სცენაზე და კუდის ქნევით დაუწყო ცქერა სუფრაზე შე-მომსხდარ სცენის მოყვარეებს. ბონდომ მეორეჯერ გაიყვანა ძალლი სცე-ნიდან, მაგრაც რამდენიმე წუთის შემდეგ ის ისევ მობრუნდა. მაყურებ-ლებში სიცილ-ხარხარი ატყდა. ახალგაზრდები ძალლს უწრუწუნებდნენ — ეკი მურიათ — ეძახდნენ. ახლა კი მოთმინებიდან გამოსულმა ბონდომ დაავლო ძალლს ხელი, „შენს პატრონს შენი თავ-ფეხიო“ — მიაძახა და მაყურებლების წინ მიწაზე დაანარცხა. ძალლი წყავწყავით წამოვარდა და რიგებს შორის გაძრომა: სცადა, ამ ჩართულმა სცენამ ყელაზე მეტი სიმოვნება მოპევარა მაყურებლებს.

მეორე მოქმედება. შუაზეც არ იყო მისული, რომ წვიმა წამოვიდა და სცენის მოყვარეებს დამწვარი კორპით მოხატული წარბები და წით-ლად შეფერადებული ლოყები ჩამოურეცხა. ზოგს ცუდად მიწებებული წვერი და ულვაში მოსძვრა. ქვენა-ქარმაც მაგრად დაუბერა და კედლად გაჭიმული ბრეზენტი მოთამაშეებს თავზე დაახეთქა. მაყურებლებმა და შემსრულებლებმაც იმდენი გძირობა გამოიჩინეს. რომ მოქმედება ბო-ლომდე მიიყვანეს. ამ დროს წვიმამ გადაიღო, ქარმა ღრუბლები გაპირანტა და ცაზე წვიმით პირდაბანილი ვარსკვლავები აციმციმდნენ. მაგრამ წარ-მოდგენის გაგრძელება შეუძლებელი იყო. როგორც მოთამაშეები, ისე მა-შემსრულებლებმაც იმდენი გძირობა გამოიჩინეს. რომ მოქმედება ბო-ლომდე მიიყვანეს. ამ დროს წვიმამ გადაიღო, ქარმა ღრუბლები გაპირანტა და ცაზე წვიმით პირდაბანილი ვარსკვლავები აციმციმდნენ. მაგრამ წარ-მოდგენის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ქალიშვილებს ატმისფერი ყურებლები „გასაწურად“ იყვნენ მოქცეული. ქალიშვილებს ატმისფერი აბრეშუმის კაბები ტანზე ეკვრებოდათ. დედები მათ სახლისკენ ექაჩე-ბოდნენ, ტუქსავდნენ. გოგოები კი ფეხს ითრევდნენ და შინ წასვლას არ ძარღვდნენ. როცა დედები ვერაფეხს გახდებოდნენ. თავის ფლორენციას ან კლეოპატრას ვინმე მოკეთის ქალიშვილს ჩაბარებდნენ:

— აბა შენ იცი, შენი ჭირიმე, თვალი მიეციო. — თითქოს მის ქალი-შვილს ასი შეიარაღებული კაცი ელოდებოდა მოსატაცებლად — და გუ-ნება-ალრენილი შინისკენ მიდიოდნენ.

ძნელი სათქმელი იყო, დედების წასვლა ვის უფრო უხაროდა — უა-
ჟებს თუ ქალებს.

მფრინავმა ფოსტამ მუშაობა გაახურა. „ფოსტის დამტარებლები“
ზოგთ მეცნიერებული აბნევლნენ მკერდზე „ნომერს“ — პირის ფირა-
ცისგან გამოჭრილი ისრით განგმირულ გულს ზედ აღბეჭდილ ნომრით.
მფრინავი ფოსტა ჯაღისნური საშუალება იყო მორცევ ახალგაზრდობი-
სათვის ენის ამოსადგმელად: ვაჟები და ქალები ლექსებით და წერილებით
იმის თქმას ახერხებდნენ, რაც ერთმანეთისათვის პირადად ვერ გამოეთ-
ქვათ. ზოგიერთებს გასაბიაბრუებლად წერილის მაგივრად დაუწერელ
ჭალალდს უგზავნილენ. ქიშვარდისაც მიუვიდა ერთი წერილი, რომელში-
აც დამცინავ კილოში „საბოლოო გრძნობაზე“ იყო „ლაპარაკი“. ქიშ-
ვარდი აილეწა. „საბოლოო გრძნობაზე“ ხომ ის სწერდა ციცინოს კურ-
სებიდან, თავის უკანასკნელ წერილში, რომლის პასუხს ის ვერ ელირსა.
მაგრამ ნუ-თუ ციცინომ ესეც არ აქმარა და მისი წერილი სხვას წააკით-
ხა, მისი გრძნობა ქვეყნის სასაცილოდ გახადა?

ქიშვარდის თითქოს თავს რეტი დასხა. ზეზე წამოდგომა ძლიეს მო-
ახერხა. ამხანაგებს გაშორდა და მესერს მიეყრდნო. ქიშვარდის ბრიგა-
დის ხალხმა შენიშნა მისი წასვლა და ძებნა დაუწყეს. ვახშმისთვის უკვი-
მაგიდებს აწყობდნენ. გაშლილი ქეიფი ოწყებოდა. თხუთმეტი სუფრა ჩაე-
მწერივებიათ ბუფეტის წინ. თვითეული ბრიგადა ცალკე სხდებოდა. სხვა-
სოფლებიდან მოსულ სტუმრებს შრომელები პატიუებდნენ თავიანთ სუფ-
რაზე. დიასახლისები მაგიდებს შორის ტრიალებდნენ. ბონდო თავის ბრი-
გადაზე მომდურავად. იყო გასამართლების მოწყობისთვის. განსაკუთრე-
ბით კი ქიშვარდის ჯავრი სპირდა, მისი სიმულიანტობა რომ გამოამჟღავნა:
ამიტომ ამ სალამოს სატურიეს ბრიგადას ახლოსაც არ გაეკარა — ყრუა-
სუბნელების ბრიგადას ჩაუჯდა. ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ,
თუ ვინ მეტს დახარჯავდა. ბონდო წამდაუწუმ იძახდა: შემწვარი წიწილ-
ლიო, ორი პორცია გოჭიო, სულგუნიო, ოთხი ბოთლი ღვინოვო და ცერს-
თავის თანამოსუფრებისკენ იშვერდა. ყველას ისეთი შთაბეჭდილება რჩე-
ბოდა, რომ ბონდო სხვებს მასპინძლობდა, მაშინ როცა ის სხვას ახარჯვი-
ნებდა ფულს.

ქიშვარდიმ თითქმის მთელი თავისი შრომა დღეებში აღებული ფუ-
ლადი ავანსი ოსტატების ქირას და კრამიტის ვალის გასტუმრებას მოან-
დომა და ახლა ჭურდულად იხედებოდა თავის საფულეში, რომელშიაც
ბევრი არაფერი იყო. როცა მისი ბრიგადის ბიჭები თავმომწონედ თხო-
ულობდნენ ღვინოსა და საჭმელებს, მას სირცვილი სწვავდა, და ის დამ-
ნაშავესავით თავდახრილი იჯდა. საჭმელი ყელში არ გადადიოდა, როცა
მოქეიფები ერთმანეთს ხუმრობით მიმართავდნენ:

— ჩაიყავი მაგ ჯიბეში ხელი, მორიელი ხომ არ გიზის შიგო?

ქიშვარდი ამ ოზუნჯობას თავის თავზე ღებულობდა. ამიტომ გაქვა-
ვებულივით იჯდა და საერთო მხარულებაში მონაწილეობას ვერ ღე-
ბულობდა.

ხალხი შექეიფიანდა. დაიწყო სუფრიდან სუფრაზე გადაპატიჟ-გადმონავდა, მაგიდების შეერთება. მფრინავი ფოსტა კი მართლაც დაფრილებული ბარათები.

ქიშვარდის მცორე წერილიც მიუვიდა. საოცრი იყო, რომ ესეც იმავ ხელით იყო დაწერილი, იმავ ოთხკუთხად დახაზულ ქაღალდზე და ისევ ჭიმიური ფანჯრით, როგორც პირველი წერილი. ოლონდ ეს ბარათი ლექ-სად იყო დაწერილი და მასში ისევ იმ „საბოლოო გრძნობაზე“ იყო ლა-პარაკი. ქიშვარდი არეული თეალებით მისდევდა ლექსის სტრიქონებს, რომლებიც თითქოს მის მიერ ციცინოსთვის შიწერილ ლექსის საპა-სუხოდ იყო დაწერილი:

„შენ მომწერე მცონი ლექსი,
აქეთ-იქით, აბდა-უბდა.
მწერდი, ვითომ ჩემი მზერით
გულში სისხლი დაგიგუბდა.
გიპასუხებთ ორი სიტყვით,
თუმც არ ვიცი ლექსის წერა,
იმ გრძნობებზე, რომელმაც შენ
ბულბულივით აგამღერა.
ჯერ ეს თხოვნა შემისრულე
და იქნები კარგი ბიჭი,
მოდი, ლექსებს ნულარ დასწერ,
ხომ ხედავ, რომ არ გაქ ნიჭი.
მარტოთ ნახვას მეხვეწები,
ოხ! საიდან გაღმევიდე,
ეგ სურვილი პატარაა, —
ხომ არ გნებავს სხვა რამ კიდევ?
საბოლოო გრძნობასა მთხოვ,
ოხვრა, კვერცხა დაგიწყია,
შენი ლექსის დამწერს, ძმაო,
ჭკვიანობა არ ატყვია.

ქიშვარდი მეხდაცემულივით იყო. არ იცოდა რა ექნა. უნდოდა სახლში გაქცეულიყო. მაგრამ ამ დროს მათ სუფრას საბჭოს თავ-მჯდომარე შემოუჯდა და მან ადგომა ველარ მოახერხა. ბონდომ მომღერალთა გუნდი თავის სუფრაზე გადიპატიჟა და სატურრეს ბრიგა-დის სუფრაზე ხალხი შემტხვერდა.

პატარა ბიჭები მოქეიფების შორიახლო იყნენ დაყუნცული. მათ ქა-ლი კისერს სწყვეტდა, თვალის ქუთუთოები ერთმანეთს ეკვროდათ, მაგ-რაც მაინც არ უნდოდათ სახლში წასვლა. საბჭოს თავმჯდომარე მეასეჯერ ეუბნებოდა მათ.

— წალით, ბიძიავ, სახლში! რაზე იქლავთ თავს, ვინ გჯის ახლა აქ ყოფნას, — მაგრამ არ იქნა და ვერაფრით ვერ მოაცვლევინა ფეხი.

მცხრალი მთვარე ამოვიდა და წყვილებმა არხის წყლის პირს გაის-ირინეს. პატარა ბიჭები უკან დაედევნენ. მოზრდილებიც შურით ჭორიფა-ნობას მოჰყვნენ. ღამის ნიავზე სიმინდის გამზმარი ფურცლები შრიალებდნენ. არხის წყალი საამურად ჩხრიალებდა. ჰაერში მწიფე აღესის სუნი იდგა. განთიადი ახლოვდებოდა. წყვილები უკან შემოიქცნენ, სუფრები-დან ხალხი აიშალა და სახლში წასასვლელად ემზადებოდა.

ბონდოს სუფრაზე კი ქეიფი გრძელდებოდა. ბონდო და გუნდის ხელ-მძღვანელი ალისტრახო რაღაცას ჩურჩულებრნენ და თანაც ქიშვარდისკენ იცქირებოდნენ. ქიშვარდიმ წერილები ხელში დაჭმულნა. მას უკვე ეჭვი აღარ შესდიოდა, თუ ვისი ხელით იყო დაწერილი ეს სათრეველი ლექსები.

ბონდო გუნდის ხელმძღვანელს რაღაცას ეხვეწებოდა. ალისტრახო კი უარის ნიშნით თავს აქნევდა. ქიშვარდი უცნაურმა შიშმა აიტანა. გრძნობდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, კადვე რაღაცას უმზადებდნენ. ბონდოს-გან კი კარგს არაფერს მოელოდა და მართლაც რამდენიმე წუთის შემ-დეგ ალისტრახომ თავისი წყრიალა ხმით წამოიწყო:

„ციცინომ სთქვა: ვაზს ყურძენი კონწოლ-კონწოლ ჰქიდიაო,

არ წავყვები ქიშვარდიას, ტყვილა გადამკიდიაო“.

ქიშვარდი თოფნაკრავივით წამოგარდა. თავის ტკივილი მრიმიზეზა და ხახლისკენ გაექანა.

— მაშ ციცინომ უჩვენა სხვებს წერილი! ციცინომ მოსჭრა თავი საქვეყნოდ. ახლა ხომ მთელი სოფელი მასზე დაიწყებს ლაპარაკს.

ქიშვარდი გამწარებული მიძუნძულებდა შინისკენ. ჭორი თითქოს ფეხ-დაფეხ მისდევდა უკან.

კლასიკური მამკვიდრობა

ჰაინრიხ ჰაინ

სხარი ბაზაფხური

პროლოგი

გალერეაში ნახავდი ხშირად
ვაჟკაცის სურათს — შეჭმუხენილ შუბლით,
ის ბრძოლის ველად აპირებს წასკლას,
შეჭურვილია ფარით და შუბით.

მაგრამ წაარტმევს მოულოდნელად
რათნის საჭურველს — ამურთა ჯარი,
და შებოჭუვენ ყვავილთა ქსელით,
მას აღარ შესწევს თავდაცვის ძალი.

მეც ამნარჩად ვარ შებოჭილი
და აღარ ძალმის გავწყვიტო ქსელი,
მაშინ, როდესაც ჩემს ძმებთან ერთად
საომრად მიხმობს მეც ბრძოლის ველი!

1.

ზიხარ თეთრ ხისქვეშ, განმარტოებით,
ირგვლივ ზუზუნებს ველური ქარი,
და ხედავ შავბნელ ბინდის საბნებით
კით იბურება ლრუბელთა ჯარი.

როგორ უდაბურ არედ ქსეულა
თვით დედამიწა — უკაცრიელი,

და ყინვასაცით გაციებულა
შენს მკერდში გული — ოდესლაც მწველი.

ირხევა ქარით რტოები ხისა,
დაბლა იფრქვევა ფიფქები თრთოლით.
შენ იმოსები თეთრი ბუმბლებით
და ეს გვონია ნამქერი თოვლის!

მაგრამ შენს თვალებს მოულოდნელად
ნაზი სიამის სხივი აავსებს:
ხელავ რომ თოვლის ნამქერის ნაცვლად
ყვავილთა ფიფქი გეფრქვევა თავზე.

ახ, რა უტკბესი ჯადოსნობაა
მაისში თოვლი ლეგენდარული!
რომლის ნამქერი ყვავილად იქცა
და დაგიბრუნა გულს სიყვარული.

2.

ტყე კვლავ ამწვანდა — ქალწულებრივი
სიხალისით და კდემით დამშვენდა,
მზე დედამიწას ულიმის შვებით,
ყრმა გაზაფხულო, სალაში შენდა!

ო, იაღონო, მომეული შენი
ტკბილი ჰანგები, სინაზით სავსე.
სიყვარულის და ტრფობის სიმღერებს.
იმღერი ისევ სევდიან ხმაზე.

3.

შეყვარს ყვავილი, მაგრამ რომელი —
არ ვიცი, და ვარ სევდით მოცული,
ჩავუქერი ყვავილს გალელილ მკერდში,
მინდა ვიპოვო მთრთოლვარე გული.

საღამოვდება, გალობს ბულბული,
აქმევს ყვავილი სურნელს უნაზესს.
მსურს ვპოვო გული — ჩემი გულივით
უმშვენიერეს გრძნობებით სავსე.

გალობს ბულბული და მე მომესმის
ჰანგები ტკბილი, სიამის მგვრელი,
ვიგრძენი ახლა, რომ ჩვენ ორთავეს
ჰვფლობს თანაბარი სევდა-ნალველი.

4.

დადგა მაისი და ყვავილებით
ააფერადა ტყე, მინდორ-ველი,
ლაფვარდ სივრცეში ვარდისფერ ლრუბელი
შვენის რხევა და ლივლივი ნელი.

მწვანე ტევრებში გაისმა კვალად
ბულბულთა სტვენა, ქცეული დარდად
და მობიბინე მინდორ-ველებზე
თეთრი ბატკნები დახტიან მარდად.

მე კი ავად ვარ, ვწევარ ბალახში,
არ ძალმის ლხენა, ვალალებს გული.
ყურს ვუგდებ ზარის შორეულ უღერას,
გაურკვეველი ფიქრით მოცული.

6.

სიყვარულით ალძრული ჰანგი დაუდგრომელი
გახდა სულის მფლობელი.

გახმიანდი სიმღერავ — გაზაფხულით შობილო
ტრფობის ჰანგებო ტკბილო.

მიფრინდი იმ სახლამდე — სად ყვავილობს ნარნარი
მომხიბვლელი ბალნარი.

და თუ შეგხვდეს მათ შორის ვარდი ალსავსე ჭდემით —
უთხარ სალამი ჩემი!

6.

ცელქ პეპელას ვარდი მოსწონს,
თავს ევლება, ეტრფის მარად,
პეპელას კი მზის სხივები
სიყვარულის ლიმით ფარავს.

შაგრამ თვითონ ვარდს ვინ უყვარს?
ვისთვის ოხრავს დღე და ღამე?
იქნებ ბულბულს ეტრფის იგი,
ან ცის ვარსკვლავს მოკამკამეს?

მე არ ვიცი ვარდს ვინ უყვარს,
მე კი მიყვარს თვითონ ვარდი,
პეპელა, და იადონი,
და ვარსკვლავი ცის ლაჟვარდის.

9.

„ფრინველთა შორის იატონი გაჩნდა პირველად
და იგალიბა გატაცებით მან „ტია-ტია“,
მისი სიმღერით აღმოცენდა მთადა და ველად
ვაშლის ყვავილი, ბალახები და ლურჯი ია.

„ერთხელ იქინა თავის მკერდზე საშინელ დარღით,
და ნორჩ გულიდან მეწამული სისხლი დაღვარა,
კვლავ აღმოცენდა ამ სისხლიდან ლამაზი ვარდი,
რომელსაც იგი ტრვობის ჰანგებს უმღერის. მარად.

„და იადონის სისხლი — გულით გაღმოფრქვეული,
ამ ტყის ფრინველთა მეგობრობის საბაზი არის,
და მან ვარდისთვის რომ შესწყვიტოს მღერა გრძნეული,
დაიღუპება. მაშინ ეგ ტყე — სილაღ ბარის“.

ასე უამბობს პაჭია შვილთ მამა ბებერი,
რომ ჩაცუცქულან მუხის წვერზე მიკრულ ბუდეში—
დედა ბეღურა — გატაცებით ხარობს, იმღერის,
შვილებს შესცემის, ავსებული დეღურ ნუგეშით.

მეოჯახეა იგი კარგი, ზზრუნველი, ზრდილი,
ბარტყეს კარგად ჩეკავს, ნამდვილ დედის იჩენს სიფრთხილე
და, ერთგულ ცოლით კმაყოფილი მამა კეთილი—
ზის და სამღვთო სჯულს გასართობად ასწავლის შვილებს.

8.

გაიშალნენ ყვავილები
გაზაფხულის თბილ ლამეში,
გულო, ფრთხილად, არ გაება
სიყვარულის მწველ ბადეში!

ახ, ვიცოდე, რომელს ძალუბს
დაიმონოს ისევ გული?
მოერიდე ზამბახებსო,
ჩამჩურჩულებს ყურს ბულბული.

9.

ბალახიდან შემომცეკერის
გაზაფხულის ლურჯი ოვალი,
ეს ლამაზი ია არის
შწვანე მდელოს პატარძალი.

ვწყვეტ ოცნებით შეპყრობილი
და ჩემს ზრახვებს, ოხვრას გულის —
იმეორებს გატაცებით
იაღონი — აღვზნებული.

ივი მლერის — ტოკავს ირგვლივ
ჰანგი წმინდა და დიადი,
უკვე მთელმა ტყემ გაიგო
ჩემი გულის ხვაშიადი!

თარგმნილი გერმანულით
ხარიტონ ვარდოშვილის მიერ:

არასის ჭაბა

ფანდურს უკრავს მეფანდურე,
ორლობეში მჯდარი,
მთელი სოფლის ყმაწვილები
ყველა მასთან არის.

ჩვერის, უკრაცს ზეფანდურე,
ყველა ჩუმად უსმენს,
როგორ დასცხეს კაზაკებმა
ლიახებს და რუსებს.

როგორ ჩაჯდა იარაღში
ხალხი კვირა-დილას —
და კაზაკი რომ დამარხეს
დიდი მინდვრის პირას.

უკრავს, მღერის ბერიკაცი,
თთქოს დარდიც მღერის,
იყო ოდეს გეტმანობა,
გაპჭრა მათი მტვერი.

სამუდამოდ დაეკარგენ
ჩვენს მიწას და წყალსო,
მაშინდელი კაზაკური
უაუკაცობა გვახსოვს.

უკრაინა, უკრაინა,
ჩემო სულის კვნესავ,
შენი ბედი მაგონდება,
გულს ნალველი ლესავს.

სად წავიდა კაზაკობა,
კაბაჩები გრძელი,
გეტმანების ბუნჩუკები,
ჩვენი ბედის მცველი!

წყალმა შთანთქა, ან იქნება
ლოკეს ცეცხლის ენით,
შენი მთები, უკრაინა —
საფლავები შენი.

ზღვა კენჭაობს მოწყენილი
და სამარე ხვეწის,
კაზაქს შვილი ეღუპება
სატრაპების ხელში.

ათამაშე, ლურჯო წყარო,
დე გალალდეს ქარიც,
თქვენ, შვილებო, იქვითინეთ,
თქვენი ბედი არის.

ორის მხრიდან წამოდგება
ბნელი ლრუბლის ჯარი,
მოწყენილა უკრაინა —
ესეც ბედი არის.

თოთოსავით ატირდება,
შველას აღარ ელის.
იღუპება კაზაკობა,
წახდა ჩვენი ხელი:

და დიდებაც წახდა ძველი,
მოსჭრეს ყველა გზები,
უნათლავად იზრდებიან
კაზაკების ყრმები.

უქორწინოდ თხოვდებიან,
მკვდრებს მარხავენ უღვდლოდ,
ვინ მიყიდა ჩვენი რჯული
ურწმუნოთა ურთოს!

ლიახებს და უნიათებს
დაუფარავთ ველი,

ყორნებივით დაუფარავთ,
ვინ იქნება მხსნელი!

აღგა ტარას ტრიასილო,
ლვარა ცრემლი მწარე,
გადათელა პოლონეთმა
უკრაინის მხარე.

აღგა ტარას ტრიასილო,
რჯულს და აღათს იცავს,
აღგა რუხი არწივი და
მტრებს უჩვენა ვინც ვართ.

აღგა ტარას ტრიასილო,
კმარა სახლში წოლა,
მოდით ძმებო, პოლონელებს
ავუტეხოთ ბრძოლა.

უკვე იმრძვის ტრიასილო
სამი დღე და ღამე,
და ლიმანი დაუფარავს
დახოცილთა გვამებს.

და კაზაკიც იქანცება,
გული წყდება დარდით,
ბილწი პანი კონეცოლსკი
მხიარული დაღის.

დაპატიუებს აზნაურებს,
სუფრას გაშლის მათვის;
ტრიასილო ჰკრებს და იწყებს
კაზაკებთან თათბირს:

„გეკითხებით ატამანებს,
სახელგანთქმულ კაცებს,
რა ვიღონოთ მომავალში,
თქვენი აზრი მამცნეთ.
ნალიმობენ მტარვალები,
ჩვენი სისტლით საესე“.
ინალიმონ, ალალ იყოს
მტარვალების თავზე.

მზის ჩასვლამდე ინატიმონ,
მოვუცადოთ ლამეს,
კაზაკები მონახავენ
ბნელ ლამეში პანებს“.

შემოღამდა, ბაღრი მოვარე
დაჰქათქათებს ყანებს,
კაზაკები ღრუბლებივით
წარმოადგენ პანებს.

ზარბაზანიც მიახალეს,
აელვებენ ხმლებსაც.
შეფართხალდნენ ბატონები,
ვერ გაიქცნენ ვერსად.

შეფართხალდნენ ბატონები,
ვერ წამოდგნენ ზევით,
და წავიდა უკულმართად
მათი ბედის გზები.

მიღის ალტა მახარობლად,
მიღდუდუნებს ხევში,
რომ ყორნები გადმოფრინდნენ,
სძიძნონ მტრების ლეში.

და ყორნებიც წოფერინავენ,
აღვიძებენ ყანებს.
კაზაკები წირვა-ლოცვით
ათენებენ ლამეს.

სვავი ბატონს დაჰყრანტალებს,
ნისყარტს ურტყამს თვალში
და გამოთქვეს კაზაკებმა
ეგ სიმღერა მაშინ.

ეგ სიმღერა ბრძოლის ლამეს,
ჩვენი გულას ჯავრის,
როცა მარად დავაძინეთ
პოლონეთის ჯარი.

სასაფლაო კურგანები
აზიდულა ველად.

სად კაზაკმა სძიხლი ღვარა,
იქ ბალახი ღელავს.

კურგანს სვავი დაჲყრანტალებს,
დამშეული დაღის,
როს ვიგონებთ გეტმანობას;
არ გვასვენებს დარღი.

და გაჩუმდა მეფანდურე,
სდუმდა მისი მრევლიც.
ბიჭებმა და გოგონებმა
მოიწმინდეს ცრემლი.

გზაზე მიღის მეფანდურე,
დარღისაგან უკრავს,
დალესილი ყმაწვილები
ზედ აყრიან ბუქნას.

იგი ამბობს: თქვენ იცეკვეთ,
მოუჯექით ბუხარს.
შე კი დუქანს მივაღები,
როცა ასე ვწუხვარ.

ვნახავ ქალს და დავპატიჟებ,
არ იქნება ცოდვა.
მტრებს, დავცინებ და, შვილებო,
გულს მოვიფხან ცოტას.

თარგ კონტანტინე ლორთქიფანიძისა.



პერებენდიას, — მეფანდურეს
ვინ არ იცნობს, ვინა?
დადის, უკრავს თავის კობზას,
გარეთაც და შინაც.
უკრავს კობზას, რომ კაცს გულზე
შემოხიოს თალხი —
და შადლობით იხსენიებს
ბრძა მესტეირეს ხალხი.
მას არა აქვს არსად ქოხი,
გდია ღობის ძირას,
იქ კვნესის და იქა მღერის,
იქვე წევს და სძინავს.
უბედობას გადაჰყრია
მისი გზა და ლელო,
დაჯდება და დაამღერებს:
„ნუ შრიალებ ველო“.
დაამღერს და თანაც სევდა
შობუცის გულს გმირავს,
ისევ მარტო, ისევ კარში,
ისევ ღობის ძირას...
ასეთია პერებენდია,
ვინ იცის რა ელის.
„ჩალოზედაც“ — დალილიმებს,
„ვოლუბკასაც“ მღერის.
გოგონებთან, საძოვარზე,
ჭაცა ყველა სწყალობს,
„გრიციას“ და „ვესნიანკას“
დაუკრავს და გალობს,

ტრახტირშიაც ხშირად მღერის,
სიმს შეაწყობს სიმზე,
და ქორწილში ზირს ამბობს
კაპას დედამთილზე.
მღერის ტკბილად, მღერის მწარედ,
გულში ნაღველს სთესავს,
გაზრობაზე არ ივიწყებს
წმინდა ლაზარესაც.
ხან-კი ცრემლი მოაწყდება
დაბრმავებულ თვალებს
და იგონებს: როგორ ლეწლნენ
ზაპაროვის კარებს.
ასეთია პერებენდია,
უვლის ყველა მხარეს,
ამღერდება, გაიცინებს
და ცრემლს შეგაპარებს...
ქარი ჰქინის და ქარი სტირის,
გაშლილ მინდორს სთელავს:
ირგვლივ ველი ლურჯ ზღვასავით
ირწევა და ლელავს.
კურგანს იქით, ისევ კურგანს
და საფლავებს ხედავს.
ელანდება: ქარი ქოჩორს
ვარცხნის უცნობ მხედარს.
ხან მისწყდება, მიყუჩდება,
რომ დუმილი შესვას
ხან კი უსმენს ბრმა მოხუცის
დაულეველ კვნესას.

უსმენს და მინდვრად ქარის სისინიც
ღუმდება და ხმა კანკალით სწვდება,
თითქო მოხუცის გული იცინის
და ბრმას თვალთაგან ცრემლები სწყდება.

უსმენს მხედარი, იფარებს ლელებს,
რომ არ შეასწროს თვალი არავიჩ,
რომ მიმოპფინოს ნიაემა ველებს
ხმა უტკბილესი და შემპარავი.

რომ არ შეაკრთოს მღელვარე გული,
არ გაუნელოს ცეცხლის კიდება,
და სამღვთო სიტყვა, ფარულად თქმული,
მხოლოდ ღმერთს მისწვდეს, როგორც დიდება..

აზრი კი ჰეთანტავს გარემო ბურანს,
მიწის და ქვეყნის იქით კიაფობს,
როგორც არწივი, ლრუბლებში სცურავს
და დილი ფრთებით ლაფვარის მიაპობს.

შზეს შეეყრება და ჰკითხავს ჩუმად:
როდის იღვიძებს, როდის იძინებს,
ან მთები ასე რისთვისა სდუმან
და არ შესძრავენ ზღვების სიმძიმეს.

და ისევ ზეცის ულეველ სიგრძეს
მისღევს, რომ დასთმოს მიწა, მთა-ბარი,
რადგან, ვინც იგრძნო ცხოვრების სიბრძნე,
ქვეყნად არა აქვს თავშესაფარი.
ვისაც მიწის და ზღვის ენა ესმის,
და მზის სინათლე მიუძღვის წინა,
ის ლობის ძირას გდია და კვნესის
და ქვეყანაზე არა აქვს ბინა.
ეს, რომ იცოდნენ — რათ ზის მწუხარე,
და უხმობს ველზე ლვთაებრივ სულებს, —
გააძევებდნენ სიცილ-ხარხარით,
როგორც გრძელ და ბრუციან სულელს...

კარგა სცხოვრობ, მეფანდურევ,
არ დაეძებ საფარს,
დახვალ მარტო, უკრავ კობზას,
ახმაურებ მთაბარს.
არ შეუდრეკ თუ კი საღმე
მწარე რამე გეოქვას
და იმღერე მუდამ ასე,
სანამ გული ფეოქავს.
დე, ნუ ესმის ხალხს შენი ხმა,
ბედმა ასე იცის,
კვლავ სიმღერა შეაგებე
მის დამცინავ სიცილს.

ასეთია პერებენდია,
უვლის ყველა მხარეს,
ამღერდება, გაიცინებს
და ცრემლს შეგაპარებს.

თარგმ. ილო მოსაზვილისა



სარხეონაბარი

შება მეათე

1. როგორც კი ჭიშკრის გავიარეთ ორივემ ზღურბლი, რომლის გადასვლა ანგარ სულებს აღკვეთილი აქვს,
3. სულებს, რომელთაც ცდუნების გზა უჩანთ მართალად, და შევიცანი მის გრუხუნზე ვით დაიგმინა,
5. უკან მოხედვა მცირე ხანსაც რომ განმეზრახა, აღარ ვიცოდი ვით შევძლებდი თავის მართლებას.
7. შემდეგ გაბზარულ ქვას ავყვეთ, ავცოცდით მაღლა, ქვის ზედაპირი ლივლივებდა აღმა და დაღმა,
9. როგორც ზღვის ტალღა მიქცევის და მოქცევის უაშსა „აქ ცოტა მარჯვედ უნდა ვიყვეთ, ვიარობა ისე, —
11. მითხრა ასტატმა — „და აქა-იქ მივყვეთ ამ კედელს, ამ ქვის გალავანს გზის ნაპირად თან გაყოლებულს“.
13. ამან იმდენი დაგვაყოვნა სიარულისას, ამასობაში მთვარის ჩკალმა მოასწრო კიდეც
15. თავის ადგილთან მობრუნება და დაგანება იქ, სადაც ტკბილად მას ეძინა ჩვენს აქ მოსულამდის.
17. ვიღრე შევძლებდით ამ ორწოხში გზისა გაკაფვას, ავედით მაღლა, გარშალა უკვე სანახი,
19. იმ ადგილებში, სად მთის ზურგი იწევა ქვევით, მე დავიქანცე და ორთავეს მხარი აგვექცა.
21. გზას ვერ ვაგნებდით და გარშემო იყო ტაფობი, უდაბნოს გზაზე უფრო მეტად უკაცრიელი.
23. უფსერულის პირად იყო ფლატე, რომლის სიმაღლე უდრიდა სამი კაცის ზომას, ერთად აღებულს,
25. სანამდისინაც თვალის ჩემის მზერა სწვდებოდა, ირგვლივ იგივე ფლატე სჩანდა გარსმოვლებული,
27. როგორც მხარმარცხნივ, ისე მარჯვნივ თანაბარ ზომის. ჯერ კიდევ ფეხი ჩვენ არ გვქონდა ზედაც შედგმული.

29. მე დავინახე ფლატე იგი ყოველი მხრიდან
 და არსად იყო აღსასვლელი ბილიკი რამე.
 31. და ეს მარმარის გალავანი ისე შეემკოთ
 ქანდაკებებით, ჩუქურთმებით, რომ პოლიკრეტი,
 33. და უფრო მეტი, თვით ბუნებაც სწორს ვერ შეჰქმნილა.
 და ანგელოზი, იმ ზავისა მახარობელი,
 35. რომელსაც მრავალ წლის მანძილზე ცრემლით ვითხოვდით,
 და ვინაც ზეცას აკრძალვისა შეხსნა კლიტენი,
 37. იდგა ჩვენს თვალშინ ისე ცაცხლად და ისე ცხადლივ,
 პოზაც იმდენად ბუნებრივი მიელო ქანდაკს,
 39. ჩვენ არ გვეგონა, თუ ის მუნჯი იყო ხატება,
 ასე იტყოდით, შესძახებსო იგი მყის „Ave“-ს,
 41. და ეს ქანდაკი ატარებდა სახეს იმისას,
 რომელმაც წმიდა ჩვენ გაგვიღო კარი-ბჭეები
 43. და მის კვარცხლბეკზე ზედ ეწერა *Ancilia dei*.
 ისე მყაფიოდ, ისე ნათლად სჩანდა წარწერა,
 45. თითქოს მოეჭრათ იგი წმინდა სანთლის-ნაჭერზე.
 „ნუღარ მიაპყრობ მარტოოდენ ქრო საგანს მზერას“,
 47. მითხრა ოსტატმა, ჩემს მახლობლად იმ მხარეს მდგარმა,
 რა მხარეზედაც გული უცემს კაცას ხორციელს.
 49. ახლა მე მზერა გადვინაცვლე და დავინახე
 დედაჲ ღვთისა სწორედ იმავ ნიმართულებით,
 51. საღაც ოსტატი ჩემი იდგა, ჩემი მხმობელი.
 სულ სხვა ამბავი იყო ქვაზე ამოკვეთილი,
 53. მე გავუარე ვირგილიუსს და მივეხლე,
 რათა პირდაპირ დამენახა ეს ყოველივე.
 55. იმავ მარმარზე ამოჭრილი შექნიშნე ეტლი,
 იქვე ხარები კიდობანში წყვილად გაბმული,
 57. რათა ყოველი განერილოს, რაც მას არ ანდვეს.
 ბრბო ზიმზიმებდა, დაყოფილი იქვე შვიდ ქოროდ,
 59. მე ვჭოჭმანობდა ორ გრძნობაში, ერთი ამბობდა,
 მლერისო ხალხი, და მეორე ამბობდა „არას“
 61. აქ ყნოსვისა და მხედველობის ორგანოები
 შეეკამათნენ ერთმანეთსა. საკმევლის კვამლი
 63. იდგა მართლაც, თუ ნახატი რამ მომეჩვენა.
 იქვე ცეკვავდა მეფსალმუნე თავმოდრუკილი,
 65. სამოსის ბალთებს ხელს ჰქოდებდა და ზევით სწევდა,
 სჩნდა ამ მომენტში თვით მეფეზე აღმატებული.

23. დანტე ხმარობს „პოლიკრეტის“. იგულისხმება ბერძენი მოქანდაკე პოლი
 კრეტი. ღილიასის თანამედროვე, სცხოვრობდა 480 წ. ქრისტემდღის.

24. Ave — გიხარდეს.

25. Ecce ancilia tui, — ვარ მონა ღვთისა:

57. ხოლო პირდაპირ ღიდ სახახლის ღია სარქმლიდან.
 იჯდა მელქოლა, განცვითრება აჩნდა სახეზე,
 69. ამ გაშტილებულ და გულბოროტ ღილა ქალბატონს.
 დავწინაურდი და დავგადე აღგოლი იგი;
 71. საღაც ვიდექი, რათა უკეთ ეს დამენახა.
 მელქოლას უკან სხვა სურათი ბრწყინვდა ახლა,
 73. წარმოდგენილი იყო რომის კეისრის ვაჟის
 მაღალი სვე და ღიდება ძლევამოსილი,
 75. რამაც უბადლო გამარჯვება არგუნა გრევორს.
 აქა ვგულისხმობ თვით ტრიოანს, რომის კეისარს.
 77. მის ცხენის აღვირს ქვრივი ქალი მოსჭიდებოდა,
 ძაძით მოსილი და მდუღარე ცრემლთა მნთხეველი.
 79. ირგვლივ მხედრების, მეომართა მთელი ლაშქარი
 შემოხვევოდა კეისარს აღმხედრებულსა.
 81. ქარი არხევდა თთქოს ღროშებს არწივებიანს.
 და მოზიმზიმე ხალხის წრეში იდგა ის ქვრივი,
 83. ევედრებოდა, რომ კეისარს შური ეძია,
 მისი ძვირფასი ვაჟის მკვლელის ითხოვდა დასჯას.
 85. იმპერატორი ამშვიდებდა: მოიცადეო,
 ვიდრე ჰველა მოვალ, ხოლო ქალი სევდით აღვსილი,
 87. მუხლმოდრეკილი შეევედრა: ჰე, მეუფეო,
 თუ არ დაბრუნდი, მაშინ რა ვწნა? და მან მიუგო:
 89. „ჩემი მემკვიდრე მოგცემს განსჯას“ და ისევ ქალმა:
 „სხვის სამართალი შენ რას მოგცემს. თუ შენი დასთმე“;
 91. და კეისარმან: „ნუ გეშინის, ასე სჯობია,
 „მოვალეობა მოვიხადო, ვიდრე მე წავალ.
 93. „ამას მოითხოვს სამართალი. გულმოწყალება“.
 იმან, ვისთვისაც არ არსებობს რამე ახალი,
 95. მოაწყო ესე საუბარი მოჩვენებითი,
 რაღვან მიწაზე ასეთი რამ აროზეს ხდება.
 97. ვიდრე მე ასე ვერთობოდი და ვჰვრეტიდი თანაც
 თავმოდრეკილი სათნოების ღიად მაგალითს
 99. თვალისმომლენერელ საოცარი ნახელოვნებით,
 მითხრა ასტატმა: მოდიანო ნელის ნაბიჯით
 101. ლანდები ჩვენსკენ ამ მხარიდან განუწყვეტელად
 ჩურჩულით ამბობს ვირგილიუს, ისევ განაგრძო:

„მელქოლა ტექსტში Micòl საულის ასული, დავითის, ურიათა მეფის პირველი ცოლი.

ამ სტროფებს სარჩულად უდევს ცხრბილი ისტორიული ანეგლოტი: რომის იმპერატორ ტრიოანის სალაშქროდ წასულა გადაუდვია, რათა ქვრივი დედაკაცის სანიკოსოვის მოესმინა.

დანტეს ტექსტში ამ სურათების შემქმნელს ეწოდება fabro... ასიცა ნიშნავს მჟედელს, მექარხნეს, გრავიორს და სხვ. ფრანგულ თარგმანში l'artiste — ერმ. Dildner. ქართულში ტექნიკური დაბრკოლების გამო სხვარიგად მოვაქციე სიტყვა.

103. „სწორედ ესენი აგვიყვანენ მალლა და მალლა“. მყისვე ჭვრეტაში ჩაფლობილი თვალები ჩემი,
105. გაოცებული უჩვეულო სანახაობით, ახლა მიექცა მოზღვავებულ ლანდების ხროვას.
107. მინდა, მკითხველო, შენ შეგაკრთოს სმენამ იმისამ, თუ რანაირსა სინანულსა ითხოვს უფალი.
109. შენ ნუ უყურებ მარტველობის სახეს გარეგანს, იფიქრე მხოლოდ, რომ ამ ტანჯვის ყავლისა სიგრძე
111. არ გადასცდება უზენაეს განკითხვის საგანს. მე უპასუხე: „რასაც ვხედავ, ოსტატო ჩემო,
113. „არ უნდა იყენენ, ჩემის აზრით, ადამიანი, „რასაც ვერ ვხედავ, ურთიერთში აღრეულია“.
115. ვირგილიუსმა მიპასუხა: „ტანჯვის სიმძიმეს „სულნი ესოდენ მოუხერია, მტვერში განრთხმულნი,
117. „რომ თვალნი ჩემი ძლიერი არჩევდნენ მათ პირველ ხანში. „კარგად დაძაბე მზერის ნიჭი და გაარჩიე
119. „გამჭრიახ თვალით ქვათა შორის შუცუავნი ლანდნი, „ჯერ აქედანაც დაინახავ, ვით ფართხალებენ“.
121. ჰე. ქრისტიანო გულამაყნო და საცოდავნო, გონებით ბეცნო, სიღუბჭირით დაბრმავებულნო,
123. ცდუნების გზაზე ამპარტავნად ხართ, მოარულნი, ნუთუ არ ხედავთ ჭიალუად რომ გაჩენილხართ,
125. ანგელოსისებრ ფართლის დარად გამოსაჩეკი, უნდილ ფართვატით მომზრინავნი განკითხვისაკენ, —
127. მაშ რად ამაყობს სული თქვენი ამპარტავნი, როცა თქვენ მწერებს მიაგავხართ, უდღეოდ შობილთ,
129. მატლებს, რომელთაც არ შესმიათ ჯერ კიდევ ფრთხინი? როგორც სხეული ლოდებისგან ნაქანდაკები
131. სახლის ზედმირკვლის სახურავის დასამაგრებლალ, ქედმოდრეებილი მკერდით მუხლზე გადაყრდნობილი
133. ასეთ სახეზე სელლოვნური მოსჩანს ტკივილი მნახველის თვალში. სწორედ ასე დაცუცქეულიყვნენ
135. სულები, როცა დავაკვირდი და ჩაეცერდი. ერთი ნაკლებად მოდრექცილი მოსჩანდა, ზოგიც
137. მომეტებულად განიცდიდა დაწოლილ ტკირთსა, მაგრამ ყველაზე დამშვედებულს და მოთმენილსა
139. ზედ ეხატვოდა: ველარ ვუძლებ ამდენს სიმძიმილს.

იტალიურიდან
კონსტანტინე გამსახურდიას მიერ
თარგმნილი

106. ტექსტში nati a formar l'angelica დაბადებული ანგელოსურ „ფარფალი“ ცეპლის გასაკეთებლად. სხვათა შორის სიტყვა ფარფალა შემოსულა მეგრულში: პე-ცელა-ფარფალი.

ალი არსენიშვილი

ვლადიმერ ალიაზევი.

(გარდაცვალების 7 წლის თავისათვის).

ხალხთა დიდი ბელადის სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „მაიაკოვსკი იყო და ოჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო და უნიჭიერეს პოეტად“ საუკეთესოდ ადასტურებს იმ უდიდეს სიყვარულს, რომლითაც სარგებლობს მაიაკოვსკის შემოქმედება მთელს საბჭოთა ხალხში და იმ უდიდეს გავლენას, რომელიც მან მოახდინა მთელს თანამედროვე საბჭოთა და საერთაშორისო პროლეტარულ ლიტერატურაზე.

ასეთ უდიდეს წარმატებას მაიაკოვსკის შემოქმედბამ მიაღწია, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ იგი განუწყვეტლივ კავშირში იმყოფებოდა „იერიშის შიმტან კლასთან“, სოციალიზმის აღმშენებელ მუშათა კლასთან, რომელსაც მიმართავდა:

Я
всю свою
звонкую силу поэта
тебе отдаю,
атакующий класс.

ის დაახლოება პოეტური ენისა მთელი საბჭოთა ხალხის ენასთან, რომელიც მოახდინა მაიაკოვსკიმ, თუ შეეძლება იმ გადატრიალებებს ენისა დარგში, რომელიც თავის დროზე მოახდინეს ჯერ პუშკინმა და შემდეგ ნეკრიასოვმა, ასე გაბედულად რომ მიმართეს ხალხის ენას და იანვეს მასში დაუშრობდელი წყარო თავის შემოქმედებისათვის.

ოქტომბრის შემდეგი პერიოდის მუშაობაში მაიაკოვსკი ნიადაგ ხაზს უსვამდა მას, რომ იგი იბრძვის სოციალისტური ხელოვნების შექმნისათვის. მაგრამ სანამ იგი ამ გზას დაადგებოდა, სანამ გახდებოდა ჭეშმარიტ ხალხურ პოეტად, სოციალისტურ ხალხურ პოეტად, მან განვლორთული განვითარების გზა. მისი რევოლუციური თვითშეგნების გაღვიძებაში დიდი როლი ითამაშა მისმა ბავშვობამ, რომელიც მან გაატარა 1905 წ. რევოლუციის ატმოსფეროში ქუთაისში და შემდეგ მოსკოვში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მან განიცადა ხანგრძლივი დაპატიმრება მეფის ციხეში, იატაკქვეშურა რევოლუციური მუშაობა, დანა.



ՅԱԿԱՋԱՐԵԼ ՅԱՆԱԿՈՅՏԵԳՈ

შემდეგ, რეაქციის წლებში, 1910 — 11 წ., მაიკონები იწყებს მუშაობას ჯერ ფერწერით მხატვრობაში და შემდეგ პოეზიაში. იმ ხანებში ხელოვნების ამ დარღვევა გაძარღვნებული იყვნენ სიმბოლისტები, რომლებიც ჩაკეტილიყვნენ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „სპილოს ძელისაგან გამოთლილ კოშკში“ და ჰქმნიდნენ ხელოვნებას „რჩეულთათვის“, უმკირესობისათვის. ეს იყო რუსეთის იმპერიალიზმის, რუსეთის სამწერლო-ფეოდალური იმპერიის დასასრულის წინა წლები. მალე სიმბოლისტები, რომლებიც წარმოადგენდნენ ბურჟუაზიულ მიმართულებას მწერლობაში, დაუპირისისპირდნენ ფუტურისტები, რომლებსაც მიემხრო შიაკონები. მათში მალე დაიკავა უპირველესი ადგილი:

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მაიაკოსეკი მთლიანად ვამს-ჭვალული იყო სიძულვილით ბურუუზიულ საზოგადოებისაღმი, მის მიერ შექმნილ კულტურის, რელიგიის და ხელოვნებისაღმი. მაგრამ მაშინდელი მისი ლექსების მინედვით და მათი სულისკვეთებით, და, უპირველეს ყოვ-ლისა დადგებითი რევოლუციური იდეალის უქონლობით, მაიაკოსეკი მა-შინ იყო პოეტი არა პროლეტარიატის, არამედ ლიტერატურული ინტელიგენციის დეკლასირებულ ელემენტებისა. მას ახასიათებდა ამბო-ება ეპოციონალური, ბუნტარობა, რომელიც სავსებით თავსდება ბურ-უუზიული საზოგადოების ფარგლებში. ასეთ ერთგულ, ინდივიდუა-ლისტური ბუნტარობის სულისკვეთებას ამერლავნებს მაიაკოსეკის ამ პე-რიოდის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა პოემები „ვლადიმერ მაია-კოსეკი“, „Облако в штанах“ და ლირიკული ლექსები.

იმდენი სასოწარკვეთილება, უიმედობა და გარკვეულ გზების უქონლობა იხატებოდა პოემაში „Облик в штанах“, რომ მაიაკოვსკის საკუთარი გაღმოცემით (მის ავტობიოგრაფიაში), მაქსიმ გორკიმ პოემის მოსმენის დროს იტირა. მაგრამ ამავე დროს ამავე პოემაში ისმის ისეთი წინასწარმეტყველური ჰანგი, როგორიცაა რევოლუციის მთახლოვების გასაოცარი წინადგრძნობა:

вижу идущего через горы времени
которого не видит никто.
Где глаз людей обрывается куцый,
главой голодных орд,
в терновом венце революций
грядет шестнадцатый год.

Յա՞նին, հռօդյեսաւ տօտքմուն մեղլու մ՛շերլոռօծ զամսկցալուլո ոչո Շա-
ցոնինօթյուր-օմքյրուալուսթյուր սյոլուսկցետեծուտ և մեսահու շքյըրօծ զամուց-
լություն մոլությահունիմն և օմքյրուալուսթյուր ռմիս, մասայոցքսո, հռմյըլուց ջմ-
լորուս առ ոչո ճագացմուրեթյուլո սաթյացեալուր, ծոլլեցոյցյուր ռհրցանիթօ-
լուստան, ալոմալու եմա ռմուն ֆինօալմդյց և մմլացրո პրոբյընիոտ մո-
ցահուտա մյշիանցյուր-ծպրոյցյանուլ սաթօցալոյցիս:

Единственный человечий
средь воя,
средь визга
голос
под'емлю днесь.

და როდესაც გარშემო გაისმოდა ინტელიგენციის ისტერიკული ყვითელი კულტურის. აღსასრულის შესახებ, მაიკონვსკი მთელი თავისი შეგნებით, სულით და გულით დადგა ბოლშევიკების მხარეზე, რომლებშიაც მან დაინახა გარკვეული მიზანი, გზა. ჯერ მას კიდევ საკუთხით შეგნებულიც არ ჰქონდა პროლეტარული რევოლუციის შემოქმედებითი. ამოცანები, მაგრამ მთელის ინსტინკტით იგრძნო, რომ მუშათა კლასი და მისა პარტია არის ის ერთად ერთი ძალა, რომელიც მოსპობს მის მიერ სასიკედილო შეძლებულ ძველ სამყაროს. მის წინაშე არასოდეს არ, მდგარა და საკითხი რევოლუციის „მიღების“ თუ „არ მიღების“ შესახებ, მან ირგავანიულად და საბოლოოდ იმ თავითვე მთელი თავისი არსებით მიიღო და შეისისხლხორცა რევოლუცია და გახდა მისი უდიდესი პოეტი. აღტაცებით საკუთხი მისი პოეტური ხმა, როდესაც პოეტი ასეთი პიმინით მიმართავს რევოლუციას:

Делами,
кровью,
строкою вот этою,
нигде
не бывшею в найме,
я славлю
взвитое красной ракетою
Октябрьское
руганное и пропетое
пробитое пулями знамя!

პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ მაიაკონსკის პოეზიიდან სრულიად გაქრა ყოველგვარი სასოწარკვეთილება და პესიმიზმი. იგი მთელი თავისი არსებით ჩაბმულია საბჭოთა რესპუბლიკის საბრძოლო ამოცანების შესრულებაში. სამოქალაქო ომის ხანაში იგი დღე და ღამე მუშაობს „როსტა“-ში და ხალხისადმი აგიტაციის და პროპაგანდის გასაწევად ამუშავებს თავის ლექსს და ენას, რამაც ესეოდენ მისაწვდომი და გასავები გახადა მისი პოეზია მილიონიან მასებისათვის. მაიაკონსკი ამ მხრივ პრეცენტუალურ მაგალითია იმისა, თუ უდიდესი რევოლუციის ეპოქის ხალხის მასამ როგორ გაზარდა საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტი. იგი საცხებით მომწიფდა ამ ხანებში, როგორც უდიდესი პოლიტიკური პოეტი. თავისი პოეზიით იგი დაუღალვად ებრძეის მეშჩანურ ყოფას, ბიუროკრატიზმს, უკულტურობას, იბრძეის სახალხო ჯანმრთელობისათვის, სახელ-

მწიფო სესხის გავრცელებისათვის, კულტურული ყოფინათვის. არც ერთი ამოცანა, რომელიც დღას ჩევოლუციის წინ, მისთვის არა უცხო. იგი თავს ჩევოლუციის მიერ მობილიზებულად თვლის, ზე, როგორც პოეტი, სავსებით ჩევოლუციის განკარგულებაშია. მასებთან ყოველდღიურ ურთიერთობის ნიადაგზე, ახალი ცხოვრების ყოველდღიურ მოთხოვნილებათა ულრმეს ცოდნის გამო, განუწყვეტელი კავშირით რევოლუციურ ეპოქასთან, და ახალი ცხოვრების აღმშენებელ ხალხის მასასთან, უდიდესი ოსტატი და ნოვატორი პოეზიისა, მაიაკოვსკი ჰქმნიდა ახალ, სოციალისტურ პოეზიას. ამ დროს თავის თავად, ორგანიულად მის წინ წამოიჭრა უდიდესი მნიშვნელობის საკითხი:

ვინ წარმოადგენს პოეზიის ახალ მკითხველს. და როგორი ნაწარმოები სჭირია მას, რა უნდა მიაწოდოს მას პოეტმა? თავის გამოსვლაში 1930 წლის 25 მარტს წითელი პრესნის რაისახლში აი რა პასუხი გასცა თითონ პოეტმა ამ საკითხს:

„მხოლოდ მუშათა აუდიტორია, მხოლოდ პროლეტარულ-გლეხურია მასები, ისინი, ჟინც ამ უამად ჩვენ ახალ ცხოვრებას აშენებენ, ისინი, ვინც აშენებენ სოციალიზმს და სურთ გაავრცელონ იგი მთელს მსოფლიოში.— მხოლოდ ისინი უნდა გახდნენ ნამდვილი მკითხველები, და მათი პოეტი უნდა გავხდე მე.“

მაიაკოვსკი არ იმიჯნებოდა ხალხისაგან, ის სწერდა მხოლოდ იმაზე, რასაც გრძნობდა მთელი ხალხი, იგი ცხოვრობდა ხალხთან ერთი სიცოცხლით — და ამიტომ მიღლო და შეითვისა მისი პოეზია ხალხმა. მაიაკოვსკი ცოცხლობდა თავისი დროის და მისი — ყველაზე უფრო საბრძოლო ამოცანების სრული და შეუკვეცელი სიცოცხლით — ეს კი იყო სოციალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლა — და აი რატომ მიძღო და შეისისხლხორცია მისი პოეზია მუშათა კლასმა.

მთელი მხლვაწეობა მარაკოვსკისა, მაიაკოვსკი პოეტი — ორატორი, მისი, მუშაობა „როსტა“-ში, „კომსომოლსკაია პრავდა“-ში, მიარ განუწყვეტელი ყოფინა ტრიბუნასთან — ყველაფერი ეს მოწმობს მის ნამდვილ ხალხურობას. მაიაკოვსკი ახალი ტიპის პოეტია, ახალი სოციალური შენების მატარებელი. მისი სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, მისი შენების მატარებელი. მისი სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, მისი შეადგინება მისთვის სამსახურისათვის, მისთვის თავგანწირებისათვის, არის თვისება ახალი ადამიანისა, რომელიც წარმოშვა ჩევოლუციაშ. ამიტომა, რომ მაიაკოვსკის შემოქმედება აღსავსა სიცოცხლის, და ბრძოლის წყურვილით, დაუშრეტელი ენერგიით და სიცოცხლის და შეტევის დაუცხროებით, სურვილით.

Мне бы жить и жить,
сквозь годы мчась,
но в конце хочу —
других желаний нету —
встретить я хочу.

мой смертный час

Tak,

как встретил смерть
товарищ Негте.

თავისი პოეზის ხალხურობის მისაღწევად მაიაკოვსკიმ განვლო ერთადერთი და შესანიშნავი გზა, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიო პოეზიაში. წინა პოეტური სკოლების (სიმბოლისტების, ფუტურისტების და სხვ.) საწინააღმდეგოდ; მან დაიჭირა ორიენტაცია ყოველდღიურ, სალაპარაკო, სადისკუსიო, ორატორულ სიტყვაზე და ამ თავის ცდაში დაეყრინო კონკრეტული ეპოქისა და კლასის — პროლეტარიატის — ცნობიერებას, მისი გარკვეული ინტერესებისა და მიზნის — სოციალიზმისათვის — ბრძოლას. მთელი თავისი დახვეწილი, სრულყოფამდე მიყვანილი ფორმა მან მოახმარა ჩევოლუციის მიერ დაყენებულ ამოცანათა სამსახურს.

მაიაკოსქირ ჩსწრაფოდა ნამდვილად ხალხური ეპოსის შექმნისაკენ. ასეთ ცდებს წარმოადგენს პირველი მისი ღრამატიული ნაწარმოები „მისტერია პუფი“ და შემდეგ პოემები „ვ. ი. ლენინი“, „Хорошо“. ლენის და სტალინის, ახალი კაცობრიობის უდიდეს ბელადების სახეები უკვე გახდნენ ხალხური ეპოსის კუთვნილებად. და მაიაკოსქიც გვიჩვენებს ლენინს განუყრელად პარტიის ისტორიასთან და მუშათ კლასის რევოლუციურ ბრძოლებთან.

Партия—

спинной хребет рабочего класса.

Партия —

бессмертие нашего дела.

პოემა „ვ. ი. ლენინში“ მაიაკოვსკიმ შექმნა ყველაზე უფრო წარმტაცი და მისაწილი საბჭოთა პოეზიის ნაწარმოები. პოემაში დიდი ოსტატობითაა ასახული ლენინის პოლიტიკური ბიოგრაფია. პოემა მიძღვნილია, მარტივისაღმი. ყველა ლექსი და ყოველი სიტყვა პოემისა გამსჭვალულია პარტიულობით. პოეტი ასე აყალიბებს თავის ამოცანას: „რა გააკეთა მან? ვინაა იგი და საიდან არის ეს ყველაზე ადამიანური ადამიანი?“ პოემის მთელი დინამიური კომპოზიციით მაიაკოვსკი ღრმად აგრძნობინებს მკითხველს, თუ ვინ იყო ისტორიისა და მუშათა კლასისათვის ეს ადამიანი, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ავტორი ხსნის პოემაში ორ პერსპექტივას: ერთს ისტორიულს — ლენინიდან უკან, საუკუნეთა სიღრმეში, მეორეს — წინ, ლენინიდან შორეთში მიმავალს. ამ პოემით მაიაკოვსკიმ გაშალა მუშაობა მასობრივ, მონუმენტალურ, დღია მხატვრული ტილოების შესაქმნელად. მთელი პოემა, როგორც საერთოდ მაიაკოვსკის მთელი პოეზია, გამსჭვალულია ერთი მისწრაფებით: დაუღალავად შევქმნათ შომავალი, წინ მომავლისაკენ!

Пройдут
года
сегодняшних тягот,
светом коммуны
согреет лета,
и счастье,
счастью
огромных ягод—
дозреет
на красных
октябрьских цветах.

ახალი კაცობრიობის ბერლადის — ლენინის — სახესთან ერთად მაიაკოვსკიშ შექმნა მრავალი სახე, რომელიც ხალხურ სახეებად გადაიქცენ და მათ შორის ისეთი ორმა და შესანიშნავი სახე, რომელიც მოცემულია მის შესანიშნავ ლექსში ნეტეზუ ლექსი ნეტეზე — ჰეშმარიტაც შპვდავი ლექსია მაიაკოვსკისა და შედევრი მთელი საბჭოთა პოეზიისა. დიდი გრძნობების, დიდი და ამაღლევებელი განცდების აღმძვრელია ეს ლექსი.

თავის „წერილში“ „როგორ უნდა კეთდებოდეს ლექსი“ მაიაკოვსკი ამბობდა, — რომ „საუკეთესო პოეტური ნაწარმოები იქნება ის, რომელიც დაიწერება კომინტერნის სპეციალური დაკვეთით და რომელსაც ექნება მიზნად დასახული პროლეტარიატის გამარჯვება, გაღმოცემული ამასთან ახალი გამომეტყველების მქონე და ყველასთვის გასაგები სიტყვებით“.

აი რა მწვერვალებისაკენ მოუწოდებს პოეტებს მაიაკოვსკი.

არიან კი მზად ასეთი ამოცანების შესრულებისათვის ჩვენი პოეტები?

უნდა ითქვას პირდაპირ და გულახდილად, რომ ჩვენ (და განსაკუთრებით საქართველოს ახალგაზრდა პლეტური კადრების ზოგიერთ ფენებს) ზოგჯერ ემჩნევა თანამედროვეობის უაქტუალეს საკითხებისაგან მოწყვეტა, უსაგნო ლირიკით გატაცება. უსულგულო დამოკიდებულება თემისაღმი, უსაგნო და უმიზნო პეიზაჟების ხატვა. მარაკოვსკი, საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტი, დაუნდობლად ებრძოდა მსგავს მოვლენებს და უკრძალავდა პოეტებს ასეთ ვარჯიშობას.

Как вы смеете
называться поэтом?
и, серенький,
чирикать как перепел —

ეკითხებოდა იგი მათ.

ამავე დროს პოეზია მაიაკოვსკის მიაჩნდა უდიდეს შრომად, თავგანწირვად და ძნელ მისაწვდომ საქმედ. იგი უყურებდა პოეტის საქმეს; როგორც ხალხის ცხოვრების. ხალხის სიბრძნის, მისი ენის, მისი ფსიქოლოგის ულრმესი ცოდნის საქმეს.

მაიაკოვსკის აზრით, პოეზია არის, პირველ ყოვლისა, აზრის გამოვლენა ისეთ ფორმებში, რომ იგი გასაგები და წარმტაცი გახდეს ხალხისათვის. და დარწმუნებული, რომ მან ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი, ხუთი მიშართავს შორეულ თაობებს ამაღლვებელი მოწოდებით:

Слушайте,
товарищи потомки
агитатора,
горлана — главаря!
Заглуши
поэзии потоки,
я шагну
Через лирические томики
как живой,
с живыми говоря.

და მართლაც მაიაკოვსკის შემდეგ შეუძლებელია საბჭოთა პოეზიაში ადგილი ექნეს „წმინდა“ პოეზიის რესტავრატორულ ცდებს, თვითმიზნურ ესთეტიურ თამაშს სახეებისას, ეპიგონობას, ფორმალისტურ და ნატურალისტურ ვარჯიშობას. საჭიროა ბრძოლა ყოველივე ამასთან დიდი აზრების და დიდი გრძნობების პოეზიისათვის, სოციალიზმის ეპოქის ლიტერატურისათვის!

აკადემიური რეაჩიტორი — ალექსანდრე პერვილი
მზივანი — ალ. აგაშელი

1937წ. იანვრის „ჩვენი თაობა“ გამოდის უოველთვიურად.

ხელის მოწვევის პირობები:

წლიურად	18 მან.
ნახევარი წლით	9 "
ცალკე ნომერი	1 გ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზეჩატის-
რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მჭერალთა კუშირი.